

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2011, №6

საქმის წარმოების
შეწყვეტა-განახლება

საძიებელი

1. საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო
2. საქმის წარმოების განახლება
 - ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების შეტანის ვადა
 - ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება
 - ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა
 - კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

1 საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1'ას-841-790-2010

5 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: საცხოვრებელი სახლიდან რეალური წილის გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ჯ-ავამ და გ. ვ-ინმა სარჩელით მიმართეს ახალციხის რაიონულ სასამართლოს ვ. პ-ძის მიმართ და მოითხოვეს ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში, ... ქ. '21-ში მდებარე საერთო საკუთრების სახლიდან მოსარჩელებისათვის თანაბარი წილების იზოლირებულად გამოყოფა.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. ჯ-ავასა და გ. ვ-ინის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში, ... ქუჩა '21-ში მდებარე საერთო საკუთრების სახლიდან მოსარჩელებს თანაბარ წილებში, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, საიჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის 'კ-677/18-ის შესაბამისად, ვ. პ-ძის საერთო საკუთრებიდან იზოლირებულად გამოეყოთ სახლის პირველ სართულზე "12 ოთახი ფართით – 11,41 კვ.მ, '4 ოთახი ფართით – 22,74 კვ.მ, '6 სანკვანძი ფართით – 3,64 კვ.მ და '7 სათავსი – ფართით 2,79 კვ.მ. აღნიშნული გადაწყვეტილებით, მოსარჩელებისათვის გამოეყოფილი ფართის, ვ. პ-ძის საკუთრებიდან იზოლირების მიზნით, '2 და '3, '4 და '5 ოთახების დამაკავშირებელი კარის ღიობები ამოშენდა, '3 და '4 ოთახებს შორის დამაკავშირებელი თალი ამოშენდა, '6 ოთახში მოეწყო ბინაში შესასვლელი კარი. მოსარჩელებს პირველ სართულზე მდებარე '5 ოთახის (8,66 კვ.მ-ის) გამოყოფაზე და ამოშენების ხარჯების მოპასუხე ვ. პ-ძისათვის დაკისრებაზე ეთქვათ უარი.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ვ. პ-ძემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით ვ. პ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება ი. ჯ-ავასა და გ. ვ-ინის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება – ი. ჯ-ავასა და გ. ვ-ინს უარი ეთქვათ დაბა ბაკურიანში, ... '21-ში მდებარე საერთო საკუთრების სახლის ნატურით გაყოფაზე.

სააპელაციო სასამართლომ, საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერით დადგინდა, რომ დაბა ბაკურიანში, ... ქუჩა '21-ში მდებარე უძრავი ნივთი წარმოადგენდა თანასაკუთრებას, რომლის 1/5 ეკუთვნოდა ი. ჯ-ავას და გ. ვ-ინს, ხოლო 4/5 – ვ. პ-ძეს. მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და საქმეში წარმოდგენილი ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ მისამართზე არსებული სახლის დანიშნულებაა საოჯახო სასტუმრო. პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ, ნატურით გაყოფის შესახებ, ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ უმსჯელია სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლით განსაზღვრულ ისეთ აუცილებელ გარემოებებზე, როგორცაა შემცირდებოდა თუ არა ნივთის ღირებულება მისი გამოყოფის შედეგად. სასამართლოს აზრით, «საჯარო რეესტრის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის «თ» ქვეპუნქტით, «რეგისტრაცია ნიშნავს ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამ კანონით განსაზღვრული უფლების, საჯარო სამართლებრივი შეზღუდვისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების, ასევე, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემთა აღრიცხვა შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით». ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჯარო რეესტრში ვერ შევიდოდა რაიმე ჩანაწერი ნივთის დანიშნულების შესახებ, ვინაიდან აღნიშნულს კანონი არ ითვალისწინებს და გარდა ამისა, ნივთის მესაკუთრეს ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს ნივთის დანიშნულება და ყოველი ასეთი შეცვლის აღრიცხვა საჯარო რეესტრში უსაფუძვლოდ შეზღუდავდა ამ ნივთის მიმართ მესაკუთრის უფლებას, გამოეყენებინა იგი თავისი შეხედულებისამებრ. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტის დასკვნა, თავისი არსით, არ ასახავდა ნივთის ამჟამინდელ დანიშნულებას – საოჯახო სასტუმროს, რის გამოც ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გაიზიარა იგი.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემული უძრავი ნივთის სასტუმროს დანიშნულებით გამოყენებას ადასტურებდა საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონალური ცენტრის 2009 წლის 28 სექტემბრის ცნობა. გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილი – 2008 წლის 14 ივლისის საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდებოდა, რომ მხარეთა თანასაკუთრების უფლება ვრცელდებოდა არა საცხოვრებელ სახლზე, როგორც უფლების ცალკეულ ობიექტზე, არამედ მიწის ნაკვეთზე – სარეგისტრაციო ზონა – ბორჯომი, კოდი 64, სექტორი – დაბა ბაკურიანი, კოდი 10, კვარტალი 103, ნაკვეთი 1077, დაუზუსტებელი ფართობი 550 კვ.მ, ნაკვეთის მისამართი-დაბა ბაკურიანი, ... ქუჩა 121.

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში, საზიარო საგანს წარმოადგენდა მიწის ნაკვეთი, რომლის არსებითი შემადგენელი ნაწილიც, სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იყო საცხოვრებელი სახლიც შესაბამისად, მოთხოვნა გაუქმებულიყო საზიარო უფლება მხოლოდ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზე, მაშინ, როდესაც ეს ნივთი ცალკე უფლების ობიექტს არ წარმოადგენდა. სასამართლოს მოსაზრებით, არ გამომდინარეობდა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლიდან, ვინაიდან მითითებული მუხლი ითვალისწინებს საზიარო უფლების გაუქმებას არა საზიარო საგნის ნაწილზე, არამედ – მთლიანად საზიარო საგანზე, რაც, პალატის აზრით, გადაწყვეტილების გაუქმებისა და ი. ჯ-ავასა და გ. ვ-ინის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კიდევ ერთ საფუძველს წარმოადგენდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს ი. ჯ-ავამ და გ. ვ-ინმა. კასატორებმა მიუთითეს, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად ფლობდეს და განკარგავდეს საკუთარ ქონებას, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, აღკვეთოს ნებისმიერი პირის მხრიდან მისი ქონების უკანონო სარგებლობა. კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ, აღნიშნული არ გაითვალისწინა და თავის გადაწყვეტილებაში საერთოდ უგულებელყო მესაკუთრეთა ინტერესები. სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თანამესაკუთრებს საერთო საკუთრებაში ნივთის გამოყენება ან რაიმე ვალდებულებებით დატვირთვა მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით უნდა მოხდეს. მესაკუთრის ამ უფლებას კი სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ მიაქცია ყურადღება და უგულებელყო ის გარემოება, რომ მესაკუთრეთა თანხმობის გარეშე და მათი ნების საწინააღმდეგოდ ხდებოდა საერთო საკუთრებაში არსებული სახლის გამოყენება. ასევე, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი, რომლის თანახმად, თითოეულ მონაწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. ამ უფლების შეზღუდვა დაუშვებელია და იგი იზღუდება მხოლოდ თანამესაკუთრეთა შეთანხმებით, სხვა შეზღუდვა არ არსებობს და არავის არ აქვს უფლება თანამესაკუთრეს შეუზღუდოს საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა.

კასატორებმა ასევე მიუთითეს, რომ სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, მოქმედებს საჯარო რეესტრის ჩანაწერების უტყუარობისა და სიზუსტის პრეზუმფცია. საზიარო საგანი წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს, იგი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში როგორც საცხოვრებელი სახლი. ნასყიდობის ხელშეკრულებაშიც საზიარო საგანი წარმოადგენს სახლს, ხოლო სასამართლო ამ ჩანაწერების საწინააღმდეგოდ აკეთებს დასკვნას, რომ საზიარო საგანი არ წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საზიარო სახლში ვ. პ-მე ცხოვრობს თავისი ოჯახით, ეწევა საქმიანობას, რომელიც არ არის შეთანხმებული თანამესაკუთრებთან. ასევე, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ვ. პ-მე თანახმაა, გაყოფაზე, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი ტექნიკურად შეუძლებელია და ამიტომ ვერ ჩატარდა ექსპერტიზა, რომლითაც დადგინდებოდა ოპტიმალური ვარიანტი.

ყოველივე ზემოაღნიშნული კი, კასატორთა მოსაზრებით, გახდა მიზეზი საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის განხილვისას, სასამართლო სხდომის დანიშვნამდე მხარეებმა წარმოადგინეს ნოტარიულად დამოწმებული მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცების თაობაზე შემდეგი პირობებით:

1. ვ. პ-მე საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას გადაუხადოს გ. ვ-ინს 12 500 აშშ დოლარი (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის კურსით) და ი. ჯ-ავას 12 500 აშშ დოლარი (გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის კურსით) 2011 წლის 30 მარტამდე მათი კუთვნილი უძრავი ქონების 1/5-ის სანაცვლოდ ქონება, მდებარე ბორჯომის რაიონის, დაბა ბაკურიანში, ... ქ.121-ში, მიწის ნაკვეთი (უძრავი ქონების სარეგისტრაციო) 1641003077;

2. გ. ვ-ინი და ი. ჯ-ავა საკუთარ თავზე იღებენ ვალდებულებას პირველ პუნქტში მითითებული თანხების დათქმულ დროში მიღების შემდეგ უარი განაცხადონ სადავო ქონების მატერიალურ და არამატერიალურ პრეტენზიაზე ვ. პ-მის მიმართ;

3. მხარეები თანხმდებიან ასევე მასზე, რომ, თუ ვ. პ-მე არ შეასრულებს პირველ პუნქტში ჩამოყალიბებულ ვალდებულებებს, მაშინ განხორციელდება გ. ვ-ინისა და ი. ჯ-ავას კუთვნილი წილის ნატურით გაყოფა «საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი პირობებით (24 ივნისი, 2009 წელი, 'კ-677/18), კერძოდ: გ. ვ-ინსა და ი. ჯ-ავას ნატურით გამოეყოფათ ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში, ... 121-ში, მი-

წის (უძრავი ქონების სარეგისტრაციო) **1641003077**, განთავსებულ შენობაში მათი კუთვნილი იდეალური წილის შესაბამისი **42,92** კვ.მ, მათ შორის: პირველ სართულზე – **12** ოთახი – **11,41** კვ.მ, **14** ოთახი – **22,74** კვ.მ, **16** სანკვანძი – **3,64** კვ.მ, სათავსი – **3,79** კვ.მ, ასევე, მიწის ნაკვეთის შესაბამისი **1/5**. ზემოაღნიშნული გაყოფის შემთხვევაში **12** და **13**, ასევე, **14** და **15** ოთახების დამაკავშირებელი კარის დიობები უნდა ამოშენდეს; **13** და **14** ოთახებს შორის დამაკავშირებელი თაღი (არკა) უნდა ამოშენდეს; **12** და **16** ოთახების გამმიჯნავ ტიხარზე უნდა მოეწყოს კარი; **16** ოთახში უნდა მოეწყოს კარი; **16** ოთახში არსებული სანკვანძი უნდა მოეწყოს **17** ოთახში.

4. მხარეები იღებენ ვალდებულებას, ნაკისრი ვალდებულებები შეასრულონ სრულად, ჯეროვნად და დათქმულ დროში.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **272**-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის **273**-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **49**-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კასატორებს – ი. ჯ-ავასა და გ. ვ-ინს უნდა დაუბრუნდეთ გ. ვ-ინის მიერ მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – **1723.50** ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **272**-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

ა) ვ. პ-მე საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას გადაუხადოს გ. ვ-ინს **12 500** აშშ დოლარი (გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის კურსით) და ი. ჯ-ავას **12 500** აშშ დოლარი (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის კურსით) **2011** წლის **30** მარტამდე მათი კუთვნილი უძრავი ქონების **1/5**-ის სანაცვლოდ, ქონება, მდებარე ბორჯომის რაიონის, დაბა ბაკურიანში, ... ქ.121-ში, მიწის ნაკვეთი (უძრავი ქონების სარეგისტრაციო) **1641003077**;

ბ) გ. ვ-ინი და ი. ჯ-ავა საკუთარ თავზე იღებენ ვალდებულებას, პირველ პუნქტში მითითებული თანხების დათქმულ დროში მიღების შემდეგ, უარი განაცხადონ სადავო ქონების მატერიალურ და არამატერიალურ პრეტენზიაზე ვ. პ-მის მიმართ;

გ) მხარეები თანხმდებიან ასევე მასზე, რომ, თუ ვ. პ-მე არ შეასრულებს პირველ პუნქტში ჩამოყალიბებულ ვალდებულებებს, მაშინ განხორციელდება გ. ვ-ინისა და ი. ჯ-ავას კუთვნილი წილის ნატურით გაყოფა «საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი პირობებით (**24** ივნისი, **2009** წელი, **13-677/18**), კერძოდ: გ. ვ-ინსა და ი. ჯ-ავას ნატურით გამოეყოფათ ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში, ... 121-ში, მიწის ნაკვეთი (უძრავი ქონების სარეგისტრაციო) **1641003077**-ზე, განთავსებულ შენობაში მათი კუთვნილი

იდეალური წილის შესაბამისი ფართი – 42,92 კვ.მ, მათ შორის – პირველ სართულზე 12 ოთახი – 11,41 კვ.მ, 14 ოთახი – 22,74 კვ.მ, 16 სანკვანძი – 3,64 კვ.მ, სათავსო – 3,79 კვ.მ, ასევე, მიწის ნაკვეთის შესაბამისი 1/5. ზემოაღნიშნული გაყოფის შემთხვევაში 12 და 13, ასევე 14 და 15 ოთახების დამაკავშირებელი კარის დიოზები უნდა ამოშენდეს; 13 და 14 ოთახებს შორის დამაკავშირებელი თაღი (არკა) უნდა ამოშენდეს; 12 და 16 ოთახების გამმიჯნავ ტიხარზე უნდა მოეწყოს კარი; 16 ოთახში უნდა მოეწყოს კარი; 16 ოთახში არსებული სანკვანძი უნდა მოეწყოს 17 ოთახში.

დ) მხარეები იღებენ ვალდებულებას, ნაკისრი ვალდებულებები შეასრულონ სრულად, ჯეროვნად და დათქმულ დროში.

2. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად შეწყდეს საქმის წარმოება;

3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება;

4. ი. ჯ-ავასა და გ. ვ-ინს დაუბრუნდეთ გ. ვ-ინის მიერ საკასაციო საჩივარზე 2010 წლის 5 ოქტომბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 1732.50 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი – 200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი - 1300773150;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

¹ ას-1156-1032-2010

17 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ს. რ-მ» სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «სადაზღვევო ...» მიმართ 1405000 ლარის გადახდევინების შესახებ შემდეგი საფუძველით: შპს «ს. რ-სა» და სს «... ქარხანას» შორის დაიდო სამგზავრო ვაგონების სადებო და საქარხნო შეკეთების მომსახურების შესყიდვისა და რეფრეჟერატორული სექციის დიზელ-ვაგონის სამგზავრო ვაგონად მოდერნიზაციის მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებები.

მოპასუხე საზოგადოებამ მოსარჩელის სახელზე გასცა საბანკო გარანტია. სს «... ქარხანამ» ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, რის შესახებ სადაზღვევო ჰოლდინგს რამდენჯერმე ეცნობა.

საბანკო გარანტიით დადგენილ ვადებში შპს «ს. რ-მ» მიმართა მოპასუხეს და წარუდგინა წერილობითი მოთხოვნები საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ, თუმცა აღნიშნული თანხა მხარეს არ აუნაზღაურებია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით შპს «ს. რ-ს» სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს «სადაზღვევო ...» უფლებამონაცვლე სს «...» სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და შპს «ს. რ-ს» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – სს «...»-ს შპს «ს. რ-ს» სასარგებლოდ დაეკისრა 185 000 ლარის გადახდა, შპს «ს. რ-ს» უარი ეთქვა სს «...-სათვის» 1220000 ლარის გადახდის დაკისრებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 14 მაისს და 2007 წლის 11 აპრილს შპს «ს. რ-სა» და სს «... ქარხანას» შორის დაიდო 1შს/07-216 და 1შს/07-147 ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად დაიდო საბანკო გარანტიები, კერძოდ, 1შს/07-147 ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად 2007 წლის 11 აპრილს გაიცა საბანკო გარანტიები: 1ჭჩ 037/07 საერთო თანხაზე 1 220 000 ლარზე, 1ჭჩ 038/07 – საერთო 175 000 ლარზე, ხოლო 1შს/07-216 ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაიცა საბანკო გარანტია 1ჭჩ 051/07 საერთო 10 000 ლარზე. საერთო ჯამში ორივე ხელშეკრულებისათვის საბანკო გარანტია შეადგენდა 1 405 000 ლარს.

მოცემულ შემთხვევაში სს «სადაზღვევო ...-მ» წერილობით იკისრა ვალდებულება შპს «ს. რ-ს» მიმართ საბანკო გარანტიის სახით. ზემოაღნიშნულ საბანკო გარანტიების ტექსტში მხარეები შეთანხმდნენ, რომ საგარანტიო თანხა ავტომატურად შემცირდებოდა პრინციპალის მიერ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შესრულების პროპორციულად.

1შს/07-147 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.2.1 და 3.2.2 პუნქტებით სს «... ქარხანამ» აიღო ვალდებულება, თანდართული გრაფიკის მიხედვით, 138 ვაგონის სადებოო და საქარხნო შეკეთებაზე, კერძოდ, 2007 წლის 30 ივნისამდე პრინციპალს უნდა შეეკეთებინა არანაკლებ 60 ვაგონისა, ხოლო დანარჩენი 78 ვაგონი – 2007 წლის 20 დეკემბრამდე. ხელშეკრულებაზე დართული გრაფიკის მიხედვით, 2007 წლის სექტემბრამდე პრინციპალს უნდა დაესრულებინა 113 ვაგონის შეკეთება.

საქმეში წარმოდგენილი შპს «ს. რ-ს» გენერალური დირექტორის 2007 წლის 4 ოქტომბრის **1**გ-7920 წერილით, სს «... ქარხანამ» სახელშეკრულებო ვალდებულებები ჯეროვნად და დროულად არ შეასრულა და, **1**შს/07-147 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 113 ვაგონის შეკეთების ნაცვლად, 2007 წლის სექტემბრამდე დაგვიანებით შეაკეთა 69 ვაგონი.

სააპელაციო პალატის მითითებით, **1**შს/07-147 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 6.1. მუხლი ანგარიშსწორების ფორმად ითვალისწინებდა საავანსო გადახდას და უნაღდო კონსიგნაციას. ამავე ხელშეკრულების თანახმად, ავანსირება უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების ღირებულების 35%-ით, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი – 65% ანაზღაურდებოდა ეტაპობრივად, შესრულებული მომსახურების შესაბამისად. «სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის» 27.4 მუხლის შესაბამისად და **1**შს/07-147 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 6.4 მუხლით. მომწოდებელმა სს «... ქარხანამ» შპს «ს. რ-ს» წარუდგინა გარანტია წინასწარ გადახდილი თანხის – ხელშეკრულების ფასის 35% ოდენობით ანუ საავანსო გარანტია.

პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული მეტყველებს, რომ ხელშეკრულების ღირებულების 35%, ანუ საავანსო გადახდით უზრუნველყოფილი მომსახურების ნაწილი შესრულებული იყო 2007 წლის სექტემბერში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო სულ 138 ვაგონის შეკეთება. შესასრულებელი სამუშაოების გრაფიკის თანახმად, 2007 წლის სექტემბრამდე **1**შს/07-147 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 113 ვაგონის შეკეთების ნაცვლად შეკეთდა 69 ვაგონი.

2007 წლის 11 აპრილის **1**შს/07-147 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 6.5 პუნქტის თანახმად, ავანსის გამოყენების შემთხვევაში ავანსის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ღირებულების შემცირება განხორციელდება ყოველი გაწეული მომსახურების ღირებულების 35%-ის ოდენობით დღგ-ს გარეშე, ხოლო ყოველი გაწეული მომსახურების ღირებულების 65 % დღგ-ს გარეშე ანაზღაურდება კონსიგნაციის წესით.

საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფის **1**FG 037/07 თანახმად, რომელიც გაიცა 1 220 000 ლარზე, საგარანტიო თანხა უნდა შემცირებულიყო პრინციპალის მიერ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შესრულების პროპორციულად, რაც ხელშეკრულების 6.5 პუნქტით გულისხმობდა შესრულებას ყოველი გაწეული მომსახურების ღირებულების 35%-ის ოდენობით დღგ-ს გარეშე.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლით და მიიჩნია, რომ საავანსო გარანტიის პირობების თანახმად, საგარანტიო თანხა ავტომატურად მცირდებოდა პრინციპალის მიერ ხელშეკრულების შესრულების პროპორციულად, მიუხედავად აღნიშნული საგარანტიო პირობისა, პინციპალის კრედიტორმა ბენეფიციარმა – შპს «ს. რ-მ» სადაზღვევო ორგანიზაციას წარუდგინა წერილობითი მოთხოვნა არა პრინციპალის მიერ ხელშეკრულების შესრულების პროპორციულად შემცირებულ საგარანტიო თანხაზე, არამედ **1**შს/07-147 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 6.4 მუხლით წინასწარ გადახდილი თანხის – ხელშეკრულების ფასის 35% საავანსო გარანტიაზე 1 220 000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ბენეფიციარის მიერ სადაზღვევო ორგანიზაციას წარუდგინა მოთხოვნა, რომელიც არ შეესაბამებოდა გარანტიის პირობებს, რაც, სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის თანახმად, ბენეფიციარის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

პალატამ აღნიშნა, რომ 2007 წლის 25 სექტემბრის წერილით სადაზღვევო კომპანიამ ბენეფიციარის მოთხოვნაზე წარუდგინა წერილი, რომელშიც მიუთითა, რომ მათ მიერ პრინციპალზე გაცემული გარანტიები ითვალისწინებდა გადახდის ვალდებულებას გარკვეული პირობების გათვალისწინებით და ითხოვდა შპს «ს. რ-სა» და სს «... ქარხანას» შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლებს დარღვევების მოკლე აღწერილობით, რაც სადაზღვევო კომპანიას მოთხოვნის განხილვისა და ოპერატიული რეაგირების საშუალებას მისცემდა.

2007 წლის 6 ოქტომბრის **1**გ-8240 წერილით შპს «ს. რ-მ» მიუთითა, რომ შპს «ს. რ-სა» და სს «... ქარხანას» შორის დადებული **1**შს/07-147 ხელშეკრულება შეწყდა 2007 წლის 14 ოქტომბერს, მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი ვალდებულების უმეტესი ნაწილი დარჩა შეუსრულებელი ბენეფიციარის მიერ გარანტს. შპს-მ წარადგინა მოთხოვნა საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფით გათვალისწინებულ სრულ თანხაზე, ანუ **1**შს/07-147 ხელშეკრულების ღირებულების 35%-ის ნაცვლად პრინციპალის მიერ მითითებული ხელშეკრულების შესრულების პროპორციულად შემცირებული საგარანტიო თანხისა, რაც პალატის მოსაზრებით, საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფის ნაწილში სარჩელზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს, მოთხოვნა არ შეესაბამება გარანტიის პირობებს.

რაც შეეხება 2007 წლის 14 მაისის 'შს/07-216 ხელშეკრულების შესრულების 'ჭჩ 051/07 საგარანტიო უზრუნველყოფას და 2007 წლის 11 აპრილის 'შს/07-147 ხელშეკრულების 'ჭჩ 038/07 შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფას, პალატამ ჩათვალა, რომ სს «... ქარხანამ» დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები და არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული დადასტურდა შპს «ს. რ-სა» და სს «... ქარხანას» შორის 2008 წლის 21 თებერვალს ვალის აღიარებისა და გადახდის შესახებ '001 შეთანხმებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადახდის ბრძანებით, შპს «ს. რ-სა» და სს «... ქარხანას» შორის 2008 წლის 29 აპრილს გაფორმებული 'სგდ/08-015 შეთანხმებით.

სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ მიუთითა, რომ სს «... ქარხნის» მიერ 2008 წლის '001 და 2008 წლის 29 აპრილის 'სგდ/08-015 შეთანხმებებით აღიარებულ იქნა 'შს/07-147, 'შს/07-216 და სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა და არჯეროვანი შესრულება. ამდენად, პრინციპალის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა უტყუარად იყო დადასტურებული, რაც სამართლებრივად წარმოადგენს შპს «ს. რ-სადმი» მოპასუხე სს «საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგის» ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო ვალდებულების წარმოშობისა და შესრულების საფუძველს ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის 'ჭჩ 051/07 და 'FG 037/07 ფარგლებში, რაც შეადგენს 185 000 ლარს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სს «...-სათვის» 1220000 ლარის დაკისრების ნაწილში შპს «ს. რ-მ» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა აღნიშნულ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სს «...-სათვის» 1220000 ლარის გადახდევინება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ პრინციპალის მიერ 69 ვაგონის დაგვიანებით გარემონტებისა და პროპორციულად საგარანტიო თანხის შემცირების საკითხის სამართლებრივად შეფასებისას არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რაც უნდა გამოეყენებინა.

წინააღმდეგობრივია და კანონის არასწორ განმარტებას ეფუძნება სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ ვინაიდან პრინციპალმა შეაკეთა 69 ვაგონი და საავანსო გარანტია ითვალისწინებდა ხელშეკრულების შესრულების პროპორციულად საგარანტიო თანხის შემცირებას, კასატორს გარანტისათვის წერილობითი მოთხოვნა უნდა წარედგინა არა 1220000 ლარზე, არამედ, შესრულების პროპორციულად შემცირებულ თანხაზე, ამდენად, კასატორის მოთხოვნა გარანტიის პირობებს არ შეესაბამებოდა და სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ბენეფიციარის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ რ-ს საგარანტიო ვადა არ დაურღვევია და მისი მოთხოვნა სრულად შეესაბამებოდა გარანტიის პირობებს. ამასთან, ხელშეკრულების შეუსრულებელ ნაწილში საავანსო გარანტიის ანაზღაურებაზე უარის თქმა უკანონოა.

სააპელაციო პალატამ არასწორად უგულებელყო სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლის დანაწესი, რის საფუძველზეც არასწორი გადაწყვეტილება მიიღო.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცების თაობაზე შემდეგი პირობებით:

1. წინამდებარე სასამართლო მორიგების აქტის ხელმოწერიდან 3 თვის ვადაში სს «სადაზღვევო ...» გადაუხდის შპს «ს. რ-ს» 591164 ლარს (აღნიშნული თანხა მოიცავს '2ბ/3635-10 საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შპს «ს. რ-ს» სასარგებლოდ სს «სადაზღვევო ...-სათვის» დაკისრებულ თანხას – 185000 ლარს);

2. სს «სადაზღვევო ...-ს» მიერ შპს «ს. რ-სათვის» თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს შპს «ს. რ-ს» შემდეგ საბანკო ანგარიშზე: ბანკის დასახელება სს «... ბანკი», ბანკის კოდი: ...;

3. მხარეებმა იკისრეს ვალდებულება, შეასრულონ მორიგების აქტზე დართული 2010 წლის 30 დეკემბერს მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმება, რომელიც მორიგების აქტის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის დარეგულირებული მორიგების აქტით რეგულირდება 2010 წლის 30 დეკემბრის შეთანხმებით. აღნიშნულ შეთანხმებას უპირატესი ძალა გააჩნია მხარეთა ნების ინტერპრეტირებისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო-სათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს «ს. რ-ს» სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 9 ნოემბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 8000 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება შპს «ს. რ-სა» და სს «სადაზღვევო...-ს» შორის შემდეგი პირობებით:

1. წინამდებარე სასამართლო მორიგების აქტის ხელმოწერიდან 3 თვის ვადაში სს «სადაზღვევო...» გადაუხდის შპს «ს. რ-ს» 591164 ლარს (აღნიშნული თანხა მოიცავს 128/3635-10 საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შპს «ს. რ-ს» სასარგებლოდ სს «სადაზღვევო ...-სათვის» დაკისრებულ თანხას – 185000 ლარს);

2. სს «სადაზღვევო...-ს» მიერ შპს «ს. რ-სათვის» თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს შპს «ს. რ-ს» შემდეგ საბანკო ანგარიშზე: ბანკის დასახელება სს «... ბანკი», ბანკის კოდი: ...;

3. მხარეებმა იკისრეს ვალდებულება, შეასრულონ მორიგების აქტზე დართული 2010 წლის 30 დეკემბერს მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმება, რომელიც მორიგების აქტის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის დარეგულირებული მორიგების აქტით, რეგულირდება 2010 წლის 30 დეკემბრის შეთანხმებით. აღნიშნულ შეთანხმებას უპირატესი ძალა გააჩნია მხარეთა ნების ინტერპრეტირებისათვის.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება შპს «ს. რ-ს» სარჩელის გამო სს «სადაზღვევო ...-ს» მიმართ თანხის დაკისრების შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

შპს «ს. რ-ს» დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 8000 ლარი.

განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1ას-783-732-2010

25 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ქ-ელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ე-სა» და საზოგადოების დირექტორ ზ. ფ-შვილის მიმართ იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლით მიყენებული ზიანის – 20000 ლარისა და მოსარჩელის კუთვნილი ინვენტარის რეალიზაციის გამო, 3000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით, შემდეგი საფუძველებით:

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2009 წლის 1 აპრილს შპს «ე-სა» დირექტორ ზ. ფ-შვილსა და ქ. ქ-ელს შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება 4 წლის ვადით. ხელშეკრულების თანახმად, 2008 წლის 20 აპრილს მეიჯარე შპს «ე-მ» მოიჯარე ქ. ქ-ელს მიაქირავა ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ... მდებარე სასტუმრო, რესტორანი, საუნა და მიწის ნაკვეთი. აღნიშნული უძრავი ქონების მიმართ ქ. ქ-ელს გააჩნდა ბიზნესგეგმები, რითაც მიი-

დებდა გარკვეულ მოგებას. მოპასუხე ზ. ფ-შვილმა შეწყვიტა იჯარის ხელშეკრულება, რის გამოც ქ. ქ-ელმა ვერ მიიღო მოგება, რაც წელიწადში შეადგენდა სულ მცირე 20 000 ლარს. გარდა ხელშეკრულების შეწყვეტისა, მოპასუხე ზ. ფ-შვილმა მიითვისა შპს «ე-ს» საკუთრებაში არსებული ქ. ქ-ელის ინვენტარი, რომელიც მიჰყიდა ა. შ-ძეს.

მოსარჩელემ მოითხოვა შპს «ე-ს» დაკისრებოდა 20 000 ლარის, ხოლო ზ. ფ-შვილს – 3000 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეებს დაეკისრებოდათ სასამართლოს ხარჯები.

მოპასუხე შპს «ე-ს» დირექტორმა ზ. ფ-შვილმა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მან, როგორც შპს «ე-ს» დირექტორმა, მოქალაქე ქ. ქ-ელთან გააფორმა იჯარის ხელშეკრულება ოთხი წლით. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს მეიჯარესთვის უნდა გადაეხადა ყოველთვიურად ქირა შემდეგნაირად: 2008 წლიდან 20 აპრილიდან 2008 წლის 20 ივნისამდე – 1000 აშშ დოლარი, 2008 წლის 20 ივნისიდან 2009 წლის 20 აპრილამდე – 1500 აშშ დოლარი, 2009 წლის 20 აპრილიდან 2009 წლის 20 აპრილამდე – 1500 აშშ დოლარი, ხოლო 2009 წლის 20 აპრილიდან 2012 წლის 20 აპრილამდე – ყოველთვიურად 2000 აშშ დოლარი. მოიჯარემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლისა და იჯარის ხელშეკრულების მე-7 პუნქტის საფუძველზე, არ გადაიხადა საიჯარო ქირა და არ აღადგინა დაზიანებული მიწები.

მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ 2008 წლის 1 აპრილს მეიჯარე შპს «ე-ს» დირექტორ ზ. ფ-შვილსა და ქ. ქ-ელს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება არ შეწყვეტილა, მას დღემდე აქვს იურიდიული ძალა და მოიჯარეს შეუძლია, კვლავ გააგრძელოს იჯარით აღებულ ქონებაში სამეწარმეო საქმიანობა. მოიჯარემ საკუთარი ინიციატივით მიატოვა აღებული ქონება და საკუთარი ინიციატივითვე შეწყვიტა სამეწარმეო საქმიანობა, რადგან მას შეექმნა ფინანსური პრობლემები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხემ მოითხოვა უარის თქმა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 11 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, რაც გაასაჩივრა ქ. ქ-ელმა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განჩინებით უარი ეთქვა ქ. ქ-ელს და მის წარმომადგენელ ლ. დ-ძეს საჩივრის დაკმაყოფილებაზე და ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 11 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ქ-ელმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის განჩინებით ქ. ქ-ელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 11 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 30 მარტის განჩინება და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სასამართლოსთვის საჩივრის განხილვის დროს ცნობილი იყო მოსარჩელის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები, კერძოდ, რომ ქ. ქ-ელმა 2010 წლის 11 თებერვალს გადმოკვეთა თურქეთის საზღვარი, ანუ დაინტერესებული იყო პროცესზე გამოცხადებით, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის – ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების გამო ვერ შესძლო სხდომაზე გამოცხადება.

სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ საზღვრის გადმოკვეთით მოსარჩელემ გამოხატა ნება, რომ სურდა პროცესზე დასწრება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა ქ. ქ-ელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არსებობდა საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ისეთი მოვლენა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა მხარისათვის სასამართლოში დროულად გამოცხადებისათვის. ამასთან, მიუთითა, რომ სასამართლოსთვის საჩივრის განხილვისას ცნობილი იყო, თუ რა მიზეზით ვერ მოახერხა მოსარჩელე მხარემ სხდომაზე დროული გამოცხადება, რაც უნდა გაეთვალისწინებინა საჩივრის განხილვისას. სამართლებრივ საფუძველად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» პუნქტზე. ამდენად, ამავე კოდექსის 241-ე მუხლისა და 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია საპროცესო ნორმები, რამაც არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვია, რაც გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «ე-ს» დირექტორმა ზ. ფ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლი, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი, 99 მუხლი, 102-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 215-ე მუხლის მე-3 პუნქტი და გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლი, 241-ე მუხლი და 393-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

კასატორმა მიუთითა, რომ არასწორია სასამართლოს შეფასება, იმის თაობაზე, რომ საჩივრის განხილვის დროს სასამართლოსთვის ცნობილი იყო მოსარჩელის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. მო-

სარჩელის წარმომადგენელმა სასამართლოს განუმარტა, რომ, საბურავის დაზიანების გამო, აგვიანდებოდა სხდომაზე გამოცხადება, ხოლო ოზურგეთის რაიონული სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების დროს საჩივარში კი მიუთითა, რომ 2010 წლის 11 თებერვალს სასამართლო სხდომაზე ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის გამო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქ. ქ-ელმა 2010 წლის 20 იანვარს შეუწყვიტა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ნ. მ-მეს, რის გამოც იგი არ იყო უფლებამოსილი, სასამართლო სხდომაზე დაეცვა ქ. ქ-ელის ინტერესები, შესაბამისად, მის შეტყობინებას არ ჰქონდა იურიდიული ძალა სასამართლოსთვის და უშუალოდ ქ. ქ-ელი იყო ვალდებული, სასამართლოსთვის შეეტყობინებინა საპატიო მიზეზის შესახებ. სათანადო უფლებამოსილების გარეშე სხვა მესამე პირს არ აქვს უფლებამოსილება, სასამართლოს შეატყობინოს მოსარჩელის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობდა დაუძლეველი ძალა. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს აღნიშნული გარემოების რაიმე მტკიცებულება. აქედან გამომდინარე, სასამართლოსთვის არ იყო ცნობილი ქ. ქ-ელის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი.

კასატორის მოსაზრებით, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა, ვინაიდან ქ. ქ-ელს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღის შესახებ. მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზად მიუთითა თავისი ავადმყოფობა. კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლოზე წარმოდგენილი ცნობები, ხელვაჩაურის სასწრაფო სამედიცინო დაწესებულება 03-ის 1325 და შპს «ქ.ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს» ამბოლატორიული 1482 ბარათი მხარის სასამართლოში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება, რადგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპატიო მიზეზად ავადმყოფობის მითითების შემთხვევაში, ავადმყოფობა უნდა დადასტურდეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა სასამართლო პროცესზე მისი გამოუცხადებლობის შეუძლებლობაზე. მოცემულ შემთხვევაში კი წარმოდგენილ ცნობებში აღნიშნულის თაობაზე მითითებული არ არის.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს შეფასებას, იმის თაობაზე, რომ საზღვრის გადმოკვეთისას ქ. ქ-ელმა გამოხატა პროცესზე დასწრების ნება, ვინაიდან მიაჩნია, რომ მოსარჩელეს წინასწარ უნდა გაეთვალისწინებინა ყველა შემაფრთხილებელი გარემოება, რათა თავიდან აეცილებინა ის პროცესუალური შედეგი, რაც მოჰყვება მის გამოუცხადებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ნოემბრის განჩინებით შპს «ე-ს» დირექტორ ზ. ფ-შვილის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს «ე-ს» – ქ. ქ-ელის მიმართ დავის საგანზე დავალიანების სახით ერიცხება 2100 ლარი, რომელიც დაფარული უნდა იქნას შემდეგი თანმიმდევრობით:

– 500 ლარი ამ მორიგების აქტის გაფორმებისთანავე;

– 600 ლარი საქმის მორიგებით დასრულებასთან და საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით ზ. ფ-შვილისათვის სახელმწიფო ბაჟის ნახევარი თანხის დაბრუნებისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 20 დღის განმავლობაში;

– 1000 ლარი 2011 წლის მაისის ბოლოს.

ამასთან მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს «ე-ს» დირექტორი ზ.ფ-შვილი ქ. ქ-ელს ამ მორიგების აქტის გაფორმებიდან ერთი კვირის განმავლობაში დაუბრუნებს ლანჩხუთის რაიონში, სოფელ ..., ლანჩხუთი-ბათუმის გზატკეცილზე მდებარე ზ.ფ-შვილის ფართში განთავსებულ ქ. ქ-ელის კუთვნილ ინვენტარს, კერძოდ:

1. მაგიდა – 10 ცალი;
2. სკამი – 40 ცალი;
3. ტელევიზორი თავისი ანტენით – 1 ცალი;
4. მაყალი – 1 ცალი;
5. გაზი – 1 ცალი;
6. ხის სეიფი – 1 ცალი;
7. ელექტროგენერატორი – 1 ცალი;
8. წყლის მოტორი – 1 ცალი;
9. გაზის ღუმელი (გამათბობელი) – 1 ცალი;
10. განათებული სარეკლამო აბრა – 1 ცალი;
11. დიდი გაზქურა – 1 ცალი;
12. «ფურნაკიანი» გაზქურა – 1 ცალი;
13. ელექტროხორცის გასატარებელი მანქანა – 1 ცალი;
14. შეშის ღუმელი – 1 ცალი;
15. წვენი გამაციებელი – 1 ცალი.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული მორიგების აქტი დამტკიცდეს სასამართლოს მიერ და შეწყდეს საქმის წარმოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელშეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს «ე-ს» დირექტორ ზ. ფ-შვილს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 1 ოქტომბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 637.5 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით, 49-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება შპს «ე-ს» დირექტორ ზ. ფ-შვილსა და ქ. ქ-ელს შორის შემდეგი პირობებით: მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს «ე-ს» – ქ. ქ-ელის მიმართ დავის საგანზე დავალიანების სახით ერიცხება 2100 ლარი, რომელიც დაფარული უნდა იქნეს შემდეგი თანმიმდევრობით:

– 500 ლარი ამ მორიგების აქტის გაფორმებისთანავე;

– 600 ლარი საქმის მორიგებით დასრულებასთან და საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით შპს «ე-ს» დირექტორ ზ.ფ-შვილისათვის სახელმწიფო ბაჟის ნახევარი თანხის დაბრუნებისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 20 დღის განმავლობაში;

– 1000 ლარი 2011 წლის მაისის ბოლოს.

ამასთან მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს «ე-ს» დირექტორი ზ.ფ-შვილი ქ. ქ-ელს ამ მორიგების აქტის გაფორმებიდან ერთი კვირის განმავლობაში დაუბრუნებს ლანჩხუთის რაიონში, სოფელ ..., ლანჩხუთი-ბათუმის გზატკეცილზე მდებარე, ზ.ფ-შვილის ფართში განთავსებულ ქ. ქ-ელის კუთვნილ ინვენტარს, კერძოდ:

1. მაგიდა – 10 ცალი;
2. სკამი – 40 ცალი;
3. ტელევიზორი თავისი ანტენით – 1 ცალი;
4. მაყალი – 1 ცალი;
5. გაზი – 1 ცალი;
6. ხის სეიფი - 1 ცალი;
7. ელექტროგენერატორი – 1 ცალი;
8. წყლის მოტორი – 1 ცალი;
9. გაზის ღუმელი (გამათბობელი) – 1 ცალი;
10. განათებული სარეკლამო აბრა – 1 ცალი;
11. დიდი გაზქურა – 1 ცალი;
12. «ფურნაკიანი» გაზქურა – 1 ცალი;
13. ელექტროხორცის გასატარებელი მანქანა – 1 ცალი;
14. შემის ღუმელი – 1 ცალი;

15. წვენის გამაციებელი – 1 ცალი.

შეწყდეს საქმის წარმოება ქ. ქ-ელის სარჩელის გამო შპს «ე-სა» და საზოგადოების დირექტორ ზ. ფ-შვილის მიმართ ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განემართოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველზე და იმავე საგანზე დაუშვებელია.

შპს «ე-ს» დირექტორ ზ. ფ-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 1 ოქტომბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 637.5 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

¹ას-843-792-2010

4 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: უკანონოდ დარიცხული გადასახადისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «... ჯგუფმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «...» მიმართ უკანონოდ დარიცხული გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ შემდეგი საფუძველებით: 2007 წლის თებერვალში მოპასუხემ მოსარჩელეს დარიცხვა გადასახადი – 14440,80 ლარი. აღნიშნულის შესახებ მოსარჩელისათვის მოგვიანებით გახდა ცნობილი. დარიცხული გადასახადის ოდენობა არ შეესაბამება რეალურ მაჩვენებელს, რის გამოც უნდა გაუქმდეს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით შპს «...» სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე გათავისუფლდა 2007 წლის თებერვალში დარიცხული წყლის გადასახადის – 14 440,80 ლარის გადახდისაგან, მხარეებს შორის 2008 წლის 22 აგვისტოს დადებული დავალიანების რესტრუქტურისაგან შესახებ ხელშეკრულება გაუქმდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს «ჯ. ფ-მა» გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია 2007 წლის 12 თებერვალს შედგენილი აქტის კანონიერების საკითხი და ამ დრომდე არსებული სამართლებრივი ურთიერთობები ნაკლებად მნიშვნელოვანია. უდავოა, რომ 2007 წლის თებერვალში (სადავო აქტის შედგენის დროს) აბონენტს სწორედ მოწინააღმდეგე მხარე წარმოადგენდა.

სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება, რომ მის მუშაკს ე. ა-ანს არ აუღია ანათვალი. აღნიშნული ფაქტი დასტურდება თავად ე. ა-ანის მიერ მოწმედ დაკითხვისას მიცემული ჩვენებიდან. მართალია, აქვე იგი აღნიშნავს, რომ კარი სხვა პირებმა გაუღეს, მაგრამ თავისთავად კარის გაღების ფაქტს მნიშვნელობა არ აქვს. სადავო დარიცხული თანხის ოდენობა, რაც, თავის მხრივ, იანგარიშება ანათვალის აღების შედეგად.

პალატის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია აპელანტის არგუმენტი, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიკვლია ე. ა-ანის განმარტება მილიდან წყლის დადგრისა და მილის გამოცვლის თაობაზე.

პალატამ იხელმძღვანელა ქ.თბილისის საკრებულოს 2000 წლის 1 მარტის '3-3 გადაწყვეტილების 149-ე პუნქტით, რომლითაც «თ-ის» წარმომადგენელი უფლებამოსილია, შეადგინოს აქტი (მოწერილობა), ობიექტის შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ. შედგენილ აქტში «თ-ის» წარმომადგენელი აბონენტს აღუნიშნავს სალიკვიდაციო ვადას. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით ასეთი აქტის შედგენის ფაქტი არ ირკვევა. მარტოოდენ მოწმის განმარტება კი საკმარისი არ არის, ვინაიდან ნორმატიული აქტით განსაზღვრული ასეთი ფაქტის დადგენის ერთდაერთი გზა – აქტის შედგენა არ განხორციელებულა და სხვა რაიმე მტკიცებულებით იგი ვერ დადასტურდება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2000 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება '3-3-ის 117-ე მუხ-

ლი, ვინაიდან მოწმე ე. ა-ანის განმარტებით, მან თავად აიღო ჩვენება აბონენტის რომელიმე მუშაკის თანდასწრების გარეშე, რაც წესების ზემოხსენებული პუნქტის დარღვევაა. სასამართლოს მოსაზრებით, ასევე დაუსაბუთებელია აპელანტის მოსაზრება, რომ, წესების 170-ე მუხლის მიხედვით, მას უფლება ჰქონდა, შეეწყვიტა წყლის მიწოდება აბონენტისათვის და პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტი ბუნებრივ მონოპოლიას წარმოადგენს და მომხმარებლებს ამ სფეროში საშუალება არა აქვთ, ისარგებლონ სხვა, კონკურენტი საწარმოს მომსახურებით. მართოდენ ეს ფაქტი წარმოადგენს საყურადღებო გარემოებას სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლთან მიმართებით. სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს პირველ რიგში ის გარემოება, დაილო თუ არა გარიგება საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შედეგად. ყოველი ასეთი გარიგების შემოწმებისას სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სწორედ ბუნებრივმა მონოპოლიამ უნდა ამტკიცოს საბაზრო ძალაუფლების ბოროტად, იძულებითი კონტრაპირების მიზნით გამოუყენებლობის ფაქტი. ამდენად, უნდა შეფასდეს მხარეთა შორის 2008 წლის 22 აგვისტოს შეთანხმება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც სადავოა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე საწარმოს მიერ გაწეული მომსახურების ოდენობისა თუ ანაზღაურების საკითხი, სადავო საკითხებთან დაკავშირებით ავტომატურად მომსახურების შეწყვეტა ან შეწყვეტის უფლებით მანიპულირება (რაც აპელანტს არა კანონით, არამედ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით აქვს მინიჭებული) სადავო საკითხის მოწესრიგების გარეშე თავისთავად წარმოადგენს საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. შესაბამისად, ისეთ პირობებში, როდესაც მოწინააღმდეგე საწარმოს ერთადერთი საქმიანობა ქალაქის დასუფთავებაა, მასთან წყლის შეწყვეტის მუქარა და ამის შესახებ სადავო საკითხის გადაწყვეტლად შეთანხმების დადება სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენს. შესაბამისად, უმნიშვნელოა, ამ შეთანხმების მიხედვით ხდებოდა თუ არა ანაზღაურება 341-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან თავად ეს შეთანხმება ბათილია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს «ჯ. ფ-მა» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2000 წლის 1 მარტის '3-3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წყლის მოხმარების წესების 149-ე პუნქტი, 2007 წლის თებერვალში კი აღმრიცხველი გამოცხადდა არა ობიექტის შესამოწმებლად, არამედ აბონენტის მრიცხველზე არსებული მოხმარებული წყლის მონაცემის ასაღებად, რაც ზემოაღნიშნული ნორმით არ რეგულირდება.

როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2000 წლის 1 მარტის '3-3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქალაქო წყალსადენით სარგებლობის წესების 117-ე მუხლის დისპოზიცია, როდესაც მიიჩნია, რომ აღნიშნული მუხლი შპს „...“ წარმომადგენლებს სავალდებულო პირობად უყენებს აბონენტის წარმომადგენლის დასწრებას აბონენტის შემოწმებისას.

სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩათვალა აპელანტის პოზიცია შპს „... ჯგუფისათვის“ წყლის მიწოდების შეწყვეტის საფუძვლად, სარგებლობის წესების 170-ე მუხლზე მითითებით. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 1 მარტის '3-3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამოქმედო წესების 170-ე მუხლის თანახმად – „თ-ს“ უფლება აქვს, შეუწყვიტოს აბონენტს წყლის მიწოდება დადგენილ ვადაში წყლის სავსურის გადაუხდელობის შემთხვევაში. შესაბამისად, მოსარჩელე კომპანიას წყლის მიწოდება შეუწყდა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და უსაფუძვლოა სასამართლოს აპელირება სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლზე.

სასამართლომ არასწორად მიუთითა აპელანტის პოზიცია ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივარში აპელანტი ამტკიცებდა, თითქოს აღმრიცხველ ე. ა-ანს არ აუღია ანათვალი. შპს „ჯ. ფ-ის“ სააპელაციო საჩივარში განვითარებული მსჯელობა შეეხება იმ გარემოებას, რომ შპს „... ჯგუფის“ ტერიტორიაზე მისულმა შპს „ჯ. ფ-ის“ აღმრიცხველმა ანათვალი აიღო სამოქმედო წესების მოთხოვნების დაცვით.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. შპს «... ჯგუფი» უარს აცხადებს შპს «ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისათვის» 2008 წლის 22 აგვისტოს რესტრუქტურირების ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი 11446,86 ლარის ნახევრის – 5723,43 ლარის მოთხოვნაზე, ხოლო მეორე ნახევარი – 5723,43 ლარი შპს «... ჯგუფს» დაუჯდება კრედიტში;
2. 2008 წლის 22 აგვისტოს რესტრუქტურირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადაუხდელო თანხა – 14170,65 ლარი შპს «... ჯგუფს» ჩამოეწეროს 2009 წლის 22 დეკემბრის შპს «რ-ის», შპს «მ-ის», შპს «ს-ის», შპს «თ-ის» 100%-იანი წილის ნაყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 11 შეთანხმების შესაბამისად;
3. მხარეები უარს აცხადებენ სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯების მოთხოვნაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელშეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ჯ. ფ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 1 ოქტომბერს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 722,04 ლარის ნახევარი – 361,02 ლარი, კერძოდ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილების შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. ამასთან, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსახილველი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მხარეთა მორიგების შემთხვევაში, გადახდილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბაჟის კანონით გათვალისწინებული ოდენობის ნახევარი. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა წინასწარ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი – 722 ლარი. ამდენად, მას უნდა დაუბრუნდეს მითითებული თანხის ნახევარი – 361,02 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება შპს „ჯ. ფ-სა“ და შპს «... ჯგუფს» შორის შემდეგი პირობებით:

1. შპს «... ჯგუფი» უარს აცხადებს შპს «ჯ. ფ-სათვის» 2008 წლის 22 აგვისტოს რესტრუქტურირების ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი 11446,86 ლარის ნახევრის – 5723,43 ლარის მოთხოვნაზე, ხოლო მეორე ნახევარი – 5723,43 ლარი შპს «... ჯგუფს» დაუჯდება კრედიტში;

2. 2008 წლის 22 აგვისტოს რესტრუქტურირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადაუხდელი თანხა – 14170,65 ლარი შპს «... ჯგუფს» ჩამოეწეროს 2009 წლის 22 დეკემბრის შპს «რ-ის», შპს «მ-ის», შპს «ს-ის», შპს «... წყალის» 100%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 11 შეთანხმების შესაბამისად;

3. მხარეები უარს აცხადებენ სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯების მოთხოვნაზე.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება შპს „ჯ. ფ-ის“ სარჩელის გამო შპს «... ჯგუფის» მიმართ უკანონოდ დარიცხული გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

შპს „ჯ. ფ-ს“ დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 361,02 ლარი.

განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1ას-980-921-2010

11 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. დ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიის, ფ. ქ-ვასა და გ. შ-ძის მიმართ და მოითხოვა 2001 წლის 20 მარტის სოფელ ... მეკომურ-თა საერთო კრების 12 ოქმის არარა აქტად აღიარება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის დავალებულება, გააუქმოს გ. შ-ძის სარეგისტრაციო ჩანაწერები და 2008 წლის 13 თებერვლის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით 2001 წლის 20 მარტის სოფელ ... მეკომურთა საერთო კრების 12 ოქმი გ. შ-ძის ნაწილში აღიარებულ იქნა არარა აქტად, გ. შ-ძის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საჯარო რეესტრის ჩანაწერი ცნობილ იქნა ბათილად, 2008 წლის 13 თებერვალს გ. შ-ძესა და ფ. ქ-ვას შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მ. დ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, გ. შ-ძემ კი შეიტანა შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით მ. დ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გ. შ-ძის შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და მ. დ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი გ. შ-ძესა და ფ. ქ-ვას შორის 2008 წლის 13 თებერვალს დადებული ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ გ. შ-ძის საკუთრება სადავო მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა არარა აქტის საფუძველზე. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებულია არარსებული უფლება.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით და დაადგინა, რომ გ. შ-ძეს არ გააჩნდა საკუთრების უფლება 2008 წლის 13 თებერვლის ხელშეკრულებით გასხვისებულ მიწის ნაკვეთზე და მესამე პირს – ფ. ქ-ვას არარსებულ უფლებას ვერ გადასცემდა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გარბევა ბათილია.

სააპელაციო სასამართლომ ფ. ქ-ვა სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებულ სადავო ნივთის კეთილსინდისიერ შემძენად არ ჩათვალა, რადგან მიიჩნია, რომ ნაკვეთი მდებარეობს შემძენ ფ. ქ-ვას შვილის – ნ. ქ-ვას კუთვნილი მიწის ნაკვეთის გვერდით. ფ. ქ-ვას განმარტებით, მან სწორედ ქალიშვილისაგან შეიტყო გასაყიდი ნაკვეთის შესახებ და მისი მეშვეობით დაუკავშირდა გ. შ-ძეს. ამდენად, პალატის მოსაზრებით, ფ. ქ-ვას უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელმა გ. შ-ძემ საკუთრება მიიღო არაუფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით, ასევე, არარა აქტის გამოცემამდე და მას შემდეგაც ნაკვეთს ფლობდა მ. დ-ძის ოჯახი და გ. შ-ძე არ იყო ნივთის მესაკუთრე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა გ. შ-ძის პოზიცია, რომ მ. დ-ძე არ იყო მოთხოვნის უფლების მქონე პირი. სასამართლომ დაადგინა, რომ მ. დ-ძემ მოცემული მიწის ნაკვეთის საკუთრებად აღიარების მოთხოვნით მიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, მაგრამ ვერ მოახერხა ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, რადგან იგი წარმოადგენდა ფ. ქ-ვას საკუთრებას. ამგვარად, გასაჩივრებული გარიგებით დაირღვა აპელანტის კანონით გათვალისწინებული ინტერესი და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იგი მოთხოვნის უფლების მქონე პირია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ. შ-ძემ და ფ. ქ-ვამ გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და 2008 წლის 13 თებერვალს გ. შ-ძესა და ფ. ქ-ვას შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის ნაწილში მ. დ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 185-ე, 311-ე-312-ე მუხლები, არასწორად იხელმძღვანელა 56-ე მუხლის დანაწესით და ვერ დაასაბუთა, რა კავშირში იყო მითითებული ნორმა სადავო ურთიერთობასთან.

სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი, რადგან მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ბათუმის რაიონული პროკურატურის 2010 წლის 15 აპრილის კანონიერ ძალაში შესულ დადგენილებას სისხლის სამართლის '170098076 საქმის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული დადგენილებით არა თუ ფ. ქ-ვას, არამედ გამსხვისებელ გ. შ-ძის კეთილინდისიერებაშიც არ არის ეჭვი შეტანილი და პირდაპირაა მითითებული, რომ მიწის ნაკვეთის გაცემაზე მეკომურთა კრების არაუფლებამოსილების თაობაზე გ. შ-ძისათვის ცნობილი არ ყოფილა. აღნიშნული მხარემ შეიტყო შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ამავე დადგენილებით ირკვევა, რომ ფ. ქ-ვამ სადავო უძრავი ნივთის საფაური – 100000 აშშ დოლარი გ. შ-ძეს სრულად გადაუხადა. მითითებული გარემოება კი გამორიცხავს გარიგების თვალთმაქცურობის შესახებ სასამართლოს მოსაზრებას.

სასამართლოს მიერ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებანი დადგენილია ისე, რომ მათ რაიმე მტკიცებულება საფუძვლად არ უდევს და ეფუძნება მხოლოდ სასამართლოს ვარაუდს, რაც მოქმედი კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ფ. ქ-ვასა და გ. შ-ძის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და კასატორებს სახელმწიფო ბაჟის – 6000 ლარის გადახდა გადაუვადდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. ფ. ქ-ვა (პირადი '61001034223) თანახმაა, მორიგების აქტის დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში მ. დ-ძეს გადაუხადოს 6000 აშშ დოლარი. აღნიშნული 6000 აშშ დოლარის უზრუნველსაყოფად ფ. ქ-ვა იპოთეკით ტვირთავს მის საკუთრებაში არსებულ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე (ხელვაჩაურის სარეგისტრაციო ზონა 22, კოდი – 02, კვარტალი – 03, ნაკვეთი – 043) 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 500 კვ.მ მიწის ნაკვეთს;

2. მ. დ-ძე (პირადი '61007008412) თანახმაა, მორიგების აქტის დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში ფ. ქ-ვასაგან მიიღოს 6000 აშშ დოლარი. აღნიშნული 6000 აშშ დოლარის უზრუნველსაყოფად მ. დ-ძე თანახმაა, იპოთეკით დაიტვირთოს ფ. ქ-ვა საკუთრებაში არსებული ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე (ხელვაჩაურის სარეგისტრაციო ზონა 22, კოდი – 02, კვარტალი – 03, ნაკვეთი – 043) 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი;

3. მ. დ-ძე (პირადი '61007008412) 6000 აშშ დოლარის მიღების სანაცვლოდ უარს აცხადებს სასარჩელო მოთხოვნაზე 2008 წლის 13 თებერვლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე და სხვა პრეტენზია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე (ხელვაჩაურის სარეგისტრაციო ზონა 22, კოდი – 02, კვარტალი – 03, ნაკვეთი – 043) უძრავ ქონებაზე არ გააჩნია.

4. ფ. ქ-ვას (პირადი '61001034223) მიერ მორიგების აქტის დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში მ. დ-ძისათვის 6000 აშშ დოლარის გადაუხდელობის შემთხვევაში ფ. ქ-ვა მ. დ-ძეს უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადასცემს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე (ხელვაჩაურის სარეგისტრაციო ზონა 22, კოდი – 02, კვარტალი – 03, ნაკვეთი – 043) 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 500 კვ.მ მიწის ნაკვეთს;

5. მხარეები თანახმა არიან, გადასაცემი 500 კვ.მ უძრავი ქონების მდებარეობაზე, კერძოდ, გადასაცემი უძრავი ქონება უნდა მდებარეობდეს შემდეგი განლაგებით: ჩრდილოეთით – საავტომობილო გზა; დასავლეთით – ი. დ-ძის ნაკვეთი, სამხრეთით – ფ. ქ-ვას ნაკვეთი, აღმოსავლეთით – მ. მ-ძის ნაკვეთი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორები – ფ. ქ-ვა და გ. შ-ძე უნდა გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს სა-

კასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება ფ. ქ-ვასა და მ. დ-ძეს შორის შემდეგი პირობებით:

1. ფ. ქ-ვა თანახმაა, მორიგების აქტის დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში მ. დ-ძეს გადაუხადოს 6000 აშშ დოლარი. აღნიშნული 6000 აშშ დოლარის უზრუნველსაყოფად ფ. ქ-ვა იპოთეკით ტვირთავს მის საკუთრებაში არსებულ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე (ხელვაჩაურის სარეგისტრაციო ზონა 22, კოდი – 02, კვარტალი – 03, ნაკვეთი – 043) 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 500 კვ.მ მიწის ნაკვეთს;

2. მ. დ-ძე თანახმაა, მორიგების აქტის დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში ფ. ქ-ვასაგან მიიღოს 6000 აშშ დოლარი. აღნიშნული 6000 აშშ დოლარის უზრუნველსაყოფად მ. დ-ძე თანახმაა, იპოთეკით დაიტვირთოს ფ. ქ-ვა საკუთრებაში არსებული ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე (ხელვაჩაურის სარეგისტრაციო ზონა 22, კოდი – 02, კვარტალი – 03, ნაკვეთი – 043) 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი;

3. მ. დ-ძე 6000 აშშ დოლარის მიღების სანაცვლოდ უარს აცხადებს სასარჩელო მოთხოვნაზე 2008 წლის 13 თებერვლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე და სხვა პრეტენზია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე (ხელვაჩაურის სარეგისტრაციო ზონა 22, კოდი – 02, კვარტალი – 03, ნაკვეთი – 043) უძრავ ქონებაზე არ გააჩნია.

4. ფ. ქ-ვას მიერ მორიგების აქტის დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში მ. დ-ძისათვის 6000 აშშ დოლარის გადაუხდელობის შემთხვევაში ფ. ქ-ვა მ. დ-ძეს უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადასცემს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე (ხელვაჩაურის სარეგისტრაციო ზონა 22, კოდი – 02, კვარტალი – 03, ნაკვეთი – 043) 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 500 კვ.მ მიწის ნაკვეთს;

5. მხარეები თანახმა არიან, გადასაცემი 500 კვ.მ უძრავი ქონების მდებარეობაზე, კერძოდ, გადასაცემი უძრავი ქონება უნდა მდებარეობდეს შემდეგი განლაგებით: ჩრდილოეთით – საავტომობილო გზა; დასავლეთით – ი. დ-ძის ნაკვეთი; სამხრეთით – ფ. ქ-ვას ნაკვეთი, აღმოსავლეთით – მ. მ-ძის ნაკვეთი.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება მ. დ-ძის სარჩელის გამო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიის, ფ. ქ-ვასა და გ. შ-ძის მიმართ გარიგების ბათილად ცნობის შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განემართოს მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველთა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

კასატორები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდნენ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

1ას-802-751-2010

22 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ი-ანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში კ. ი-ანისა და ლ. ს-ას მიმართ გარდაცვლილ კ. ი-ანის მემკვიდრეების, კ. ი-ანისა და ლ. ს-ასათვის, ზიანის – 40000 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: ა. ი-ანი არის აწ გარდაცვლილი კ. ი-ანის ძმა, რომელმაც 1999 წლის 29 ივნისს ა. ი-ანის სახელით გაცემული მინდობილობის საფუძველზე მოსარჩელის კუთვნილი ქ.თბილისში, ... ქ. 136-ში მდებარე უძრავი ქონება 1999 წლის 5 ივლისს მიჰყიდა თავის შვილს კ. ი-ანს, რომელმაც შემდეგ მიჰყიდა ზ. ხ-შვილს, კ. ი-ანი გარდაიცვალა 2003 წლის 22 აპრილს, მისი სამკვიდრო ქონება მემკვიდრეობით მიიღო მეუღლე ლ.

ს-ამ და შვილმა კ. ი-ანმა, კერძოდ, ლ. ს-ამ მემკვიდრეობით მიიღო ქ. ქობულეთში, ... გამზირის '1...-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული საცხოვრებელი სახლის 1/2, ასევე, ქ.თბილისში, ... ქ. 171-ში მდებარე 53 კვ. მ არასაცხოვრებელი ფართობი. კ. ი-ანმა მემკვიდრეობით მიიღო: ქ.თბილისში, დიდ ლილოში, სოფელ ... მდებარე 0,15 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო ლ. ს-ამ და კ. ი-ანმა ერთობლივად და თანაბარწილად ასევე მიიღეს ქ.თბილისში, ... გამზირ 149 ბ-ში მდებარე 1062 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან და 717 კვ.მ შენობა-ნაგებობებიდან 85/717; მოსარჩელე 2001 წლიდან 2003 წლის 20 მაისამდე დაპატიმრებული იყო. მოსარჩელისათვის მისი კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე ცნობილი გახდა 2003 წელს, როდესაც გაათავისუფლეს. მოსარჩელემ, მისი სახელით 1999 წლის 29 ივნისს გაცემული მინდობილობის გაყალბების გზით კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისების ფაქტზე საგამოძიებო ორგანოებს მიმართა 2003 წლის ივნის-ივლისში.

მოპასუხეებმა ლ. ს-ამ და კ. ი-ანმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კ. ი-ანმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, არასწორია, რადგან აღნიშნულზე არ არსებობს ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, ასევე არასწორია მოსარჩელის მოსაზრება ქ.თბილისში, ... გამზირ 136-ში მდებარე ფართის 40 000 აშშ დოლარად ღირებულების თაობაზე, ვინაიდან ა. ი-ანის თანხმობით ქონება განიკარგა 4000 ლარად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ი-ანის სარჩელი დაკმაყოფილდა მოპასუხეებს, ლ. ს-ასა და კ. ი-ანს მოსარჩელე ა. ი-ანის სასარგებლოდ დაეკისრათ 40 000 აშშ დოლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს კ. ი-ანმა და ლ. ს-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 ივნისის განჩინებით კ. ი-ანისა და ლ. ს-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა. ი-ანი არის აწ გარდაცვლილი კ. ი-ანის ძმა, რომელმაც 1999 წლის 29 ივნისს ა. ი-ანის სახელით გაცემული მინდობილობის საფუძველზე მოსარჩელის კუთვნილი, ქ.თბილისში, ... 136-ში მდებარე უძრავი ქონება, 1999 წლის 5 ივლისს მიჰყიდა ზ. ხ-შვილს, კ. ი-ანი გარდაიცვალა 2003 წლის აპრილში. კ. ი-ანის სამკვიდრო ქონება მემკვიდრეობით მიიღო მეუღლე ლ. ს-ამ და შვილმა კ. ი-ანმა, კერძოდ, ლ. ს-ამ მემკვიდრეობით მიიღო ქ.ქობულეთში, ... გამზ. '1...-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული საცხოვრებელი სახლის ნაწილი, თბილისში, ... ქუჩა 171-ში მდებარე 53 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი. კ. ი-ანმა მემკვიდრეობით მიიღო: ქ.თბილისში, დიდ ლილოში, სოფელ ... მდებარე 0,15 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო ლ. ს-ამ და კ. ი-ანმა ერთობლივად და ასევე თანაბარწილად მიიღეს თბილისში, ... გამზირ 149ბ-ში მდებარე 1062 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთიდან 717 კვ.მ შენობა-ნაგებობებიდან 85/717. ა. ი-ანი 2001 წლიდან 2003 წლის 20 მაისამდე დაპატიმრებული იყო.

სააპელაციო პალატამ საქსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2007 წლის 20 ივნისის ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით, დადასტურებულად ცნო, რომ 1999 წლის 29 ივნისის მინდობილობაზე არსებული ხელმოწერა შესრულებულია არა ა. ი-ანის, არამედ – სხვა პირის მიერ.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის 2009 წლის 21 ივლისის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება, ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირის – კ. ი-ანის გარდაცვალების გამო; კანონიერ ძალაში შესული, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული შემაჯამებელი აქტით (დადგენილებით) დადგენილად ცნო, რომ 1999 წლის 5 ივლისს კ. ი-ანის მიერ ნოტარიუს ნ. მ-ასთან წარადგინეს და გამოყენებულ იქნა 1999 წლის 29 ივნისით დათარიღებული მინდობილობა, რომელზედაც გაყალბებული იყო ხელის მოწერა, კერძოდ, მინდობილობაზე ა. ი-ანის ნაცვლად ხელის მოწერა შესრულებული იყო არა ა. ი-ანის, არამედ, სხვა პირის მიერ; არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება გასხვისებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ 2009 წლის ნოემბრის მდგომარეობით ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრას სასამართლომ საფუძვლად დაუდო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აუდიტორ ბ. დ-ძის მიერ გაცემული დასკვნა, რომლითაც იგი 40 000 აშშ დოლარს შეადგენს, აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება კი მოპასუხეებს არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას არ წარუდგენიათ; არ გაიზიარა ასევე აპელანტების მითითება იმის შესახებ, რომ აუდიტორის მიერ შეფასებულ იქნა გაცილებით მეტი ქონება, ვიდრე ა. ი-ანის მიერ გასხვისებული უძრავი ნივთი, რადგან მიიჩნია, რომ საქმეზე დართული დასკვნით განისაზღვრა სწორედ თბილისში, ... გამზირ 136-ში, III სართულზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართის საბაზრო ღირებულება, რომელიც ა. ი-ანისაგან შეიძინა ზ. ხ-შვილმა. სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლები.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასაბუთება და მიუთითა, რომ ა. ი-ანს კ. ი-ანის წინაშე არ გამოუვლენია ა. ი-ანის კუთვნილი ქონების გასხვისების ნება, შესაბამისად, ა. ი-ანს არც უძრავი ქონების გასხვისების ნება გამოუხატავს. ამდენად, მიიჩნია, რომ გაყალბებული მინდობილობის საფუძველზე აწ გარდაცვლილი კ. ი-ანის მიერ ა. ი-ანის სახელით დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 54-ე და 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლომ სწორად ჩათვალა ბათილ გარიგებად, რამდენადაც, არ არსებობდა ა. ი-ანის მიერ გამოვლენილი ნება; ასევე მართებულად მიიჩნია დავის გადაწყვეტისათვის სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 409-ე და 1484-ე მუხლების გამოყენება. სააპელაციო პალატის აზრით, ვინაიდან ამჟამად უძრავი ქონება გას-

ხვისებულა მესამე პირზე, მოპასუხეებს, როგორც კ. ი-ანის მემკვიდრეებს, ეკისრებათ ფულადი კომპენსაციის სახით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მითითება იმის შესახებ, რომ კ. ი-ანის სამკვიდრო მათთან ერთად მიიღეს სხვა მემკვიდრეებმაც და ამასთან დაკავშირებით განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს. ამავე კოდექსის 1484.1 მუხლით მემკვიდრეები ვალდებული არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ, მიღებული აქტივის ფარგლებში. ამდენად, გარდაცვლილი კ. ი-ანის კრედიტორთა მიმართ სოლიდარული ვალდებულება ეკისრებათ მის მემკვიდრეებს. ამასთან, სსკ-ის 465-ე მუხლით კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სამართლებრივად უმნიშვნელოა ის გარემოება, რომ კ. ი-ანის სამკვიდრო აპელანტების გარდა, მიიღეს ასევე სხვა პირებმაც, რადგან კრედიტორი უფლებამოსილია, შესრულება ნებისმიერი მემკვიდრისაგან მოთხოვოს. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ აპელანტებმა მამკვიდრებლისაგან მემკვიდრეობით მიიღეს მეტი ღირებულების ქონება, ვიდრე სარჩელის დავის საგანია, რაც სადავოდ არ გაუხდიათ აპელანტებს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მითითება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, რომლის თანახმად ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პალატამ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება შეწყდა 2009 წლის 21 ივლისის დადგენილებით, კანონიერ ძალაში შესული აღნიშნული აქტი დადგინდა კ. ი-ანის მიერ ყალბი მინდობილობის გამოყენების ფაქტი. ამდენად, მიიჩნია, რომ უფლების წარმოშობიდან სარჩელის აღძვრამდე (2009 წლის 26 ოქტომბრამდე) ხანდაზმულობის ვადა გასული არ არის.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხარვეზიანი სარჩელი იქნა მიღებული სასამართლოს წარმოებაში, კერძოდ, სასამართლომ იმსჯელა იმ სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლის შესახებაც მოსარჩელე არ მიუთითებდა. ამასთან დაკავშირებით, პალატამ მიუთითა, რომ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე ა. ი-ანმა შეავსო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი, ხოლო, რაც შეეხება აპელანტების მითითებას სასამართლოს მიერ იმ ნორმათა გამოყენებას, რომლებზედაც არ მიუთითებია მოსარჩელეს, პალატამ განმარტა, რომ სასამართლო ვერ გასცდება მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივ გარემოებებსა და მოთხოვნებს, ხოლო სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, მხარეთა შორის არსებული სადავო საკითხების გადაწყვეტისათვის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისადმი სამართლის ნორმის შეფარდება სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს და იგი შუზღუდული არ არის მხოლოდ მხარის მიერ მითითებული სამართლის ნორმებით; მხარის მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძვლის შეცვლით სასამართლომ არ უნდა შეცვალოს მოსარჩელის მიერ მოთხოვნის საფუძველად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს კ. ი-ანმა და ლ. ს-ამ და მოთხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლი, კერძოდ, არ გამოუკვლეოდა, როდის გახდა ცნობილი მოსარჩელისათვის სამკვიდროს გახსნის შესახებ, წარუდგინა თუ არა მოსარჩელემ ექვსთვიან ვადაში მოთხოვნები მემკვიდრეებს და ხომ არ არსებობდა მოსარჩელის მიერ კანონით მინიჭებული უფლების დაკარგვა, მოსარჩელეს მათთვის (მოპასუხეებისთვის), როგორც მემკვიდრეებისათვის, მოთხოვნა არ წარუდგენია კანონით დადგენილი ექვსთვიან ვადაში (მოსარჩელისათვის სამკვიდროს გახსნის შესახებ უკვე იცოდა 2003 წლის აპრილში, რადგანაც საპატიმრო ადგილიდან სამდღიანი შვებულებით იყო გათავისუფლებული და ესწრებოდა დაკრძალვის ცერემონიალს), შესაბამისად, მოსარჩელეს მოთხოვნა უნდა წარედგინა 2003 წლის ნოემბრამდე, რაც არ გაუკეთებია; მიუხედავად იმისა, რომ სარჩელი უსაფუძვლო იყო, სასამართლომ მოთხოვნის უფლების წარმოშობა დაუკავშირა ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის 2009 წლის 21 ივლისის დადგენილებას და დაადგინა ისეთი ფაქტები, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მოთხოვნა, კერძოდ, არ დაადგინა ის სამართლებრივი ურთერთობა, საიდანაც გამომდინარეობდა მოსარჩელის მოთხოვნა, რამაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასება განაპირობა; მოსარჩელის მოთხოვნა დამყარებული იყო აწ გარდაცვლილ კ. ი-ანის მიერ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, ანუ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იყო ზიანის მიყენების (დელიქტის) შედეგად წარმოშობილი ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი); კანონისმიერ

რი ვალდებულებითი ურთიერთობისას უნდა არსებობდეს შესაბამისი მოთხოვნის ყველა ფაქტობრივი ელემენტი, რომლის დადგენის შემდეგაც სასამართლომ უნდა შეამოწმოს ნამდვილია თუ არა მოთხოვნა, ანუ შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება. სააპელაციო სასამართლომ კი, დაუსაბუთებლად არ გაიზიარა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი გარემოება – ხანდაზმულობა; გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, მაშინ, როდესაც უნდა გამოეყენებინა ამავე კოდექსის 1008-ე მუხლის დანაწესი; სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივი გარემოებები, ამავდროულად მიუთითებს, რომ მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა მას შემდეგ, რაც გამოძიებით დადგენილ იქნა მინდობილობაზე მისი (მოსარჩელის) ხელმოწერის გაყალბება. აღნიშნული ეწინააღმდეგება თვით მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტს იმის შესახებ, რომ მან ჯერ კიდევ 2003 წლის ივნის-ივლისში შეიტყო უფლების დარღვევის თაობაზე, ანუ სიყალბის თაობაზე, რითაც სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის განჩინებით კ. ი-ანისა და ლ. ს-ას საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცების თაობაზე შემდეგი პირობებით:

მხარეები შეთანხმდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ა. ი-ანი უარს იტყვის სარჩელზე, ლ. ს-ა და კ. ი-ანი ვალდებულებას იღებენ, ნაწილ-ნაწილ 10 თვის განმავლობაში, ანუ 2011 წლის 31 დეკემბრამდე გადაუხადონ მოსარჩელს 25000 აშშ დოლარი შემდეგი თანმიმდევრობით:

– 2011 წლის 15 სექტემბრამდე 10 000 აშშ დოლარი;

– 2011 წლის 31 დეკემბრამდე 15 000 აშშ დოლარი;

ამასთან, ა. ი-ანი, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებს, არ იდავოს მომავალში ქ.თბილისში, ... ქ. 136-ში მდებარე უძრავი ქონებიდან გამომდინარე ყველანაირი სახის ზიანზე, მათ შორის სარდაფზე.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ სარჩელზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა რჩება ძალაში ამ მორიგებით ნაკისრი ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დაამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ს-ას უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 12 ოქტომბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 1782 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით, 49-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება ა. ი-ანსა და კ. ი-ანს და ლ. ს-ას შორის შემდეგი პირობებით:

მხარეები შეთანხმდნენ, რომ, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ა. ი-ანი უარს იტყვის სარჩელზე, ლ. ს-ა და კ. ი-ანი ვალდებულებას იღებენ, ნაწილ-ნაწილ 10 თვის განმავლობაში, ანუ 2011 წლის 31 დეკემბრამდე გადაუხადონ მოსარჩელს 25000 აშშ დოლარი შემდეგი თანმიმდევრობით:

- 2011 წლის 15 სექტემბრამდე 10 000 აშშ დოლარი;
- 2011 წლის 31 დეკემბრამდე 15 000 აშშ დოლარი;
ამასთან, ა. ი-ანი, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებს, არ იდავოს მომავალში ქ.თბილისში, ... ქ. '36'-ში მდებარე უძრავი ქონებიდან გამომდინარე ყველანაირი სახის ზიანზე, მათ შორის – სარდაფზე;
მხარეები შეთანხმდნენ, რომ სარჩელზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა რჩება ძალაში ამ მორიგებით ნაკისრი ვალდებულების სრულ შესრულებამდე;
შეწყდეს საქმის წარმოება ა. ი-ანის სარჩელის გამო კ. ი-ანსა და ლ. ს-ას მიმართ მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.
გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.
განემართოთ მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის იმავე საფუძველზე და იმავე საგანზე დაუშვებელია.
ლ. ს-ას დაუბრუნდეს მის მიერ მის მიერ 2010 წლის 12 ოქტომბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 1782 ლარი ლარი.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

ა.ს-630-591-2010

23 თებერვალი, 2011 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ვაგონებით სარგებლობის საფასურისა და ტვირთის შენახვის ხარჯების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით შპს «ს. რ-ის» სარჩელი მოპასუხეების – შპს «პ-ის», შპს «მ-სა» და შპს «ი-ის» მიმართ ვაგონით სარგებლობის საფასურისა და ტვირთის შენახვის ხარჯების დაკისრების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს «ს. რ-ა» 2003 წლის ივლისიდან 2004 წლის ბოლომდე აწარმოებდა აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრიდან ბათუმამდე მოპასუხე ფირმების – შპს «პ-ის», შპს «მ-სა» და შპს «ი-ის» კუთვნილი ნავთობის და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო გადაზიდვებს, რისთვისაც მოპასუხეები წინასწარ იხდიდნენ ტვირთის გადაზიდვის ღირებულებას;

ტვირთის დაცლა ხდებოდა ბათუმის ნავთობტერმინალში;

ვაგონ-ცისტერნების დაცლასა და ტვირთის მიღებას ახორციელებდნენ მოპასუხეები, როგორც ტვირთმომღებები;

საერთო ფორმის აქტები შედგენილი იყო როგორც ბათუმის სატვირთოში, ასევე, გზადმდებარე სადგურებში;

მოპასუხეებს საკუთრებაში არ გააჩნდათ სადგურ ბათუმის სატვირთოში მისასვლელი ლიანდაგი;

«შენახვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით არქივის განადგურების შესახებ» 2005 წლის 20 იანვრისა და 2006 წლის 3 თებერვლის ოქმების თანახმად, განადგურებულია სარკინიგზო გადაზიდვებთან დაკავშირებით შექმნილი 2002-2004 წლების დოკუმენტაცია, მათ შორის, საერთო ფორმის აქტები (ქმანი ფორმა გუ-23), ვაგონების მიწოდება-გამოყვანის უწყისები (ფორმა გუ-46), ტვირთის დანიშნულების ადგილზე ჩასვლის, ვაგონების დასატვირთად და გადმოსატვირთად მიწოდების წიგნები, მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვროები და სხვა დოკუმენტაცია;

შპს «ს. რ-სა» და ერთ-ერთ მოპასუხეს – შპს «მ-ს» შორის 2004 წლის 1 ნოემბერს გაფორმდა ურთიერთგანზრახულობათა ოქმი, რომლის შესაბამისად, შპს «ს. რ-ა» ვალდებულებას იღებდა სამი დღის განმავლობაში მიეწოდებინა მისთვის დეტალური ინფორმაცია პრეტენზიების თაობაზე, ხოლო, თავის მხრივ, შპს «მ-ს» ინფორმაციის მიღებიდან 7 დღის ვადაში უნდა განეხილა და მიეწოდებინა შპს «ს. რ-სათვის» შესაბამისი პასუხი. აღნიშნული ოქმით მხარეთა მიერ აღებული ეს ვალდებულებები არ შესრულებულა;

სს «ვითიბი ბანკის» მიერ გაცემული დოკუმენტის შესაბამისად, შპს «მ-ს» შპს «ს. რ-ს» სასარგებლოდ სადავო პერიოდში გადახდილი აქვს 150 000 აშშ დოლარი;

შპს «ს. რ-ს» სადავო პერიოდში მოპასუხეების მიმართ არ გამოუყენებია სამოქალაქო კოდექსის 685-ე და სარკინიგზო კოდექსის 58-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა თანახმად, რკინიგზას უფლება ჰქონდა, გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გამოეყენებინა ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო, ტვირთზე გირავნობის უფლება;

საქმეში არსებული მასალების საქსპერტო კვლევისათვის არასაკმარისობის მოტივით, საბუღალტრო ექსპერტიზით შეუძლებელი იყო იმის დადგენა, სასარჩელო მოთხოვნაში დაფიქსირებული თანხები შეესაბამებოდა თუ არა აქტებსა და უწყისებში დაფიქსირებულ თანხებს. ასევე არ დგინდებოდა, რამდენად შეესაბამებოდა მოპასუხეებისათვის დარიცხული თანხა 2003-2004 წლებში მოქმედ სატარიფო პოლიტიკას;

საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების, აგრეთვე, მხარეთა არგუმენტების შეფასების საფუძველზე, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენლობის გამო ვერ დასტურდებოდა მოპასუხეების – შპს «პ-ის», შპს «მ-სა» და შპს «ი-ის» ბრალეულობა, მიზეზობრივი კავშირი მოპასუხეების ქმედებასა და ვაგონების მოცდენის შემთხვევებს შორის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს «ს. რ-ა» ვაგონების მოცდენისა და მოცდენაში მოპასუხეების ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად მიიჩნევა საქმეში წარდგენილ საერთო ფორმის აქტებსა და თანდართულ უწყისებს, შუალედურ სადგურებში შედგენილ განკარგულებებსა და წერილებს, თუმცა შეკვეთილი წერილით საერთო ფორმის აქტის გაგზავნის დამადასტურებელი საფოსტი ქვითარი მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია, მაშინ, როდესაც აღნიშნულის შენახვის ვალდებულება ჰქონდა შპს «ს. რ-ს».

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიერ წარდგენილ საერთო ფორმის აქტებში ასახული დაყოვნების მიზეზები არ ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ვაგონების მოცდენა გამოწვეული იყო ტვირთიმძღვრის, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეების ბრალით.

სასამართლომ განმარტა, რომ ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება, თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. შპს «ს. რ-ა» დანიშნულების სადგურსა და შუალედურ სადგურებში ვაგონების დაყოვნებისა და დაყოვნებაში ტვირთიმძღვრის ბრალის არსებობას ადასტურებდა მხოლოდ სასამართლოსათვის მიცემული ახსნა-განმარტებით და ცალმხრივად შედგენილი აქტით, რაც, მისი ცალმხრივი ხასიათის გათვალისწინებით, ფაქტობრივად უთანაბრდებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მიცემულ ახსნა-განმარტებას. აქტის ცალმხრივი შედგენა ტვირთიმძღვრის წარმომადგენლის დაუსწრებლად საექვოს ხდიდა თავად ვაგონების დაყოვნების რეალურად არსებობის ფაქტს, რომელიც საფუძველად უნდა დადებოდა ვაგონით სარგებლობის საფასურის განსაზღვრას, მითუმეტეს, რომ საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნით საერთო ფორმის აქტებში მითითებული მოცდენის ვადები არ ემთხვეოდა გაანგარიშებებში მითითებულ ვადებს და საბოლოოდ ფიქსირდებოდა მიღება-ჩამბარების სამახსოვრო საფუძველზე შედგენილ უწყისში. მოცემულ შემთხვევაში სადავო პერიოდის მიღება-ჩამბარების სამახსოვრო მოსარჩელე მხარის მიერ განადგურებული იყო, ანუ ვაგონის დაყოვნების დრო შესაბამისი დოკუმენტით არ საბუთდებოდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვაგონებით სარგებლობის საფასურისა და მოცდენის ხარჯის გადახდის მოთხოვნის მართლზომიერება და გაანგარიშების სიზუსტე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ იყო გამყარებული. შპს «ს. რ-ს» ტვირთი უნდა მიეწოდებინა დაცლის ფრონტზე, რის შემდეგაც სამახსოვრო ბარათში უნდა შედგენილიყო ფორმა გუ-46, რომლის უწყისის საფუძველზე წარმოებს ანგარიშსწორება ვაგონების მიწოდების, გამოყვანისა და სამანევრო სამუშაოებისათვის, რომელიც შესრულებულია რკინიგზის ლოკომოტივით, ვაგონების გამოყენების საფასურის დასარიცხად და იგი უნდა ინახებოდეს შესაბამის სადგურში. აღნიშნული უწყისის წარდგენა სასამართლოს შესამღებლობას მისცემდა დაედსტურებინა ვაგონების დაყოვნების ფაქტის არსებობა, დაყოვნების მიზეზი და დაყოვნებისათვის დარიცხული თანხის შესაბამისობა მოცდენის რეალურ დროსთან. აღნიშნული დოკუმენტების არარსებობა არ გამორიცხავდა იმ გარემოებას, რომ ტერმინალის ჩიხში სხვა სუბიექტების ტვირთიც შეიძლებოდა ყოფილიყო მიწოდებული.

სასამართლოს მითითებით, შპს «ს. რ-ს» მიერ წარდგენილი უწყისები არ იყო გათვალისწინებული ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობით, არ იყო ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, არ იყო დადასტურებული შესაბამისი ბეჭდით, ზოგიერთ შემთხვევაში შეუსაბამო იყო შესაბამის აქტთან. ამდენად, საერთო ფორმის აქტების შედგენისას დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრა ამ დოკუმენტებით შეუძლებელი იყო.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილ ვაგონების შუალედურ სადგურში დაყოვნების თაობაზე შპს «ს. რ-ს» უფლებამოსილი პირის მიერ გაცემულ განკარგულებებში გაჩერების დრო მითითებული არ ყოფილა. გზად შექმნილი ქმანების უმრავლესობაზე მხოლოდ ერთი პირის ხელმოწერა იყო დაფიქსირებული, რაც ეწინააღმდეგებოდა სარკინიგზო კოდექსს და «რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესებს». არსებულ ვითარებაში შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ რა იყო ვაგონის გაჩერების, ვადის ათვლისა და, შესაბამისად, თანხის დარიცხვის საფუძველი.

შპს «ს. რ-ს» მიერ წარდგენილი რამდენიმე წერილის შინაარსიდან გამომდინარე, არ დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ მოცდენები მოპასუხეების ბრალით ხდებოდა, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს «ს. რ-მ», სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რაც უდავოდ დაადასტურებდა მოპასუხეების მიზეზით ტვირთის დაყოვნების ფაქტს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სარკინიგზო კოდექსის 23-ე მუხლის პირველი ნაწილი, 22-ე მუხლის მე-7 ნაწილი, 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის «გ» ქვეპუნქტი ნათლად განსაზღვრავენ მოცდენებზე რკინიგზის წინაშე პასუხისმგებელ სუბიექტებს. მოპასუხეებისათვის ვაგონის მოცდენის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ იმ მოტივით, რომ ისინი წარმოადგენდნენ ტვირთმიმღებს, უსაფუძვლო იყო და ეწინააღმდეგებოდა სარკინიგზო კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის თანახმად, მხარეები პასუხს აგებენ მხოლოდ მათ მიერ ჩადენილი ან მათი მიზეზით გამოწვეული სამართალდარღვევისათვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შენახვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით არქივის განადგურების შესახებ შპს «ს. რ-ს» მიერ წარდგენილ 2005 წლის 20 იანვრისა და 2006 წლის 3 თებერვლის ოქმებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არ გააჩნდა წინასწარ დადგენილი ძალა, ხოლო წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად სარჩელი დაუსაბუთებელი იყო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ს. რ-მ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, რომლითაც, ვაგონების დაყოვნების გამო, ვაგონით სარგებლობის საფასურისა და ტვირთის შენახვის ხარჯის სახით შპს «მ-ს» დაეკისრებოდა 793 892 ლარის, შპს «ი-ს» – 1 709 077 ლარის, ხოლო შპს «პ-ს» – 217 880 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განჩინებით შპს «ს. რ-ს» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რაც შემდეგში მდგომარეობდა: პირველი ინსტანციის სასამართლომ იმ საკითხის გადაწყვეტისას, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა მის მიერ მოყვანილი გარემოებები, არასწორად გამოიყენა «რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების» 440-ე მუხლის მე-2 პუნქტი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული პუნქტი ვერ განიხილებოდა ცალკე აღებული «რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების» სხვა პუნქტებისაგან მოწყვეტით. მითითებული 440-ე მუხლის მე-2 პუნქტი წარმოადგენს ნორმატიული აქტით განსაზღვრულ მტკიცებულებათა სტანდარტებიდან ერთ-ერთს და არა ერთადერთს (როგორც აპელანტი აღნიშნავდა). «რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების» იმ პერიოდში მოქმედი სხვა დებულებები ითვალისწინებდა, აგრეთვე, სხვა საბუთების შედგენას და მარტოოდენ ორი პირის ხელმოწერა აქტზე ვერ შეცვლიდა ნორმატიული აქტით განსაზღვრულ მტკიცების სტანდარტს. მაგალითად, იმ დროს მოქმედი «რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების» 434-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» პუნქტით, თუ საერთო ფორმის აქტის შედგენისას ტვირთგამგზავნი, ტვირთმიმღები ან სხვა ვალდებული პირი უარს აცხადებს ან თავს არიდებს ვაგონის (კონტეინერის) დაზიანების აქტის, მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვროს, ვაგონების მიწოდება-გამოყვანის უწყისის ან გადაზიდვის გეგმის შესრულების სააღრიცხვო ბარათის ხელმოწერაზე, საერთო ფორმის აქტი შეკვეთილი წერილით იგზავნება ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების ან სხვა შესაბამისი პირის მისამართით ამ დოკუმენტების მეორე ეგზემპლართან ერთად. წერილის გაგზავნის საფოსტო ქვითარი, წერილის ასლთან ერთად ინახება მის შემდგენელ სადგურში. შპს «ს. რ-ს» ეს წესი არ დაუცავს. ამ უკანასკნელის განმარტებით, შეუძლებელი იყო უცხოეთში მდებარე მოპასუხე ორგანიზაციებისათვის საერთო ფორმის აქტის შეკვეთილი წერილით გაგზავნა, თუმცა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასახელებული არგუმენტი არ წარმოადგენდა ნორმატიული აქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისაგან გადახვევის საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თუკი შპს «ს. რ-სათვის» შეუძლებელი იყო ნორმატიული აქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება, მას შეეძლო თავიდანვე უარი განეცხადებინა სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლაზე, რაც მხარეს არ განუხორციელებია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ვერ დაადგინა მოპასუხე იურიდიული პირების ბრალეულობა ვაგონების მოცდენაში, ვინაიდან მას არ წარუდგენია რაიმე ისეთი მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობითაც აღნიშნული გარემოება დადგინდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ საქალაქო სასამართლო არასწორად დაეყრდნო ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საბუღალტრო ექსპერტიზის მითითებას დავის გადასაწყვეტად ვაგონების მიწოდება-გამოყვანის უწყისების აუცილებლობის შესახებ და რომ მათი წარდგენა შესაძლებლობას მისცემდა ექსპერტსა და სასამართლოს, დაედასტურებინათ ვაგონების დაყოვნების ფაქტის არსებობა და დაყოვნებისათვის დარიცხული თანხის შესაბამისობა მოცდენის რეალურ დროსთან.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული ვერც ერთი მტკიცებულება ნათელს ვერ ხდიდა საკითხს იმის შესახებ, შპს «ს. რ-ს» მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობა თითოეული მოპასუხის მიმართ რა გზით იყო გამოანგარიშებული. ამასთან, აპელანტი ვერ ადასტურებდა შევიდა თუ არა სარჩელის მოთხოვნაში შპს «მ-ს» მიერ გადახდილი 150 000 აშშ დოლარი.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ვინაიდან აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მოითხოვდა სპეციალურ ცოდნას, საქალაქო სასამართლომ, მართებულად დანიშნა ექსპერტიზა, ხოლო მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელი აღმოჩნდა, ექსპერტმა მაინც განსაზღვრა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რამაც ხელი შეუწყო დავის გადაწყვეტას. შპს «ს. რ-ს», რომელმაც სასარჩელო წარმოება 2005 წელს დაიწყო, დავის წარმოების განმავლობაში შეემლო თავად წარედგინა სპეციალისტის ან ექსპერტის დასკვნა მის მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხების დაანგარიშების შესახებ ცალ-ცალკე, თითოეული მოპასუხის მიმართ, რაც არ განუხორციელებია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «ს. რ-მ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძვლებით:

შპს «ს. რ-ა» წარდგენილი სარჩელებით ითხოვდა მოპასუხეებისათვის ვაგონების დაყოვნების გამო ვაგონებით სარგებლობის საფასურისა და ტვირთის შენახვის ხარჯების ანაზღაურებას. აღნიშნული მოთხოვნა ეფუძნებოდა სარკინიგზო კოდექსის 22-ე-23-ე, 25-ე-26-ე, 36-ე მუხლებს, ამიტომ მოსარჩელემ მოთხოვნის დასაბუთებლად წარადგინა დანიშნულებისა და გზადმდებარე სადგურებში შედგენილი საერთო ფორმის აქტები, რომლებიც სასამართლომ უკანონოდ არ მიიჩნია სათანადო მტკიცებულებებად;

სასამართლო ვალდებული იყო, შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაედგინა, რეალურად მოხდა თუ არა ვაგონების მოცდენა. სარკინიგზო კოდექსის 52.1 მუხლის მიხედვით, გარემოებები, რომლებიც სარკინიგზო მიმოსვლის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დასტურდება კომერციული, ტექნიკური და საერთო ფორმის აქტებით. ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტი ადგენს, რომ ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიწოდების დაყოვნებისას დგება საერთო ფორმის აქტი, რომლის საფუძველზეც ტვირთმიმღები ვალდებულია გადაუხადოს რკინიგზას საფასური. კიდევ უფრო მკაფიოა «რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების» 433-ე მუხლის 1-ლი პუნქტის «ბ» და «გ» ქვეპუნქტები, რომელთა თანახმად, საერთო ფორმის აქტით დასტურდება შემდეგი მნიშვნელობის ფაქტი: დანიშნულების სადგურში ვაგონების დაყოვნება ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგის მოსარგებლის მიზეზით; დატვირთული ვაგონების დაყოვნება შუალედურ სადგურში იმის გამო, რომ ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის მიზეზით მათ ვერ იღებენ მომიჯნავე სადგურები;

ამდენად, სარკინიგზო კანონმდებლობით საერთო ფორმის აქტი არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლით დადგენილი ერთადერთი სათანადო მტკიცებულება, რომლითაც უდავოდ დასტურდება ვაგონების მოცდენის ფაქტი. ვაგონების მოცდენასთან დაკავშირებით ასეთ უტყუარ მტკიცებულებად არის მიჩნეული საერთო ფორმის აქტი საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკითაც. მიუხედავად ამისა, სასამართლომ რკინიგზის მიერ წარდგენილი საერთო ფორმის აქტები არ მიიჩნია სათანადო მტკიცებულებად, რადგან მათ ხელს აწერენ მხოლოდ რკინიგზის თანამშრომლები. ამასთან, ეს აქტები შეკვეთილი წერილით არ გაგზავნილა მოპასუხე ტვირთმიმღებ ფირმებთან;

სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტისას არ გამოიყენა «რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების» იმჟამად მოქმედი რედაქციის 440.2 მუხლი, რომლის მიხედვით, საერთო ფორმის აქტზე სავალდებულო იყო ორი ხელმოწერა. ასეთი კი მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა. საქმეზე წარდგენილ აქტებზე არის სადგურის თანამშრომლების ხელმოწერა. ერთადერთ გამონაკლისს, როდესაც საერთო ფორმის აქტზე სავალდებულო იყო ტვირთმიმღების წარმომადგენლის ხელმოწერა, წარმოადგენდა შემთხვევა, როდესაც ტვირთის გადაზიდვა ხორციელდებოდა გამყოლის თანხლებით, რაც სადავო გადაზიდვებში არ მომხდარა. იმის გამო, რომ მოპასუხე ფირმების წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ საერთო ფორმის აქტის ხელმოწერაზე, დანიშნულების სადგურ ბათუმის სატვირთოში შედგენილ აქტებზე დაფიქსირებულია სადგურის თანამშრომლების კონცელიმისა და კუდაკოვის ხელმოწერები. ეს პირები წარმოადგენდნენ პასუხისმგებელ პირებს, რომლებსაც ევალებოდათ ვაგონების მოცდენების ზუსტი აღრიცხვა და კონტროლი;

სასამართლომ «რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების» 434.1 მუხლის «ბ» ქვეპუნქტზე დაყრდნობით რკინიგზის თანამშრომლების მიერ ხელმოწერილი საერთო ფორმის აქტები არ მიიჩნია სათანადო მტკიცებულებებად იმის გამოც, რომ რკინიგზას ეს აქტები არ გაუგზავნია ტვირთმიმღების მისამართზე. მითითებული ნორმის თანახმად, თუ საერთო ფორმის აქტის შედგენისას ტვირთმიმღები უარს აცხადებს ხელმოწერაზე, საერთო ფორმის აქტი შეკვეთილი წერილით ეგზავნება ტვირთმიმღებს. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს ეს ნორმა არ უნდა გამოეყენებინა და უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ ტვირთმიმღები მოპასუხე ფირმები საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირები არ არიან და ოფისები საქართველოში არა აქვთ. ისინი არიან არარეზიდენტი პირები, მათი ადგილსამყოფელია დუბაი, არაბთა გაერთიანებული ემიგრანტები და სინგაპური. ამასთან, სადავო გადაზიდვა იყო საერთაშორისო გადაზიდვა. მოპასუხეებთან სახელმეორეულებო ურთიერთობა უშუალოდ დაამყარა აზერბაიჯანის რკინიგზამ, გადაზიდვა დაიწყო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და შესაბამისად, საგზაო უწყისი გამოიწერა ამ ქვეყნის რკინიგზის მიერ. იმ მიზეზით, რომ შეკვეთილ წერილებს ვერ გააგზავნიდა ტვირთმიმღებ ფირმებთან, შპს «ს. რ-ა» უარს ვერ იტყოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან წამოსული ტვირთის გადაზიდვაზე.

სასამართლომ სათანადო მტკიცებულებების წარუდგენლობის გამო დადასტურებულად არ მიიჩნია მოპასუხე იურიდიული პირების ბრალეულობა ვაგონების მოცდენებში და ვერც მიზეზობრივი კავშირი დაად-

გინა მოპასუხეების ქმედებებსა და ვაგონების მოცდენებს შორის, რაც არასწორია. ძირითადად ვაგონები მოცდა დანიშნულების სადგურ ბათუმის სატვირთოში. საქმეში წარდგენილია ამის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებები – საერთო ფორმის აქტები. დასახელებულ აქტებში ვაგონების მოცდენის მიზეზად მითითებულია დაცლის მოლოდინსა და დაცლის ფრონტის არარსებობაზე. სარკინიგზო კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, რკინიგზა ვალდებულია, ტვირთი დანიშნულების ადგილზე მიიტანოს ვადაში. ამავე კოდექსის 47.1 და სამოქალაქო კოდექსის 686.1 მუხლებიდან გამომდინარე, გადამზიდველი (რკინიგზა) პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, ასევე – მიტანის ვადის გადაცილებისათვის. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მოპასუხე ფირმებს არასდროს გამოუთქვამთ პრეტენზია «ს. რ-ს» მიმართ ტვირთის გადაზიდვის დაყოვნებისათვის. შესაბამისად, მათ არასდროს მოუთხოვიათ გადაზიდვის დაგვიანებით გამოწვეული ზიანის, მაგალითად, ტანკერების მოცდენის ხარჯების ანაზღაურება;

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლისა და სარკინიგზო კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეზე დადგენილია ვაგონების მოცდენებში მოპასუხეების ბრალი, მიზეზობრივი კავშირი მათ უმოქმედობასა და ვაგონების დაყოვნების გამო მოსარჩევეებისათვის მიყენებულ ზიანს შორის. რკინიგზის ინფორმაციით, კერძოდ, ტერმინალის თანამშრომლების განმარტებით, ტანკერების დროულად ჩაუსვლელობის გამო მოპასუხეები ვერ ახერხებდნენ ვაგონ-ციტერნების დაცლას. ტერმინალში მათი საცავები არ იყო თავისუფალი, რაც ნიშნავს დაცლის ფრონტის არარსებობას. აღნიშნულს ცხადყოფს რკინიგზის მიერ წარდგენილი შეტყობინება-წერილები მოპასუხე ფირმებისადმი და ნავთობტერმინალის წერილი, ტანკერების დაგვიანების და თავისუფალი საცავების უქონლობის გამო მოპასუხეთა ტვირთის მნიშვნელოვანი შეფერხებით მიღების შესახებ, რომელთა გამაქარწყლებელი მტკიცებულება მოპასუხეებს არ წარუდგენიათ;

საერთო ფორმის აქტებში «რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების» იმჟამად მოქმედი 440.1 მუხლის შესაბამისად, დაფიქსირებულია თითოეული მოცდენილი ვაგონის ნომერი, მოცდენის დაწებისა და დასრულების დრო (თარიღის, საათისა და წუთების მითითებით). სასამართლოს და ექსპერტს სასევე წარედგინა 2003-2004 წლების «რკინიგზის სატარიფო პოლიტიკის» 32-ე მუხლის ქსეროასლები. შესაბამისად, საერთო ფორმის აქტებისა და «სატარიფო პოლიტიკის» შესწავლა-შეჯერებით ექსპერტს თავისუფლად შეეძლო შეემოწმებინა მოცდენებზე დარიცხული თანხების სისწორე, რაც სააპელაციო სასამართლოს განუხორციელებია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის განხილვისას მხარეები მორიგდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

1. მხარეები ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ მათ შორის საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოებული სამოქალაქო დავა (საქმე 'ას-1156-1032-10) სურთ დაასრულონ მორიგებით, რომლის პირობები აღნიშნულია ქვემოთ, წინამდებარე მორიგების აქტში;

2. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მორიგების აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;

3. მხარეები თანხმდებიან, რომ მომავალში არ მიმართავენ სასამართლოს წინამდებარე მორიგების აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით და კისრულობენ ვალდებულებას, რომ კეთილსინდისიერად, დროულად და ჯეროვნად შეასრულებენ მორიგების ამ აქტით ნაკისრ ვალდებულებებს;

4. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეები მორიგდნენ შემდეგი პირობებით:
– მოწინააღმდეგე მხარე (შპს «პ-ი», შპს «მ-ი», შპს «ი-ი») აღიარებს კასატორის (შპს «ს. რ-ა») მიმართ დავალიანებას 900 000 ლარის ოდენობით;

– მოწინააღმდეგე მხარე აცხადებს, რომ შპს «... კომპანია» (წარმოდგენილი მისი დირექტორის ა. ა-ს სახით) მოწინააღმდეგე მხარის ნაცვლად, მისი დავალებით, წინამდებარე აქტის ხელმოწერის მომენტში უხდის კასატორს 900 000 ლარს შემდეგ საბანკო ანგარიშზე: ბანკის დასახელება – სს «... ბანკი» (დიდუბის ფილიალი), ბანკის კოდი – UGEBBE22, ანგარიშის ¹ BE03Vთ650000005553407;

5. მორიგების აქტის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამტკიცების დღიდან წყდება მხარეებს შორის არსებული სამოქალაქო დავა (საქმე 'ას-1156-1032-10) და მხარეები აცხადებენ, რომ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ;

6. მხარეებისათვის ცნობილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებული სამოქალაქო დავის მორიგებით დასრულებისა და ამ საფუძველით საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ დავა იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით დაუშვებელია;

7. მხარეები აცხადებენ, რომ მორიგების აქტის დამტკიცების მომენტიდან არ გამოთქვამენ პრეტენზიას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაღებულ სახელმწიფო ბაჟებთან დაკავშირებით;

8. წინამდებარე მორიგების აქტი ხელმოწერილია მხარეთა მიერ და წარმოადგენს მხარეთა შორის მიღწეული სრული მორიგების ამსახველ დოკუმენტს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და საქმის წარმოება უნდა შეწყდეს. ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელშეობრედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარეები მორიგდნენ სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ამიტომ კასატორ შპს «ს. რ-ს» უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (8000 ლარი) ნახევარი – 4000 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

I. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. მხარეები ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ მათ შორის საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოებული სამოქალაქო დავა (საქმე 'ას-1156-1032-10) სურთ დაასრულონ მორიგებით, რომლის პირობები აღნიშნულია ქვემოთ, წინამდებარე მორიგების აქტში;

2. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მორიგების აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;

3. მხარეები თანხმდებიან, რომ მომავალში არ მიმართავენ სასამართლოს წინამდებარე მორიგების აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით და კისრულობენ ვალდებულებას, რომ კეთილსინდისიერად, დროულად და ჯეროვნად შეასრულებენ მორიგების ამ აქტით ნაკისრ ვალდებულებებს;

4. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეები მორიგდნენ შემდეგი პირობებით:

– მოწინააღმდეგე მხარე (შპს «პ-ი», შპს «მ-ი», შპს «ი-ი») აღიარებს კასატორის (შპს «ს. რ-ს») მიმართ დავალიანებას 900 000 ლარის ოდენობით;

– მოწინააღმდეგე მხარე აცხადებს, რომ შპს «... კომპანია» (წარმოდგენილი მისი დირექტორის ა. ა-ს სახით) მოწინააღმდეგე მხარის ნაცვლად, მისი დავალებით, წინამდებარე აქტის ხელმოწერის მომენტში უხდის კასატორს 900 000 ლარს შემდეგ საბანკო ანგარიშზე: ბანკის დასახელება – სს «... ბანკი» (დიდუბის ფილიალი), ბანკის კოდი – UGEBBE22, ანგარიშის № EO3Vთ65000000553407;

5. მორიგების აქტის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამტკიცების დღიდან წყდება მხარეებს შორის არსებული სამოქალაქო დავა (საქმე 'ას-1156-1032-10) და მხარეები აცხადებენ, რომ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ;

6. მხარეებისათვის ცნობილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში არსებული სამოქალაქო დავის მორიგებით დასრულებისა და ამ საფუძველზე საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ, დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე დაუშვებელია;

7. მხარეები აცხადებენ, რომ მორიგების აქტის დამტკიცების მომენტიდან არ გამოთქვამენ პრეტენზიას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გადებულ სახელმწიფო ბაჟებთან დაკავშირებით.

II. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება და შეწყდეს საქმის წარმოება.

III. განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

IV. შპს «ს. რ-ს» დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (8000 ლარის) ნახევარი – 4000 ლარი.

V. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. საქმის წარმოების განახლება

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

განჩინება

1ას-25-24-2010

22 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ნ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. შ-ძის მიმართ საცხოვრებელ სადგომზე, მისი საბაზრო დი-რებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ საკუთრების უფლების მოსარჩელისათვის გადაცემის შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ნ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს მ. შ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 5500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება, გ. ნ-შვილი ცნობილ იქნა ქ. თბილისში, ... ქ'5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ლიტ «ა-ს» სარდაფის სართულის 16,10 კვ.მ '4 ოთახისა და მის წინ მდებარე 11,34 კვ.მ სათავის მესაკუთრედ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. შ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აპრილის განჩინებით დამტკიცდა მხარეთა მიერ წარდგენილი მორიგების აქტი, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმის წარმოება შეწყდა.

გ. ნ-შვილის მეუღლე ბ. ჯ-შვილმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა მხარეთა შორის მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძვლით, რომ მას მოსარჩელის მსგავსად აქვს სადავო საცხოვრებელ სადგომზე უფლება. მოცემული საქმის განხილვისას ბ. ჯ-შვილი სათანადო წესით მიწვეული არ ყოფილა, ვინაიდან მეუღლემ აღნიშნული დავის არსებობა მას დაუმალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინებით ბ. ჯ-შვილის განცხადება არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 2009 წლის 14 აპრილის განჩინების ბათილად ცნობა განმცხადებელმა მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში პალატამ დადგინდა მიიჩნია, რომ იმ საფუძველზე მითითება, რომლითაც მხარემ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა, ბ. ჯ-შვილს შეეძლო როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, კერძოდ, დაუსაბუთებელია ბ. ჯ-შვილის მითითება მოცემული დავის არსებობის არცოდნის შესახებ, ვინაიდან საქმის მასალებში წარმოდგენილი ხელწერილის თანახმად, ბ. ჯ-შვილმა ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას შეიტყო მოცემული დავის არსებობის ფაქტი. აღნიშნულის დასადასტურებლად პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ გ. ნ-შვილის სახელზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაგზავნილი სასამართლო უწყება ადრესატისათვის გადასაცემად ჩაიბარა მისმა მეუღლე ბ. ჯ-შვილმა. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლით, 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით და ჩათვალა, რომ, ზემოხსენებული გარემოების მიუხედავად, ბ. ჯ-შვილს საქმეში მხარედ ჩაბმის მოთხოვნით სასამართლოსათვის არ მიუძღრთავს, რაც თავისთავად გამორიცხავს მოცემული განცხადების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ბ. ჯ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ გ.ნ-შვილისა და დ.შ-ძის მორიგებით დაირღვა ბ.ჯ-შვილის უფლებები. უდავოა, რომ კერძო საჩივრის ავტორი სადავო ბინის ისეთივე მოსარგებლეა, როგორც გ.ნ-შვილი. დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მითითება, რომ რადგან ბ.ჯ-შვილი გ.ნ-შვილის რეგისტრირებული მეუღლეა, მისთვის ცნობილი იყო მოცემული დავის არსებობის ფაქტი. ბ.ჯ-შვილი ძირითადად ცხოვრობს სოფლად და მეუღლის საქმიანობას სრული მოცულობით არ იცნობს. სადავო ფართზე უფლება მხარეს წარმოეშვა არა გ.ნ-შვილთან რეგისტრირებული ქორწინების, არამედ «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ ბ. ჯ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები. ამავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ან განჩინების ბათილად ცნობის ერთ-ერთი საფუძველია დავის განხილვა იმ პირის მონაწილეობის გარეშე, რომლის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებსაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ობიექტურად ეხება.

მოცემულ შემთხვევაში ბ. ჯ-შვილმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აპრილის განჩინების ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ მითითებული განჩინებით დამტკიცდა მორიგება უძრავ ნივთზე, რომელზეც უფლება ბ.ჯ-შვილსაც გააჩნდა, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, კერძო საჩივრის ავტორი საქმის განხილვაზე მიწვეული არ ყოფილა და მოცემული საქმის განხილვის შესახებ განცხადების შეტანამდე მისთვის ცნობილი არ გამხდარა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი 2008 წლის 11 თებერვლისა და 21 ოქტომბრის ხელწერილების შესაბამისად, გ.ნ-შვილის სახელზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაგზავნილი სასამართლო უწყებები ჩაჰბარდა ადრესატის მეუღლეს – ბ. ჯ-შვილს. აღნიშნული ფაქტი ცალსახად ადასტურებს, რომ ბ.ჯ-შვილისათვის მიმდინარე დავის შესახებ ცნობილი იყო ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუმცა მას საქმეში მხარედ ჩაბმის მოთხოვნით სასამართლოს არც ერთი ინსტანციისათვის არ მიუმართავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატას განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ ბ.ჯ-შვილის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივ საფუძველზე მხარეს არ მიუთითებია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ბ. ჯ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

განჩინება

1ას-258-243-2010

26 აპრილი, 2010 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა

კერძო საჩივრის დავის საგანი: კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 9 მარტს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ვ. გ-მემ მოპასუხეების – ნ. ს-ძისა და მ. დ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხე ნ. ს-ძისაგან მოითხოვა საკუთარი ხარჯებით ეზოს გათავისუფლება მის მიერ უკანონოდ აშენებული დამხმარე ნაგებობებისგან, აგრეთვე, ორივე მოპასუხისაგან – ეზოს პირვანდელი მდგომარეობაში აღდგენა, ისე, რომ ახალ საზღვრებში მოქცეულიყო მ. დ-შვილისთვის უკანონოდ გადაცემული მიწის ნაკვეთი და მისი კუთვნილი სარდაფი.

სარჩელის თანახმად, ვ. გ-მემ 1995 წლის მაისსა და 1999 წლის დეკემბერში საკუთრების უფლებით შეიძინა თბილისში, ... ქ. 120/8-ში, ორსართულიანი სახლის მე-2 სართულზე მდებარე საცხოვრებელი ფართი, სულ ოთხი ოთახი, შუშაბანდით, სამზარეულოთი, სარდაფითა და სველი წერტილებით, რაც წარმოადგენდა მთელი საცხოვრებელი სახლის 76/171-ს. სახლი განლაგებული იყო 248 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რაც დასტურდებოდა თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის საინვენტარიზაციო გეგმით. ამ მიწის ნაკვეთზე, აღნიშნული გეგმის მიხედვით, განლაგებული იყო საერთო სარგებლობის დამხმარე სახის 2 ნაგებობა, ფართით – 15 კვ.მ და ორი სარდაფი, ფართით 21 კვ.მ. 2002 წლის დასაწყისში, როდესაც მოსარჩელეს გაუჩნდა შესაძლებლობა, განეხორციელებინა სარემონტო სამუშაოები, აღმოჩნდა, რომ მოპასუხე ნ. ს-ძეს მასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე დაუნგრევია ეზოში არსებული დამხმარე ნაგებობები და მიწის ნაკვეთის ნაწილი, დაახლოებით 40 კვ.მ, რომელშიც მოქცეული იყო ვ. გ-ძის კუთვნილი სარდაფი და იგი გადაუცია მოსაზღვრე მეზობელ მ. დ-შვილისათვის. არსებული დარღვევების დაფიქსირებისა და დადასტურების მიზნით მოსარჩელემ მიმართა თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურს, სადაც შედგენილი გეგმით დადგინდა, რომ ნ. ს-ძის მიერ ადრე არსებული ორი ნაგებობის ნაცვლად უკანონოდ იყო აშენებული 4 კვ.მ სათავსი, რაც შეუძლებელს ხდიდა ეზოს დარჩენილი ნაწილით სარგებლობას, ხოლო მ. დ-შვილისათვის უკანონოდ გადაცემული იყო დაახლოებით 40 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელშიც მოექცა ვ. გ-ძის 10 კვ.მ სარდაფი.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – დადგინდა თბილისში, ... ქ. 120/8-ში მდებარე, ვ. გ-ძისა და ნ. ს-ძის საერთო სარგებლობაში არსებული ეზოს ფართის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 2002 წლის 27 მაისის გენ. გეგმის შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ი. ს-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგად, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ვ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა: ი. ს-ძესა და მ. დ-შვილს დაევალიათ თბილისში, ... ქ. 20/8-ში მდებარე თავისუფალი საეზოვე მიწის ნაკვეთის თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანა თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 2004 წლის 1 დეკემბრის საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 2004 წლის 1 დეკემბრის საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით თბილისში, ... ქ. 120/8-ში მდებარე ორსართულიანი სახლი ირიცხებოდა ვ. გ-ძისა და ი. ს-ძის სახელზე;

დასახელებულ სახლზე, იმავე საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით, მთლიანად ირიცხებოდა 248 კვ.მ მიწის ნაკვეთი. აქედან, განაშენიანების ფართი შეადგენდა 194,55 კვ.მ-ს, დანარჩენი იყო ეზო;

საინვენტარიზაციო გეგმის მითითებული ჩანაწერი მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ;

... ქ. 120/8-ის ეზოში განთავსებული იყო ი. ს-ძის საკუთრებაში არსებული სათავსო, რომელიც მან გაასხვისა მ. დ-შვილზე და აღნიშნული დროისათვის თბილისში, ... ქ. 120/8-ში, მ. დ-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება 14.2 კვ.მ სათავსი;

მითითებული სათავსი, რომელიც, საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით, მდებარეობდა ... პირველ შესახვევის '3-ის მომიჯნავედ, რეალურად არ არსებობს, დანგრევის გამო დარჩენილია მისი ერთი კედელი ... ქ. '20/8-ის მხარეს, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს ამ ორ სახლთმფლობელობას შორის გამყოფ კედელს;

საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით, ი. ს-ძის სათავსის გაყოლებაზე არსებული ეზოს თავისუფალი მიწის ნაწილი გადასული იყო და მდებარეობდა ... პირველი შესახვევის '3-ში, მ. დ-შვილის სახლთმფლობელობაში;

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მ. დ-შვილს საერთო საკუთრება წარმოეშვა ი. ს-ძესთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მისი საკუთრება ვრცელდებოდა თავის მიერ შეძენილ 14.2 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და იგი ვერ იქნებოდა თბილისში, ... ქ. '20/8-ის საეზოვე მიწის ნაკვეთის თანაზიარი თანამესაკუთრე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. გ-ძის კუთვნილი სათავსის ქვეშ განთავსებული მიწის ნაკვეთი არ შედიოდა მხარეთა თანაზიარ საკუთრებაში. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია ვ. გ-ძის მოთხოვნა ი. ს-ძესთან თანაზიარ საკუთრებაში არსებული საეზოვე მიწის ნაკვეთის თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანის თაობაზე, რამდენადაც ი. ს-ძე გასცდა სამოქალაქო კოდექსის 955.2 მუხლით მინიჭებულ უფლებას, ესარგებლა საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიდგომოდა დანარჩენ მონაწილეთა სარგებლობას და მეორე თანამესაკუთრის თანხმობის გარეშე განკარგა საერთო საკუთრების საეზოვე მიწის ნაწილი. ი. ს-ძის ნებართვის საფუძველზე – ეზოს საზიარო მიწის ნაკვეთის მ. დ-შვილის სახლთმფლობელობაში გადასვლით, მოხდა თანასაკუთრებაში არსებული სასაეზოვე მიწის ნაკვეთის შემცირება, რითაც ვ. გ-ძეს შეეზღუდა კანონით მინიჭებული უფლება, ესარგებლა თანასაკუთრებაში არსებული საეზოვე მიწის ნაკვეთით, რაც მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს ი. ს-ძემ და მ. დ-შვილმა.

საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებით ი. ს-ძისა და მ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო დატოვებულ იქნა განუხილველად.

2009 წლის 25 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართეს მ. ხ-ური და ლ. დ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მ. ხ-ური და ლ. დ-შვილი არიან თბილისში, ... პირველი შესახვევის '3-ის თანამესაკუთრეები. მათ გარდა დასახელებულ მისამართზე არსებულ შენობა-ნაგებობებს ჰყავს კიდევ 5 თანამესაკუთრე, მათ შორის, მ. დ-შვილი. 2009 წლის მაისში განმცხადებლებისათვის ცნობილი გახდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილების შესახებ, რომლითაც მოხდა მათ თანასაკუთრებაში არსებული 58.2კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემა თბილისში, ... ქ. '20/8-ში მდებარე სახლთმფლობელობისათვის. განმცხადებელთა მითითებით, მიღებული გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება მათ ინტერესებს და ისინი მიწვეულ უნდა ყოფილიყვნენ საქმის განხილვაში, რაც არ მომხდარა.

განცხადებაში მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად დასახელებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის განჩინებით მ. ხ-ურისა და ლ. დ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ამავე სასამართლოს 2008 წლის 17 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, რომლითაც ვ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – ი. ს-ძესა და მ. დ-შვილს დაევალოთ თბილისში, ... ქ. '20/8-ში მდებარე თავისუფალი საეზოვე მიწის ნაკვეთის თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანა თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 2004 წლის 1 დეკემბრის საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოხდა თბილისში, ... ქ. '20/8-ში მდებარე სახლთმფლობელობის საერთო ფართის 58.2 კვ.მ-ით შემცირება მომიჯნავედ არსებული ... პირველი შესახვევის '3 სახლთმფლობელობის ხარჯზე, რომლის თანამესაკუთრეებს წარმოადგენენ განმცხადებლები. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მ. ხ-ური და ლ. დ-შვილი მიწვეული არ იყვნენ ამ საქმის განხილვაში, მაშინ, როდესაც საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხო მათ უფლებებს და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს.

იმის გამო, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება უშუალოდ ეხებოდა განმცხადებლების უფლებებს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მიწვეული საქმის განხილვაზე.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოცემული საქმის არსებითი განხილვისას, ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით, აგრეთვე, ადგილზე დათვალიერების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 58.2 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც ადრე მოსარჩელის თანასაკუთრებაში იმყოფებოდა, ი. ს-მესთან ერთად უკანონოდ მიითვისა მ. დ-შვილმა. მანვე უკანონოდ მოახდინა ნაკვეთზე დაშენება. ამასთან, სადავო ადგილი მხოლოდ მ. დ-შვილის სახლთმფლობელობაში იმყოფებოდა და სხვა პირებს მასზე არანაირი კავშირი გააჩნდათ. აქედან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის აზრით, 2008 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება სასამართლო სხდომაზე მიწვეული პირების გარდა არ შეიძლებოდა კიდევ ვინმეს ინტერესებს შეხებოდა. ასევე, ნიშნდობლივია, რომ ერთ-ერთი განმცხადებელი – ლ. დ-შვილი არის მ. დ-შვილის ღვიძლი და, რომელიც მასთან ცხოვრობს, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ლ. დ-შვილმა იცოდა საქმის სასამართლოში განხილვის შესახებ, თუმცა მასში მხარედ ჩაბმა არ მოუთხოვია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. გ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ თბილისში, ... ქუჩის '20/8-ში მდებარე სახლთმფლობელობის საერთო ფართის 58.2 კვ.მ-ით შემცირება მოხდა მომიჯნავედ, ... ქუჩის პირველი შესახვევის '3-ში მდებარე სახლთმფლობელობის ხარჯზე. აღნიშნული ნაკვეთი სასამართლო გადაწყვეტილებაში მოხსენიებულია «თავისუფალ საეზოვე ფართად». დღეის მდგომარეობით განმცხადებლების მიერ საქმეზე წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 22.03.2005წ. '40/ი/1081-05 ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკურიზაციის ბიუროს მონაცემების თანახმად, თბილისში, ... პირველი შესახვევის '3-ის 29/270 წილი ირიცხება ლ. დ-შვილი-ჯ-შვილის სახელზე, საფუძვლად მითითებულია 21.01.1994წ. ნოტარიულად დამოწმებული '2-28 ხელშეკრულება. გარდა ამისა, განმცხადებლებმა საქმეზე წარადგინეს 2008 წლის 26 სექტემბრისა და 2008 წლის 8 ივლისის ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, რომელთა თანახმად, ლ. დ-შვილი და მ. ხ-ური არიან თბილისში, ... პირველი შესახვევის '3-ში მდებარე უძრავი ნივთების მესაკუთრეები. ამდენად, საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ მ. ხ-ური და ლ. დ-შვილი არიან თბილისში, ... ქუჩის პირველი შესახვევის '3-ში მდებარე სახლთმფლობელობის თანამესაკუთრეები. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით განხილულ საქმეში მ. ხ-ური და ლ. დ-შვილი ჩაბმული არ ყოფილან.

საკასაციო სასამართლო სრულიად დასაბუთებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება განმცხადებლების უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს. აღნიშნული გარემოება განმცხადებლებს აქცევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პროცესუალურ სუბიექტებად. კანონის მითითებული ნორმა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუკი პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მიწვეული საქმის განხილვაში. სადავო შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განიკარგა მ. ხ-ურისა და ლ. დ-შვილის მატერიალურსამართლებრივი უფლებები, რამდენადაც ამ გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ... ქუჩის '20/8-ში მდებარე სახლთმფლობელობის საერთო ფართის 58.2 კვ.მ-ით შემცირება მოხდა სწორედ იმ ფართის (... ქუჩის პირველი შესახვევის '3-ში მდებარე სახლთმფლობელობა) ხარჯზე, რომლის თანამესაკუთრეებსაც ისინი წარმოადგენდნენ. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ ვ. გ-მის სარჩელი დააკმაყოფილა, საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით მოპასუხეებს – ი. ს-მესა და მ. დ-შვილს დაევალებათ თბილისში, ... ქ. '20/8-ში მდებარე თავისუფალი საეზოვე მიწის ნაკვეთის თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანა თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 2004 წლის 1 დეკემბრის საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით.

საქმის მასალებით არ დასტურდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული გარემოება, რომ ლ. დ-შვილსა და მ. ხ-ურს საქმის განხილვისას შეეძლოთ ბათილად ცნობის საფუძვლის წამოყენება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ხ-ურისა და ლ. დ-შვილის განცხადება აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის პირობას და სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკმაყოფილა იგი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ვ. გ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

განჩინება

1ა-350-ბ-13-2010

28 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 25 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელი მიმართა ვ. ი-იანმა ს. ვ-ძის წინააღმდეგ საზიარო უფლების გაუქმებისა და 525 კვ.მ მიწის ნაკვეთის მიკუთვნების შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ს. ვ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით ს. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ვ. ი-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ვ. ი-იანმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 26 მარტის განჩინებით ვ. ი-იანის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ს. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა მოცემულ საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ. ი-იანის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ვ. ი-იანმა. მან აღნიშნა, სასამართლომ არ გათვალისწინა ის გარემოება, რომ საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას და იგი იყოფა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით. მის სახელზე უნდა გამოყოფილიყო 528 კვ. მიწა, ხოლო ს. ვ-ძის სახელზე – 462,5 კვ.მ. არასწორად გადაწყვეტილებაში მითითებული არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო მიწის ნაკვეთი არასწორად იქნა მითითებული საჯარო რეესტრში, მაშინ, როცა მას სარჩელი არ წარუდგენია მისი საკუთრების შესახებ, საჯარო რეესტრის მონაცემთა უსწორობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინებით ვ. ი-იანის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

ვ. ი-იანმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს განჩინების ბათილად ცნობის შესახებ. მან მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მარტის განჩინებით მისი სა-

კასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. აღნიშნული განჩინება არის უკანონო, ვინაიდან საქმის განხილვისას იგი არ ყოფილა მოწვეული კანონით დადგენილი წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილება (განჩინება) ბათილად იქნება ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ ვ. ი-იანის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონითგათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ვ. ი-იანის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე. საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად, თვითონ განსაზღვრავს, რა შემთხვევაში უნდა იქნეს განხილული საქმე ზეპირი მოსმენით და რა შემთხვევაში – ზეპირი მოსმენის გარეშე. ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვისას მხარეს უნდა ეცნობოს ამის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში ვ. ი-იანს ეცნობა, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვ. ი-იანის მიერ მითითებული გარემოება არ შეიძლება გახდეს განჩინების ბათილად ცნობის საფუძველი. იგი საქმის განხილვაში არ მიიწვიეს იმის გამო, რომ საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 422-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ვ. ი-იანის განცხადება არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მარტის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

განჩინება

ა-2256-ბ-22-2010 8 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

განხილვის საგანი: კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 11 ნოემბერს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა თ. ბ-ავამ მოპასუხე ე. თ-ავას მიმართ. სარჩელის დაზუსტების შედეგად მოსარჩელის მოთხოვნები საბოლოოდ შემდეგნაირად განისაზღვრა: ა. ქობულეთში, ... 1993-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2-ზე თანამესაკუთრედ ცნობა; ბ. საცხოვრებელი სახლის დარჩენილი 1/2-დან მოსარჩელისათვის, როგორც პირველი რიგის თანმყოფი მემკვიდრისათვის, 1/2-ის გამოყოფა, ანუ მთლიანობაში სახლის 3/4-ზე მესაკუთრედ აღიარება; გ. ე. თ-ავას სახელზე 1994 წლის 29 აგვისტოს გაცემულ სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრის ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხეებად ჩაებნენ მ. თ-ავა და ნ. თ-ავა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით თ. ბ-ავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ბ-ავამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილებით თავისი სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, სადავო სამკვიდრო ქონების – ქობულეთში, ... '193-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2-ის თანამესაკუთრედ ცნობა; დარჩენილი 1/2-დან მოსარჩელისათვის, როგორც პირველი რიგის მემკვიდრისათვის 1/2-ის გამოყოფა; სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრის ჩანაწერში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 იანვრის განჩინებით თ. ბ-ავას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ბ-ავამ (წარმომადგენელი ვ. ხ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით თ. ბ-ავას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 იანვრის განჩინება თ. ბ-ავასათვის სამკვიდრო წილის გამოყოფაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება – თ. ბ-ავას სარჩელი ქობულეთში, ... ქ. '193-ში მდებარე სახლიდან სამკვიდრო წილის გამოყოფის ნაწილში დაკმაყოფილდა: თ. ბ-ავა ცნობილ იქნა ქობულეთში, ... ქ. '193-ში მდებარე სახლის 1/2-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ, შესაბამისი ცვლილება შევიდა 1994 წლის 29 აგვისტოს ე. თ-ავას სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში და ქობულეთში, ... ქ. '193-ში მდებარე სახლის 1/2 აღირიცხა თ. ბ-ავას საკუთრებად; დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 იანვრის განჩინება დარჩა უცვლელად.

2010 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა ნ. თ-ავამ, რომელმაც მოითხოვა საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოცემული საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ნ. თ-ავა, როგორც მოპასუხე მხარე, არ მიუწვევიათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამასთან, მხარეს არ ჩაჰბარებია თ. ბ-ავას საკასაციო საჩივარი, განჩინება საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და საკასაციო საჩივართან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის შესახებ. საკასაციო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითად, დაადგინა ახალი ფაქტები და გარემოებები. არსებულ ვითარებაში ნ. თ-ავას არ მიეცა შესაძლებლობა დაეცვა თავისი, როგორც მემკვიდრის კანონიერი უფლებები და ინტერესები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, ნ. თ-ავას განცხადების საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად, უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე; გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს განმცხადებელ ნ. თ-ავას მსჯელობას, რომ იგი ინფორმირებული არ იყო საკასაციო წარმოების მიმდინარეობის თაობაზე, არ გაეგზავნა საკასაციო წარმოების მასალები და არ ყოფილა მიწვეული საკასაციო სასამართლოს სხდომაზე.

საქმის მასალების საფუძველზე დგინდება, რომ ნ. თ-ავა ინფორმირებული იყო საკასაციო სასამართლოში თ. ბ-ავას საკასაციო საჩივრის განხილვის თაობაზე. ამას დასტურებს საქმეში არსებული გზავნილისა და მისი ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათი, რომელთა თანახმად, ნ. თ-ავას გაეგზავნა და ჩაჰბარდა თ. ბ-ავას საკასაციო საჩივრისა და მისი წარმოებაში მიღების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 18 მაისის განჩინების ასლები. აგრეთვე, მას შემდეგ, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინებით თ. ბ-ავას საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი და დადგინდა საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა, ნ. თ-ავას ეცნობა ამის შესახებ და მოწვეულ იქნა საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. ნ. თ-ავას არც წერილობით დაუფიქსირებია მისი პოზიცია საკასაციო საჩივრის მიმართ და არც სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულა. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვითარებას მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქმის წარმოების მთელი მასალებიდან გამომდინარე, ნ. თ-ავას არასოდეს გამოუვლენია ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის საგნის მიმართ. დავა ფაქტობრივად მიმდინარეობდა მხოლოდ თ. ბ-ავასა და ე. თ-ავას შორის, რეალურად, თ. ბ-ავას სასარჩელო მოთხოვნის ადრესატს წარმოადგენდა მხოლოდ ე. თ-ავა როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები გამოტანილ იქნა მხოლოდ მოპასუხე ე. თ-ავას მიმართ, ნ. თ-ავას არ ჰქონია თავისი დამოუკიდებელი მოთხოვნა მოცემულ საქმეზე და არც რაიმეზე განუცხადებია პრეტენზია. ამდენად, პროცესუალურად ნ. თ-ავას მონაწილეობას საქმეში დავის გადაწყვეტაზე არ მოუხდენია გავლენა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე, 430-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. ბ-ავას განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

განჩინება

1ას-782-731-2010

11 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

სს «ს-მ» სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. კ-შვილისა და ი. დ-ძის უფლებამონაცვლე ც. კ-ძის მიმართ მოპასუხეთა შორის 2007 წლის 27 თებერვალს დადებული, ქ.ბათუმში, ... ქ.178/88-ში მდებარე 24,4 კვ.მ-ს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და უძრავი ნივთის მოსარჩელის სახელზე აღრიცხვის შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი დ. კ-შვილსა და აწ გარდაცვლილ ი. დ-ძეს შორის 2007 წლის 27 თებერვალს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულებიდან ამოირიცხა ქ.ბათუმში, ... ქ.178/88-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 24,4 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი და ამ ფართზე აღიარებულ იქნა სს «ს-ს» საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უფლებით.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ც. კ-ძემ, რაც ამავე სასამართლოს 2009 წლის 6 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა – გაუქმდა 2009 წლის 25 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი დ. კ-შვილსა და აწ გარდაცვლილ ი. დ-ძეს შორის 2007 წლის 27 თებერვალს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულებიდან ამოირიცხა ქ.ბათუმში, ... ქ.178/88-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი 24,4 კვ.მ და ამ ფართზე აღიარებულ იქნა სს «ს-ს» საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უფლებით.

საქალაქო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება ც. კ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქალაქო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება

ყვეტილება დარჩა უცვლელად, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 აპრილის განჩინებით დარჩა უცვლელად და შევიდა კანონიერ ძალაში.

2010 წლის 3 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა დ. კ-შვილის წარმომადგენელმა გ. კ-ანმა და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის განჩინების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: მიუხედავად იმისა, რომ დ. კ-შვილი, როგორც 2007 წლის 27 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, საქმეში სავალდებულო თანამონაწილეობის წესით იყო ჩაბმული მეორე მოპასუხედ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ იგი 2009 წლის 3 დეკემბერს საქმის განხილვაზე არ მოიწვია. ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილება შეეხო მის ინტერესებს, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, მოეწვია პროცესზე და მიეცა მისთვის შესაძლებლობა თავისი პოზიციის გამოსახატავად. განმცხადებლის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინების შესახებ მან შეიტყო 2010 წლის 25 მაისს, ანუ მას შემდეგ, რაც ც. კ-მეს ჩაჰბარდა უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 აპრილის განჩინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, განმცხადებელმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის განჩინების ბათილად ცნობა და, ამასთან, ამავე კოდექსის 432-ე მუხლის საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განჩინებით დ. კ-შვილის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა და განახლდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ დ. კ-შვილი, როგორც მხარე, საქმის განხილვაზე მოწვეული არ ყოფილა; ამასთან, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით და ამავე სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დ. კ-შვილსა და აწ გარდაცვლილ ი. დ-მეს შორის დადებული სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი; შესაბამისად, დ. კ-შვილს, როგორც ხელშეკრულების მონაწილეს, წარმოეშვა გარკვეული ვალდებულებები აწ გარდაცვლილი ი. დ-მის კანონიერი მემკვიდრეების მიმართ, რაც ცხადყოფდა, რომ მითითებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებები დ. კ-შვილის ინტერესებზე გავლენას ახდენდა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს «ს-ს» წარმომადგენელმა ლ. მ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და განმცხადებლისათვის საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის შესაბამისად, გასაჩივრების ობიექტი იყო არა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის განჩინება, არამედ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, ვინაიდან მითითებული მუხლი ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ან ისეთი განჩინების გაუქმებას, რომლითაც საქმის წარმოება დამთავრდა. გასაჩივრებული განჩინებით კი საქმის წარმოება არ დამთავრებულა და მისი ბათილად ცნობა ვერანაირად გამოიწვევს საქმის განახლებას, ვინაიდან ფაქტობრივად ძალაში რჩება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, რომელიც ამ საქმეზე ძირითად გადაწყვეტილებას წარმოადგენს. ამდენად, განცხადებაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოშია წარდგენილი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს დ. კ-შვილის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილებინა არც იმ საფუძველით, რომ მას გაშვებული აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით დადგენილი განცხადების შეტანის ერთვითი ვადა, ვინაიდან მისთვის თავისი დარღვეული უფლების შესახებ ცნობილი იყო არა 2010 წლის 25 მაისს, როგორც თავად განმცხადებელი უთითებდა, არამედ, 2010 წლის 20 იანვრამდე პერიოდში, ვინაიდან ც. კ-მე აღნიშნული გარემოებას საკასაციო საჩივრის ერთ-ერთ საფუძველად მიიჩნევდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ სს «ს-ს» წარმომადგენელ ლ. მ-მის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (442-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი,

თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

აღნიშნული ნორმა ცხადყოფს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება თავის იურიდიულ ძალას დაკარგავს და ბათილად იქნება ცნობილი, თუ დადგინდება, რომ საქმე განხილულ იქნა ერთ-ერთი მხარის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში მიწვევის გარეშე, მის დაუსწრებლად.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვევა, რომ დ. კ-შვილი, როგორც სადავო ხელშეკრულების მონაწილე, რომელიც საქმეში სავალდებულო თანამონაწილეობის წესით იყო ჩაბმული მეორე მოპასუხედ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბერს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მოწვეული არ ყოფილა. იმ საფუძველით, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილება დ. კ-შვილის ინტერესებზე გავლენას ახდენდა, ვინაიდან მას, როგორც სადავო ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს, გარკვეული ვალდებულებები წარმოეშვა მეორე მხარის, აწ გარდაცვლილი ი. დ-მის კანონიერი მემკვიდრეების წინაშე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი, რის გამოც დ. კ-შვილის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე დააკმაყოფილა. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს «ს-ს» სარჩელი დაკმაყოფილდა – ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი დ. კ-შვილისა და აწ გარდაცვლილი ი. დ-მის შორის 2007 წლის 27 თებერვალს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულებიდან ამოირიცხა ქ.ბათუმში, ... ქ'78/88-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი 24,4 კვ.მ და ამ ფართზე აღიარებულ იქნა სს «ს-ს» საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უფლებით.

დადგენილია, რომ აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი კანონით დადგენილი წესით გეზავნათ და ჩაჰბარდათ როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე მხარეებს, მათ შორის, დ. კ-შვილსაც.

დადგენილია, რომ მითითებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მხოლოდ მოპასუხე ც. კ-მემ, ხოლო დ. კ-შვილს მისთვის კანონით მინიჭებული გასაჩივრების უფლება არ გამოუყენებია. საპროცესო კანონმდებლობით, ნებისმიერი უფლების რეალაზაცია დამოკიდებულია თვით მხარის ნებაზე. აღნიშნული დებულება გამომდინარეობს სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპიდან-დისპოზიციურობის პრინციპი (სსკ-ის მე-3 მუხლი), რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას. განკარგონ თავიანთი როგორც მატერიალური, ისე საპროცესო უფლებები. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარეობს მხარეთა საპროცესო უფლება – გაასაჩივრონ სასამართლო გადაწყვეტილებები ან შეურიგდნენ ამ გადაწყვეტილებას, ცნონ იგი. განსახილველ შემთხვევაში დ. კ-შვილმა განკარგა თავისი საპროცესო უფლება, არ გაასაჩივრა გადაწყვეტილება, რითაც ფაქტობრივად ცნო იგი და მისი შედეგები, რაც ცხადყოფს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მის მიმართ შევიდა კანონიერ ძალაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო არ იყო ვალდებული სააპელაციო წესით საქმის განხილვაზე დ. კ-შვილი, როგორც მხარე (რომლის მიმართ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული), მოეწვია სასამართლო სხდომაზე იმ საფუძველით, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებები მის ინტერესებზე გავლენას ახდენდა, ვინაიდან როგორც აღინიშნა, ივარაუდება, რომ იგი ფაქტობრივად დაეთანხმა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მის მიმართ წარმოშობილ ვალდებულებებს. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თვით უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა და არ მიიჩნია გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად კასატორ ც. კ-მის არგუმენტი სააპელაციო სასამართლოს მიერ დ. კ-შვილის საპროცესო უფლებების დარღვევის შესახებ.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განჩინება, რომლითაც ამავე სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინება ბათილად იქნა ცნობილი, უნდა გაუქმდეს და დ. კ-შვილს უარი უნდა ეთქვას განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

სს «ს-ს» წარმომადგენლის ლ. მ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განჩინება;

დ. კ-შვილის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

განჩინება

1ას-1026-962-2010 21 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 21 აპრილს თელავის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს გ. და ხ. შ-შვილებმა მოპასუხეების: ლ. ჯ-შვილის, ნ. კ-შვილის, დ. კ-ძისა და ნოტარიუს ც. კ-შვილის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: ა) დ. ჯ-შვილსა და მოპასუხეებს (ლ. ჯ-შვილი, ნ. კ-შვილი, დ. კ-ძე) შორის 2004 წლის 3 ივნისის ნოტარიუს ც. კ-შვილის მიერ დადასტურებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა; ბ) ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის გაუქმება; გ) ნოტარიუსისათვის 2008 წლის 8 თებერვალს გარდაცვლილი ნ. შ-შვილის სასარგებლოდ დედამისის – 1991 წლის 25 ივლისის გარდაცვლილი მ. ჯ-შვილის დანაშთ ქონებაზე (თელავში, ... ქ.120-ში მდებარე დ. ჯ-შვილის სახელზე რიცხული სახლის კუთვნილი წილის ნაწილზე, ავტომანქანა «ვოლგის» მისსავე წილსა და ანაბარზე) სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალება.

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ხ. და გ. შ-შვილების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით გ. და ხ. შ-შვილების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს აპელანტებმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განჩინებით გ. და ხ. შ-შვილების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინებით მოცემულ საქმეზე დამტკიცდა მორიგება ხ. შ-შვილს, გ. შ-შვილს, ლ. ჯ-შვილს, ნ. კ-შვილსა და დ. კ-ძეს შორის შემდეგი პირობებით: ხ. და გ. შ-შვილები თანხმობას აცხადებენ, სარჩელზე უარის თქმის სანაცვლოდ მათ სახელზე აღირიცხოს ლ. ჯ-შვილის, ნ. კ-შვილისა და დ. კ-ძის საკუთრებაში არსებული, თელავში, ... ქ.120-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/3 თანაბარწილად, ხოლო აღნიშნული სახლის 2/3 დარჩეს ლ. ჯ-შვილის, ნ. კ-შვილისა და დ. კ-ძის საკუთრებაში; ლ. ჯ-შვილი, ნ. კ-შვილი და დ. კ-ძე თანხმობას აცხადებენ, ხ. და გ. შ-შვილების საკუთრებად თანაბარწილად აღირიცხოს მათ საკუთრებაში არსებული, თელავში, ... ქ.120-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/3. მხარეთა შორის მორიგების გამო გაუქმდა აღნიშნულ საქმეზე თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება და საქმეზე შეწყდა წარმოება.

2009 წლის 24 დეკემბერს სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემომითითებულ გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2010 წლის 10 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს გ. და ლ. ა-შვილებმა, რომლებმაც მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

განცხადების თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას დაარღვია კანონი, აგრეთვე, განმცხადებლების ინტერესები. კერძოდ, კანონი დაირღვა იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლომ

განჩინებით დაადასტურა ისეთი შინაარსის გარიგება, რაც არ წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. სასამართლომ გადაწყვიტა ადმინისტრაციული ორგანოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული უფლება – საცხოვრებელი ბინის აღრიცხვაში ცვლილებების შეტანა (სარჩელის მოთხოვნას არ წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანა), მაშინ, როდესაც საჯარო რეესტრი საქმეში არ მონაწილეობდა.

განმცხადებლებმა მიუთითეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებასა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მიწვეული საქმის განხილვაზე. მათი თქმით, სადავო განჩინების გამოტანის შესახებ შეიტყვეს მას შემდგომ, რაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახურმა თავისი 2010 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით შეაჩერა მოცემულ ბინაზე ყიდვა-გაყიდვის უფლების რეგისტრაცია. 2010 წლის 14 თებერვალს განმცხადებლები უშუალოდ გაეცნენ მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების შინაარსს. ისინი ინფორმირებულნი არ ყოფილან სააპელაციო სასამართლოში საქმის მიმდინარეობის თაობაზე, არც პროცესზე ყოფილან მიწვეულნი, მაშინ, როდესაც საქმე შეეხებოდა მათ კუთვნილ ბინას, რომელზეც უფლება მოიპოვეს 2007 წლის ოქტომბრიდან ბინის შესყიდვისათვის ბეს სახით 5000 აშშ დოლარის გადახდით. ბინა შეძენილ იქნა ლ. ა-შვილისათვის, თუმცა ამ უკანასკნელის საკუთრებად ვერ აღირიცხა იმ მიზეზების გამო, რომ იგი იყო არასრულწლოვანი და მთლიანი თანხა არ ჰქონდა. ბეს გაცემისას განმცხადებლებმა შეისწავლეს გამსხვისებელთა კუთვნილების საფუძვლები, გამოარკვიეს, რომ მათი საკუთრების უფლება ეფუძნებოდა 2004 წლის ჩუქების ხელშეკრულებას, რომელიც გასაჩივრებული არ იყო. აღნიშნულის შედეგად განხორციელდა ბინის განმცხადებელთა მფლობელობაში გადასვლა, რომლებმაც მოაწყვეს იგი საცხოვრებლად, რის შედეგადაც ბინის თავდაპირველი ღირებულება გაოთხმაგდა. ა-შვილების მიერ ბინის შესყიდვის თაობაზე ასევე ცნობილი იყო გ. შ-შვილისათვის. ამდენად, 2009 წლის 12 ნოემბრის მორიგების მხარეებს არ ჰქონდათ უფლება, სადავო ბინაზე შეეთანხმებინათ მორიგება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით განმცხადებლები მიიჩნევდნენ, რომ სახეზე იყო გასაჩივრებული განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინებით გ. და ლ. ა-შვილების განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელ ლ. ა-შვილს, ნ. კ-შვილს, დ. კ-ძესა და ლ. ჯ-შვილს შორის თელავში, ... ქ. '20-ში მდებარე ბინაზე დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი შედეგების აღრიცხვისათვის წარედგინა 2010 წლის 2 თებერვალს. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სწორედ ამ დროიდან უნდა მიჩნეულიყო დასახელებული ხელშეკრულება გაფორმებულად. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული დასკვნა დააფუძნა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამდენად, კანონით გათვალისწინებულია უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის 2 აუცილებელი პირობა – გარიგების წერილობითი ფორმით დადება და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ამ პირობათა დაუცველად დადებული გარიგება კი არ შეიძლება ჩაითვალოს შესაბამისი უფლების დამდგენ საფუძვლად. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლების მითითება იმის თაობაზე, რომ ისინი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინების გამოტანამდე, წარმოადგენდნენ სადავო ბინის მიკუთვნებაზე უფლებამოსილ პირებს.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმცხადებლებს განუმარტა, რომ მათ მიერ ისეთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, რაც არ ითვლება დადებულად, წარმოადგენს არა ხელშეკრულების დადებულად ცნობაზე პრეტენზიის გაცხადების საფუძველს, არამედ მხოლოდ შესრულების მიმღები პირის უსაფუძვლო გამდიდრებას, რაც განმცხადებლებს წარმოუშობს თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების – სამოქალაქო კოდექსის 976-ე-991-ე მუხლების შესაბამისად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინების გამოტანის დროისათვის სადავო ბინაზე (თელავში, ... ქ. '20-ში მდებარე ბინა) რაიმე სახის უფლება არ ჰქონდათ წარმოუშობილი გ. და ლ. ა-შვილებს. მათ სასამართლოს ვერც კანონიერი ინტერესის, ანუ ისეთი ინტერესის არსებობა ვერ დაუდასტურეს, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო უფლების რეალიზაციის საშუალება. ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლების პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ისინი მიწვეულნი უნდა ყოფილიყვნენ დასახელებულ ბინასთან დაკავშირებული სამოქალაქო საქმის წარმოებაზე.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრეს გ. და ლ. ა-შვილებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლების შესახებ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

კერძო საჩივრის ავტორები მიიჩნევენ, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტი. სასამართლომ აღნიშნა, რომ გ. და ლ. ა-შვილებს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მიხედვით სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება არ წარმოშობიათ და შესაბამისად ისინი მოპასუხეებს არ წარმოადგენენ. კერძო საჩივრის ავტორთა მითითებით, ასე რომ ყოფილიყო, ანუ მათ რომ სადავო ნივთზე საკუთრების უფლება კანონით დადგენილი წესით ჰქონოდათ მოპოვებული, საქმეზე წარმოების განახლების სამართლებრივ საფუძვლად ისინი დაასახელებდნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტს. რამდენადაც გ. და ლ. ა-შვილებს საცხოვრებელი სახლი საკუთრებაში არ ჰქონდათ აღრიცხული, განჩინების ბათილობის მოთხოვნა მათ დააფუძნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მიწვეული საქმის განხილვაზე.

სააპელაციო სასამართლომ გვერდი ვერ აუარა იმ ფაქტს, რომ მის მიერ 2009 წლის 12 ნოემბერს მიღებული განჩინება უშუალოდ შეეხება განმცხადებლების ინტერესებს. კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, ამას ადასტურებს გასაჩივრებულ განჩინებაში არსებული სააპელაციო სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ ისეთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, რაც არ ითვლება დადებულიად, წარმოადგენს არა ხელშეკრულების დადებულიად ცნობაზე პრეტენზიის გაცხადების საფუძველს, არამედ მხოლოდ შესრულების მიმდები პირის უსაფუძვლო გამდიდრებას, რაც განმცხადებლებს წარმოუშობს თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების – სამოქალაქო კოდექსის 976-ე-991-ე მუხლების შესაბამისად.

კერძო საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ მორიგების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინებით მათ მიადგათ ზიანი. მხარეთა შეთანხმებაში შედიოდა უძრავი ქონება, რომელიც გაჩუქებული იყო მოპასუხეებზე, ხოლო გამჩუქებელი (ყოფილი კანონიერი მემკვიდრე) იყო უკვე გარდაცვლილი. გაჩუქება განხორციელდა კანონიერად, ე.ი. მიჩუქებლები იყვნენ კეთილსინდისიერი შემძენები. გ. და ლ. ა-შვილებს დავის საგანზე ჰქონდათ დამოუკიდებელი მოთხოვნა, მათ შეეძლოთ პაექრობის დაწყებამდე, საქმის გადაწყვეტამდე, ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ აღედრათ სარჩელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. და ლ. ა-შვილების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლები კანონიერ ძალაში შესული განჩინების (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინება) ბათილად ცნობას და საქმის წარმოების განახლებას ითხოვენ იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გადაწყვიტა ქ.თელავში, ... ქ.120-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის იურიდიული ბედი, რომ განმცხადებლები, როგორც სადავო ბინის შემძენები, არ იყვნენ მიწვეულნი საქმის განხილვაში.

განმცხადებელთა განმარტებით, დასახელებულ ბინაზე მათ საკუთრების უფლება მოიპოვეს 2007 წლის ოქტომბრიდან ბინის შესყიდვისათვის ბეს სახით 5000 აშშ დოლარის გადახდით. ბინა შეძენილ იქნა ლ. ა-შვილისათვის, თუმცა ამ უკანასკნელის საკუთრებად ვერ აღირიცხა მისი არასრულწლოვანებისა და ბინის საფასურის სრულად დაფარვის შეუძლებლობის გამო. სადავო განჩინების გამოტანის შესახებ განმცხადებელთათვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თელავის სარეგისტრაციო სამსახურმა თავისი 2010 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით შეაჩერა ლ. ა-შვილის მიერ წარდგენილი ქ.თელავში, ... ქ.120-ში მდებარე ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების რეგისტრაცია. საქმის მასალების თანახმად, განმცხადებელ ლ. ა-შვილს და ნ. კ-შვილს, დ. კ-მეს და ლ. ჯ-შვილს შორის ქ.თელავში, ... ქ.120-ში მდებარე ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო 2010 წლის 1-ელ თებერვალს, რომელიც იმავე დღეს წარედგინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი შედეგების აღრიცხვისათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები განმცხადებლებს არ აქცევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სუბიექტებად, რომლებსაც უფლება აქვთ მოითხოვონ სადავო განჩინების ბათილად ცნობა. დასახელებული ნორმა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ შეეხო გადაწყვეტილება, არ ყოფილა მიწვეული საქმის განხილვაზე. ამ შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განკარგული უნდა იყოს საქმის განხილვაში მიუწვეველი პირის მატერიალურ-სამართლებრივი უფლებები.

პროცესუალური უფლება განუყოფელია შესაბამისი მატერიალური უფლებისაგან და მხოლოდ ამ უკანასკნელის არსებობის პირობებში წარმოიშობა, როგორც მისი იძულებითი გზით რეალიზაციის შესაძლებლობა. თუკი არ არსებობს მატერიალური უფლება, ან მატერიალური უფლება არსებობს, მაგრამ ამის შესახებ არ გაცხადდა სასამართლოს წინაშე, შესაბამისად ვერ იარსებებს სასამართლოს მეშვეობით მისი დაცვის საპ-

როცესო შესაძლებლობაც, მოცემულ შემთხვევაში ქ.თელავში, ... ქ.120-ში მდებარე უძრავ ქონებაზე განმცხადებლების რაიმე მატერიალური უფლების შესაძლო არსებობის თაობაზე გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოსათვის ცნობილი არ ყოფილა. ამასთან, როგორც აღინიშნა, საქმის მასალებით ირკვევა, რომ განმცხადებელ ლ. ა-შვილს და ნ. კ-შვილს, დ. კ-მეს და ლ. ჯ-შვილს შორის ქ.თელავში, ... ქ.120-ში მდებარე ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო 2010 წლის 1-ელ თებერვალს, რომელიც იმავე დღეს წარედგინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი შედეგების აღრიცხვისათვის. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ გასაჩივრებული განჩინების მიღების დროს (2009 წლის 12 ნოემბერი) თბილისის სააპელაციო სასამართლოსათვის ვერ იქნებოდა ცნობილი ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების თაობაზე და შესაბამისად, ვერ იმსჯელებდა განმცხადებლების საქმის განხილვაში მიწვევის საკითხზე. ამდენად, საქმის განხილველ სასამართლოს არ გააჩნდა არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი, გადაეწყვიტა საქმეში გ. და ლ. ა-შვილების მხარედ ჩართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლები პროცესულურად არ წარმოადგენენ იმ პირებს, რომელთაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე შეუძლიათ მოითხოვონ საქმეზე წარმოების განახლება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. და ლ. ა-შვილების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

1^{ას}-1253-1512-09

3 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

კერძო საჩივრის დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 8 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელით მიმართა რ. პ-შვილმა მოპასუხე შპს «...» მიმართ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2006 წლის 7 ნოემბერს მისმა შვილმა მ. პ-შვილმა სამზარეულოს მაგიდიდან მდულარე წყლით სავსე ქვაბი შემთხვევით გადმოაგდო, რის შედეგადაც მიიღო დამწვრობა ტანისა და ფეხის არეში. ბავშვი დაუყოვნებლივ გადაიყვანეს ხაშურის საავადმყოფოში, სადაც გაუწიეს პირველადი დახმარება. შემდეგ გადაიყვანეს დამწვრობის ცენტრში, სადაც ექიმის დანიშნულებით გაუკეთდა პრეპარატი «სუმადედი», რის შედეგადაც ბავშვმა დაკარგა მგრძნობელობა. მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა და გარდაიცვალა. მოსარჩელემ მოითხოვა მ. პ-შვილის დაკრძალვის, ორმოცის, წლისთავის, საფლავის ქვის დამზადების ხარჯის – 8 510 ლარისა და მორალური ზიანის – 5 000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. პ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – შპს «...» რ. პ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა დაკრძალვის ხარჯების – 8 510 ლარის გადახდა, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «...», რომელმაც მოითხოვა აღნიშნულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 აპრილის განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, აპელანტს დაევალა ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღეში სააპელაციო სასამართლოში წარედგინა სახელმწიფო ბაჟის – 340.40 ლარი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 მაისის განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო დარჩა განუხილველი.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ზემომითითებული განჩინება დასაბუთებულია იმით, რომ აპელანტს სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 აპრილის განჩინება ხარვეზის შევსების თაობაზე ჩაჰბარდა 2009 წლის 24 აპრილს. ამ განჩინების შესაბამისად მას სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი უნდა შეევსო განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, ე.ი. 2009 წლის 4 მაისის ჩათვლით. განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, აგრეთვე, სამოქალაქო კოდექსის 59-ე, 63-ე, 368-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 374-ე მუხლების შესაბამისად, შპს „...“ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 21 მაისის განჩინება შპს „...“ კერძო საჩივრით გაასაჩივრა.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ მოპასუხე იურიდიული პირის საამისოდ უფლებამოსილ პირს, კერძოდ, მის აღმასრულებელ დირექტორ ბ. ი-შვილს არ ჩაჰბარებია. განჩინება მიიღო ცენტრის დირექტორის მოადგილე ნ. გ-შვილმა, რომელსაც არ ჰქონდა აღნიშნული სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და ამდენად, ამ განჩინების შესახებაც მათთვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც გაეცნენ 2009 წლის 21 მაისის განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. ამის შემდეგ, მეორე დღესვე, დაუკავშირდნენ ადვოკატს, რომლისგანაც შეიტყვეს, რომ განჩინება მიუღია დირექტორის მოადგილე ნ. გ-შვილს, რომელსაც იგი გადაუცია ბუღალტერიისთვის და, შესაბამისად, თანხა გადაურიცხავთ შესაბამის საბანკო ანგარიშზე, თუმცა განჩინების შესახებ 27 მაისამდე მათთვის არ ყოფილა ცნობილი. მათთვის უცნობი იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოსათვის წარდგენის ვალდებულების შესახებც, ბუღალტერიამ კი აღნიშნული დავალება შესრულებულად მიიჩნია შესაბამის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

კერძო საჩივრის ავტორმა საჩივარს თან დაურთო შპს „...“ დირექტორის მოადგილე ნ. გ-შვილის ახსნა-განმარტება და სახელმწიფო ბაჟის 2009 წლის 27 აპრილს (სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში) გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი.

საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით შპს „...“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 მაისის განჩინება.

2009 წლის 19 აგვისტოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა შპს „...“, რომელმაც მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე წარმოების განახლება და სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს 2009 წლის 21 მაისის განჩინების გაუქმება.

განმცხადებლის მითითებით, მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოში წარუდგენლობა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც შემდგომ გამოირკვა, დანიშნულ ვადაში აპელანტმა სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა. შესაბამისად, მოთხოვნა, რის გამოც სააპელაციო საჩივარს ხარვეზი დაუდგინდა, დადგენილ ვადაში დაკმაყოფილებული იყო და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებასა და მის განხილვაზე უარის თქმის არანაირი წინაპირობა აღარ არსებობდა.

განმცხადებლის მოსაზრებით, მხედველობაში იყო მისაღები ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ მოპასუხე იურიდიული პირის საამისოდ უფლებამოსილ პირს, კერძოდ, მის აღმასრულებელ დირექტორ ბ. ი-შვილს არ ჩაჰბარებია. ეს უკანასკნელი ხარვეზის შესახებ განჩინებას გაეცნო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების განჩინებასთან ერთად. ამ დროს გამოირკვა, რომ ხარვეზის განჩინება მიუღია ცენტრის დირექტორის მოადგილე ნ. გ-შვილს, რომელსაც არ ჰქონდა აღნიშნული სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. შპს „...“ ადვოკატთან დაკავშირების შემდეგ ცენტრის დირექტორისათვის ცნობილი გახდა, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესახებ განჩინება მიუღია დირექტორის მოადგილე ნ. გ-შვილს, რომელსაც იგი გადაუცია ბუღალტერიისათვის. მართალია, ამ უკანასკნელმა შესაბამის ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟი გადაურიცხა, თუმცა განჩინებით გათვალისწინებული ვალდებულება, რაც მდგომარეობდა ბაჟის გადახდის ქვითრის სასამართლოსათვის წარდგენაში, აპელანტს არ შეუსრულებია, რამდენადაც საამისოდ უფლებამოსილი პირი აღნიშნული ვალდებულების შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა.

განმცხადებელმა საქმეზე წარმოების განახლების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად დაასახელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გა-

რემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინებით შპს «...» განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლით (თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას) საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. კანონის დასახელებული ნორმის თანახმად, საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ ორი ძირითადი პირობის არსებობისას, კერძოდ, ახლად აღმოჩენილი გარემოება უნდა არსებობდეს გადაწყვეტილების გამოტანამდე და მეორე, განმცხადებლისათვის ამ ფაქტის თაობაზე მოგვიანებით გახდეს ცნობილი და მას ბრალის გარეშე, საქმის სასამართლოში განხილვის დროს არ უნდა შეეძლოს ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე მითითება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ გარემოებას არ წარმოადგენდა ის ფაქტები, რაზეც განმცხადებელი უთითებდა, რადგან აღნიშნული გარემოებები მის მიერ უკვე იყო აღნიშნული კერძო საჩივარში, რომლითაც გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 მაისის განჩინება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა, ანუ საკასაციო სასამართლომ უკვე იმსჯელა განცხადებაში მოყვანილ გარემოებებზე. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე მითითება შეუსაბამო იყო.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს «...», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, საქმეზე წარმოების განახლების შესახებ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება და სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები განაპირობებდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გაუქმებას, კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ მოპასუხე იურიდიული პირის საამისოდ უფლებამოსილ პირს – აღმასრულებელ დირექტორ ბ. ი-შვილს არ ჩაჰბარებია. ეს უკანასკნელი ხარვეზის შესახებ განჩინებას გაეცნო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების განჩინებასთან ერთად. ამ დროს გამოირკვა, რომ ხარვეზის განჩინება მიუღია ცენტრის დირექტორის მოადგილე ნ. გ-შვილს, რომელსაც არ ჰქონდა აღნიშნული სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. შპს «...» ადვოკატთან დაკავშირების შემდეგ ცენტრის დირექტორისათვის ცნობილი გახდა, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესახებ განჩინება მიუღია დირექტორის მოადგილე ნ. გ-შვილს, რომელსაც იგი გადაუცია ბუღალტრისათვის. მართალია, ამ უკანასკნელმა სახელმწიფო ბაჟი შესაბამის ანგარიშზე გადაარიცხა, თუმცა განჩინებით გათვალისწინებული ვალდებულება, რაც მდგომარეობდა ბაჟის გადახდის ქვითრის სასამართლოსათვის წარდგენაში, აპელანტს არ შეუსრულებია, რამდენადაც საამისოდ უფლებამოსილი პირი აღნიშნული ვალდებულების შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული სააპელაციო სასამართლოს მხედველობაში უნდა მიედო და საქმეზე წარმოების განახლების საკითხის გადაწყვეტისას გაეთვალისწინებინა, რაც მას არ განუხორციელებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას უკავშირებს მხარის მიერ ისეთი ახალი გარემოებების ან მტკიცებულებების გაცნობას, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე საპროცესო ნორმის მე-3 ნაწილი დასახელებული საფუძვლით საქმის წარმოების განახლებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. კანონმდებელი ახლად აღმოჩენილად არ განიხილავს იმ გარემოებებს, რომლებზეც საქმის წარმოების დასრულებამდე მხარემ მიუთითა, ხოლო სასამართლომ მათ შესახებ უკვე იმსჯელა.

მოცემულ შემთხვევაში საქმეზე წარმოების განახლებას განმცხადებელი უკავშირებს ხარვეზის შევსების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების არაუფლებამოსილი პირისათვის ჩაბარებას, აგრეთვე, უფლე-

ბამოსილი პირის მიერ შესაბამისი საპროცესო ვალდებულების თავის დროზე არცოდნას, რამაც, განმცხადებლის აზრით, ხარვეზის დროულად შეუვსებლობა და მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება განაპირობა.

საქმის მასალების თანახმად, 2009 წლის 29 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი კერძო საჩივრით, რომლითაც შპს «...» მოითხოვდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 21 მაისის განჩინების გაუქმებას, კერძო საჩივრის ავტორი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად სწორედ განცხადებაში მოყვანილ, ზემომითითებულ ფაქტებზე მითითებდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით, აღნიშნული კერძო საჩივრის განხილვის შედეგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 მაისის განჩინება დარჩა უცვლელი. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში საქმეზე წარმოების დასრულებამდე სასამართლომ განცხადებაში მითითებული გარემოებები შეაფასა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმის წარმოების განახლების საფუძველად განმცხადებლის მიერ კერძო საჩივარში მანამდე დასახელებულ გარემოებებზე მითითება ვერ მიიჩნევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებად და ამ მოტივით საქმის წარმოების განახლებას ვერ განაპირობებს. შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «...» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ნოემბრის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

1ას-1189-1450-09

23 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფა, თანასაკუთრებაში არსებული ქონების ღირებულების ანაზღაურება

კერძო საჩივრის დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ქ-აიას სარჩელი, მოპასუხე ლ. თ-ძის მიმართ, რომლითაც იგი მოითხოვდა მოპასუხესთან თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი მოძრავი ნივთების თანაბრად გაყოფასა და ამ ნივთების ღირებულების ნახევარის ანაზღაურებას, არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ თ. ქ-აიასა და ლ. თ-ძეს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა 1984 წლის 14 ოქტომბერს; მოსარჩელისათვის განქორწინების თაობაზე იმთავითვე ცნობილი იყო, სწორედ ამ გარემოებას ეფუძნებოდა მისი 2002 წლის 26 დეკემბრის სარჩელი ქონების გაყოფის შესახებ, აგრეთვე, 2004 წლის 24 მაისს განხილული სარჩელი შვილის სააქტო ჩანაწერში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა მხარეთა შორის ქორწინების შეწყვეტის პერიოდში მოქმედი საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 22-ე მუხლის ბოლო აბზაცზე, ამავე კოდექსის მე-80 მუხლზე, რომელთა თანახმად, განქორწინებულ მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობა-

ზე მოთხოვნებისათვის დადგენილია სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა; სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა იწყება სარჩელის უფლების წარმოშობის დღიდან; სარჩელის უფლება წარმოიშობა იმ დღეს, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მან ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე მიმართა სასამართლოს სარჩელით იმის გამო, რომ განქორწინების მოწმობა აიღო 2005 წელს. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-80 მუხლი კონკრეტულ შემთხვევაში სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლას უკავშირებდა არა განქორწინების მოწმობის აღებას, არამედ – დაინტერესებული პირის მიერ განქორწინების რეგისტრაციის შესახებ შეტყობას, ვინაიდან განქორწინების მოწმობის აღება მხარის სურვილზე იყო დამოკიდებული და საჭიროების არარსებობის შემთხვევაში შეიძლება მხარეს არც აეღო.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ თ. ქ-აიას სარჩელი ლ. თ-ძის მიმართ ხანდაზმულად მიიჩნია, რის გამოც იგი არ დააკმაყოფილა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ქ-აიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინებით თ. ქ-აიას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება აპელანტს ჩაჰბარდა 2008 წლის 12 ივლისს. რამდენადაც კანონმდებელი გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას უკავშირებს მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტს, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა დაიწყო სწორედ 2008 წლის 12 ივლისიდან, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში ასევე მოიპოვებოდა თ. ქ-აიას ხელწერილი დასახელებული გადაწყვეტილების მის მიერ 2008 წლის 22 ივლისს ჩაბარების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ამავე კოდექსის მე-60, 61-ე მუხლებზე და დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტს სააპელაციო საჩივარი უნდა შეეტანა 2008 წლის 28 ივლისის ოცდაათხ საათამდე. იმის გათვალისწინებით, რომ თ. ქ-აიამ საქალაქო სასამართლოში სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2008 წლის 5 აგვისტოს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მან დაარღვია სააპელაციო საჩივრის აღძვრის საპროცესო კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი 14-დღიანი ვადა. აღნიშნული გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 374-ე მუხლებიდან გამომდინარე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. ქ-აიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებით თ. ქ-აიას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინება.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის განმარტება იმის შესახებ, რომ კურიერმა მისთვის გადასაცემი ბარათი დაუტოვა მისი მეზობლის – დ. გ-ძის ოჯახს, ხოლო კერძო საჩივრის ავტორს გადასცეს დაგვიანებით, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი მის მიერ წარდგენილი არ ყოფილა. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ თ. ქ-აიას საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2008 წლის 12 ივლისს.

2009 წლის 12 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა თ. ქ-აიამ, რომელმაც მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინების გაუქმება.

საქმეზე წარმოების განახლების მოთხოვნას განმცხადებელი აფუძნებდა იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება პირადად მას არ ჩაჰბარებია, შესაბამისად, საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტურზე არსებული ხელმოწერა მას არ ეკუთვნის. 12 ივლისს თ. ქ-აია იმყოფებოდა თბილისში სამკურნალოდ, გადაწყვეტილება კი ჩაჰბარდა მისი მეზობლის ოჯახს მისთვის გადასაცემად, რომელთაც აღნიშნული გზავნილი გადასცეს დაგვიანებით. თბილისში ყოფნის პერიოდში თვითონ მიაკითხა თბილისის საქალაქო სასამართლოს და 2008 წლის 22 ივლისს ჩაიბარა გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინებით თ. ქ-აიას განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც ამ უკანასკნელმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით თ. ქ-აიას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინება.

2009 წლის 12 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას კვლავ მიმართა განცხადებით თ. ქ-აიამ, რომელმაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის

«ა» ქვეპუნქტის შესაბამისად მოითხოვა ამავე სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებელი ახლად აღმოჩენილად მიიჩნევდა იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილება ჩაჰბარდა არა პირადად მას, არამედ – სხვა პირს. მისი მითითებით, მტკიცებულება (შინაგან საქმეთა სამინისტროს ბორჯომის რაიონული სამმართველოს გამომძიებლის მიერ შედგენილი გასაუბრების ოქმები), რომლითაც დადასტურდებოდა ხსენებული გარემოება, მისთვის ხელმისაწვდომი გახდა მოგვიანებით, საქმის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ – 2009 წლის 18 მაისს, როდესაც მან მოიპოვა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით წარმოებული მოკვლევის მასალები, კერძოდ, გასაუბრების ოქმების ქსეროასლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით თ. ქ-აიას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინება და საქმის წარმოება განახლდა თ. ქ-აიას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლით (თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას) საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონის ზემოძირებით ნორმის მიხედვით, საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ ორი ძირითადი პირობის არსებობისას, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც ახლად აღმოჩენილი გარემოება არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ აღნიშნულის თაობაზე ცნობილი არ იყო და განმცხადებლისათვის ამ ფაქტის თაობაზე მოგვიანებით გახდა ცნობილი, ამიტომ მას, ბრალის გარეშე საქმის სასამართლოში განხილვის დროს არ შეეძლო მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მოცემულ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ გარემოებას წარმოადგენდა ის, რომ გადაწყვეტილება ჩაჰბარდა არა თ. ქ-აიას, არამედ სხვა პირს, რაც არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, რომლის თაობაზეც განმცხადებლისათვის, მართალია, ჯერ კიდევ საქმის სასამართლოში განხილვის დროს იყო ცნობილი, მაგრამ მტკიცებულება (გასაუბრების ოქმები), რომლითაც დადასტურდებოდა ხსენებული გარემოება, მისთვის ხელმისაწვდომი გახდა მოგვიანებით, საქმის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, 2009 წლის 18 მაისს (შინაგან საქმეთა სამინისტროს ბორჯომის რაიონული სამმართველოს 2009 წლის 18 მაისის 132/1-10/1415 განცხადებით, რომელსაც თან ერთვის გასაუბრების ოქმები).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ თ. ქ-აიას მოთხოვნა საქმის წარმოების განახლების შესახებ საფუძვლიანად მიიჩნია და დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. თ-მემ (წარმომადგენელი გ. თ-მე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის იმპერატიული დანაწესი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ რაიმე სახის მტკიცებულების წარდგენა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს საქმის წარმოების განახლების საფუძველი, როდესაც მისი წარდგენა მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას განაპირობებს. თ. ქ-აიას განცხადება მის მიერ გზავნილის ჩაუბარებლობის თაობაზე ვერანაირად გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, რამდენადაც საქმის მასალები ამის საფუძველს არ იძლეოდა.

კერძო საჩივრის ავტორი არასწორად მიიჩნევს თ. ქ-აიას მითითებას იმის შესახებ, რომ თითქოს მან მოწინააღმდეგე მხარესთან განქორწინების ფაქტი შეიტყო მხოლოდ 2005 წელს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებითა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის განჩინებით, რომლებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსაც მოცემულ საქმეზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლიდან გამომდინარე გააჩნია პრეიუდიციული მნიშვნელობა, დადგენილია, რომ მხარეთა შორის ქორწინების შეწყვეტის ფაქტი თ. ქ-აიასათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 1989 წელს.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის იმ გარემოებასაც, რომ განცხადების ავტორის მოსაზრება დოკუმენტის სიყალბის შესახებ არ არის განმტკიცებული კანონით განსაზღვრული წესით. ამასთან, იგი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის განჩინებაში მოყვანილი მითითებები. საკასაციო სასამართლომ აღნიშნული განჩინებით თ. ქ-აიას უარი უთხრა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას, რომ კერძო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობა არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის საფუძველზე, რამდენადაც თ. ქ-აიას სარჩელი ხანდაზმულია და განცხადების დაკმაყოფილებისა და საქმის წარმოების განახლების პირობებშიც მხარისათვის სასარგებლო გადაწყვეტილება არ დადგება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის არსებითი მხარე და თ. ქ-აიას სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი არ მოწმდება. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქმეზე წარმოება დასრულებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინებით, რომლითაც თ. ქ-აიას სააპელაციო საჩივარი დატოვებულია განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო და სწორედ ამ უკანასკნელ გარემოებასთან დაკავშირებული საკითხები მოწმდება. ამდენად, ამ შემთხვევაში კერძო საჩივრის საფუძვლიანობა არ არის დამოკიდებული იმ გარემოებაზე, სარჩელი არსებითად დასაკმაყოფილებელია თუ არა.

განმცხადებელი თ. ქ-აია ახლად აღმოჩენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილება მას არ ჩაჰბარებია. საქმის მასალების თანახმად, მტკიცებულება (გასაუბრების ოქმები), რომლითაც აღნიშნული გარემოება დასტურდება, თ. ქ-აიასათვის ხელმისაწვდომი გახდა 2009 წლის 18 მაისს, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ბორჯომის რაიონული სამმართველოს 2009 წლის 18 მაისის 132/1-10/1415 წერილით თ. ქ-აიას ჩაჰბარდა მისი განცხადების ირგვლივ მოკვლეული მასალების, მათ შორის, გასაუბრების ოქმების ქსეროასლები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მათი წარდგენა ამ ეტაპზე განაპირობებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტით საქმეზე წარმოების განახლებას.

მოცემულ შემთხვევაში თ. ქ-აია საქმეზე წარმოების განახლებას მოითხოვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელიც საქმეზე წარმოების განახლებას არ უკავშირებს დაკუმენტის სიყალბის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობას. აღნიშნულს ითვალისწინებს ამავე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი და მე-2 ნაწილი, რაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების სრულიად სხვა საფუძველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინების არსებობა ასევე არ გამორიცხავს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. დასახელებული განჩინებით კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა განპირობებული იყო საჩივარში მოყვანილი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობით, რაც არ ნიშნავს, რომ შესაბამისი მტკიცებულებების არსებობის პირობებში, შემდგომში საქმეზე წარმოების განახლების შესაძლებლობა გამოირიცხება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

- ლ. თ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

1ას-122-116-2010

15 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ლ. ფ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – ქ.თბილისის კრწანი-სი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება თ., ნ. ბ-იების, მ. მ-იანის ბინიდან გამოსახლების შესახებ ლ. ფ-მის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ფ-მეს დაეკისრა მ. მ-იანის, თ. და ნ. ბ-იების სასარგებლოდ 18375 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 7419 ლარის გადახდა, რის სანაცვლოდაც მ. მ-იანი, თ. და ნ. ბ-იები გამოსახლდნენ ქ.თბილისში, ... მე-2 შესახვევის '9-ში მდებარე მათ მიერ დაკავებული ფართიდან და იგი გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა ლ. ფ-მეს.

2009 წლის 3 აგვისტოს მ. მ-იანმა, თ. და ნ. ბ-იებმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართეს სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 დეკემბრის განჩინებით მ. მ-იანის, თ. და ნ. ბ-იების განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განმცხადებლებმა გასაჩივრებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მიიჩნიეს ის გარემოება, რომ «ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» 2008 წლის 11 ივლისის '1964/18/19 დასკვნა, რომელსაც გადაწყვეტილება ეფუძნება, შეიცავს არასწორ მონაცემებს სადავო ფართთან დაკავშირებით, კერძოდ, ექსპერტიზის მიერ შესაფასებელ ფართში არ შევიდა 12,3 კვ.მ სარდაფი და 15,2 კვ.მ ფარდული, სულ 27,5 კვ.მ, ასევე, არასწორად განისაზღვრა უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულება. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე, 372-ე მუხლებით, 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილით და მიიჩნია, რომ, დასახელებულ ნორმათა შესაბამისად, საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. პალატამ ჩათვალა, რომ ახლად აღმოჩენილს არ წარმოადგენს გარემოება, თუ რა ფართი ჰქონდა მხარეს ფაქტობრივად დაკავებული და აღნიშნულის შესახებ მისთვის დავის განხილვის პროცესშიც ცნობილი იყო. სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, მხარეს თავად შეეძლო სასამართლოსაგან დამოუკიდებლად უზრუნველყო ექსპერტიზის ჩ-ება და მისი წარდგენა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმის განხილვის შესაბამის ეტაპზე. ამდენად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა განმცხადებელთა მოსაზრება, რომ მათ საკუთარი ბრალის გარეშე არ ჰქონდათ შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინათ ამ გარემოებაზე და წარედგინათ სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა. ამასთან, მოცემული განცხადების საფუძვლად მითითებულ გარემოებაზე მხარე ჯერ კიდევ თავის საკასაციო საჩივარში მსჯელობდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. მ-იანის, თ. და ნ. ბ-იების წარმომადგენელმა მ. პ-იამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოცემულ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ გარემოებას წარმოადგენდა არა ის, თუ რა ფართი ეკავა განმცხადებელს, არამედ ის გარემოება, რომ მათ მიერ დაკავებული ფართის დიდ ნაწილს – დამხმარე 27,5 კვ.მ-ს გააჩნდა საცხოვრებელი ფართისაგან დამოუკიდებელი საბაზრო ღირებულება და მათი ღირებულება უნდა დამატებოდა საცხოვრებელი ფართის ღირებულებას. ამდენად, ახლად აღმოჩენილი გარემოება სადავო ფართის შეფასების განსხვავებული მეთოდიკა. საქმეზე ჩ-ებული პირველი ექსპერტიზით საექსპერტო დაწესებულებამ მიიჩნია, რომ 57 კვ.მ-დან 27,5 კვ.მ სარდაფსა და საზაფხულო სასტუმრო-სამზარეულოს საბაზრო ღირებულება საერთოდ არ გააჩნდა, შესაბამისად, განმცხადებელთა მიერ დაკავებული ფართი უნდა შეფასებულიყო მხოლოდ უშუალოდ 29,5 კვ.მ საცხოვრებელი ფართის საბაზრო ღირებულებით. მეორედ 2009 წლის 8 ივლისს ჩ-ებული '1912/19 საექსპერტო დასკვნა

ეფუძნება განსხვავებულ მეთოდებს. იმავე საექსპერტო ბიურომ დამოუკიდებელი საბაზრო ღირებულებით შეფასების საგნად მიიჩნია როგორც საცხოვრებელი ფართი, ისე სარდაფი და სამზარეულო. ამასთან, თითოეული მათგანის ღირებულება განსაზღვრა ცალ-ცალკე, 1 კვ/მ-ის დიფერენცირებული ღირებულებებით (580 აშშ დოლარით, 250 აშშ და 400 აშშ დოლარით) და შემდეგ შეაჯამა სამივე მონაცემი. აღნიშნული შეფასება მოითხოვს სპეციალურ ცოდნას საცხოვრებელი სადგომის საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო მახასიათებლობისა და საბაზრო კონიუქტურის შესახებ, რაც განმცხადებლებს არ შეიძლება ჰქონოდათ საქმის განხილვის დროს სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენტურობის არქონის გამო. ბუნებრივია, მათ იცოდნენ, თუ რა ფართი ეკავათ რეალურად, მაგრამ არ შეიძლება სცოდნოდათ, რომ ფართის დამხმარე ნაწილს ცალკე საბაზრო ღირებულება გააჩნდა, რაც ზრდიდა სადავო უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინების შემთხვევაში საკომპენსაციო თანხა განმცხადებელთა სასარგებლოდ 9808 აშშ დოლარით მეტი იქნებოდა იმაზე, რაც სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოწინააღმდეგე მხარეს დააკისრა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ მ. მ-იანის, თ. და ნ. ბ-იების წარმომადგენელ მ. პ-იას განცხადების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად ჩათვალა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას შეიძლება საფუძვლად დაედოს მხარის მიერ საქმის წარმოების დასრულების შემდეგ ისეთი გარემოების შეტყობა, რომლებსაც საქმის განხილვის პერიოდში მისი სასამართლოსათვის წარდგენის შემთხვევაში შეეძლო არსებითად ზეგავლენა მოეხდინა საქმის განხილვის შედეგზე. ამასთან, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გაუქმების მოთხოვნისას მხარემ სათანადოდ უნდა დაადასტუროს, რომ გარემოება, რომელსაც იგი ახლად აღმოჩენილად მიიჩნევს, არ იყო და ვერც იქნებოდა ცნობილი მისთვის საქმის განხილვისას.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ გარემოება, რომელსაც განმცხადებლები ახლად აღმოჩენილად მიიჩნევენ მათთვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის დროს, კერძოდ:

მ.მ-იანი, თ. და ნ. ბ-იები კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვენ იმ საფუძვლით, რომ «ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» 2008 წლის 11 ივლისის 11964/18/19 დასკვნით განისაზღვრა საბაზრო ღირებულება მათ მიერ დაკავებულ მხოლოდ საცხოვრებელ ფართზე და არ შეფასებულა არასაცხოვრებელი 27,5 კვ.მ, რის გამოც გადაწყვეტილებით მოწინააღმდეგე მხარეს მათ სასარგებლოდ 9808 აშშ დოლარით ნაკლები თანხა დაეკისრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის სხდომის ოქმის თანახმად, თ.ბ-იამ იშუამდგომლა საქმეზე ახალი მტკიცებულებების – სადავო ფართის სრულად შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტის დართვის შესახებ იმ საფუძვლით, რომ საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა არასწორია და მასში მხარის მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართი სრულად ასახული არ არის. აღნიშნული შუამდგომლობა სააპელაციო პალატამ არ დააკმაყოფილა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მხარეს მითითებული მტკიცებულება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას უნდა წარედგინა.

ანალოგიურ პრეტენზიას შეიცავს მ. მ-იანის, თ. და ნ. ბ-იების 2009 წლის 27 თებერვლის საკასაციო საჩივარიც, სადაც მითითებულია, რომ საექსპერტო დასკვნასა და სასამართლო გადაწყვეტილებაში არ ფიგურირებს 12,3 კვ.მ ფართის სარდაფი მასში განლაგებული სააბაზანოთი და საპირპარეშოთი. კასატორთა მოსაზრებით, სასამართლოს აღნიშნული სარდაფი უნდა ჩათვალა მათი საცხოვრებელი სადგომის შემადგენელ ნაწილად, სადგომის ღირებულება განსაზღვრულიყო დამხმარე სათავსების გათვალისწინებით, 1 კვ.მ საბაზრო ღირებულების საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (დამხმარე) ფართების ჯამზე გამრავლებით.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სადავო ექსპერტიზის დასკვნის მიღებისას გამოყენებული მეთოდების შესახებ განმცხადებელთათვის ცნობილი იყო სასამართლოში მოცემული დავის არსებითად განხილვის განმავლობაში, რის შესახებაც მათ პრეტენზია წარადგინეს როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში. აღნიშნული კი იმაზე მეტყველებს, რომ მხარეთა მიერ დასახელებული გარემოება ახლად აღმოჩენილად ვერ ჩაითვლება და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების გზით საქმის წარმოების განახლების საფუძველი ვერ გახდება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია და მისი გაუქმების კანონიერი საფუძველები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-იანის, თ. და ნ. ბ-იების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

1ას-383-356-2010

24 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

კერძო საჩივრის დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განჩინებით იმერეთის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების ტექსტი: «გასწორდეს შ. კ-ძისა და ლ. მ-ძის ნაკვეთებს შორის არსებული საზღვარი ფაქტობრივად არსებული ბეტონის ღობის გასწვრივ, სწორხაზოვნად» განიმარტა შემდეგნაირად: «გასწორდეს შ. კ-ძისა და ლ. მ-ძის ნაკვეთებს შორის არსებული საზღვარი ფაქტობრივად არსებული ბეტონის ღობის გასწვრივ, სწორხაზოვნად, ანუ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების ა. ჭ-შვილისა და გ. ი-შვილის 2005 წლის 14 დეკემბრის დასკვნას თანდართული ნახაზის შესაბამისად, ისე, რომ ნახაზის მიხედვით «ა» და «ბ» წერტილებს შორის გაიბას თოკი და მის გეგმილზე მოეწყოს ღობე».

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში.

2010 წლის 22 იანვარს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ლ. მ-ძემ (წარმომადგენელი ი. გ-ძე), რომელმაც მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ზემოთ დასახელებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებად განმცხადებელმა მიუთითა მისი სარჩელით განსახილველ სხვა სამოქალაქო საქმეზე (საქმე ლ. მ-ძის სარჩელისა გამო სააღსრულებო მოქმედების შესახებ 2008 წლის 3 ივლისის ოქმის ბათილად ცნობის, აგრეთვე, შ. და დ. კ-ძეების საკუთრებაში არასწორი აღსრულების შედეგად გადაცემული 12კვ.მ მიწის ფართის გამოთხოვის თაობაზე) ექსპერტთა მიერ მიცემულ ჩვენებაზე. განმცხადებლის მითითებით, ამ საქმეზე ექსპერტებმა (ა. ი-შვილი, გ. ი-შვილი) განმარტეს, რომ საზღვარზე «ა» და «ბ» წერტილების შეერთების შედეგად მიიღება მრუდხაზოვანი გეგმილი ღობის მოსაწყობად. ე.ი. საზღვარი ვერანაირად ვერ დაემთხვევა ფაქტობრივად არსებული ბეტონის ღობის გასწვრივ სწორხაზოვნად მოწყობილ გეგმილზე საზღვარს. ამდენად, ექსპერტთა განმარტებით გაირკვა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 1 ნოემბრის განჩინებით დადგენილი განმარტება ეწინააღმდეგება 2006 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებას და ასევე წინააღმდეგობაშია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მოთხოვნასთან. ამასთან, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ნახაზზე ასახული და მის მიხედვით «ა» და «ბ» წერტილებს შორის გავლებულ გეგმილზე სიმრუდე შეადგენს 50სმ-ს, მაგრამ 50სმ სიმრუდის დასაწყისი არის არა ფაქტობრივად არსებული ბეტონის ღობესთან, არამედ მისგან რამდენიმე მეტრის მოცილებით. თუ ნახაზის მიხედვით «ა» და «ბ» წერტილები შეერთდება თოკით და მის გეგმილზე მოეწყობა ღობე, ეს ვერანაირად ვერ იქნება ფაქტობრივად არსებული ბეტონის ღობის სწორხაზოვანი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 მარტის განჩინებით ლ. მ-ძის (წარმომადგენელი ი. გ-ძე) განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

დასაშვებია, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 1 ნოემბრის გასაჩივრებული განჩინების განმარტებას საფუძვლად დაედო შემდეგი გარემოება: განსამარტი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ საზღვარი დაადგინა ამავე საქმეზე სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების მიერ შეთავაზებული წესით, ექსპერტიზის დასკვნაზე თანდართული ნახაზის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ მოსაზრებით, განმცხადებლის მიერ ახლად აღმოჩენილად მიჩნეული გარემოების არსებობის შემთხვევაშიც კი სასამართლო არ მიიღებდა სხვაგვარ გადაწყვეტილებას. ექსპერტებს ახლად აღმოჩენილად მიჩნეული ჩვენება კიდევ რომ მიეცათ გადაწყვეტილების განმარტების ეტაპზე, ეს არ შეეცვლიდა იმ გარემოებას, რომ 2006 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ მხარეთა შორის არსებული საზღვარი დაადგინა ისე, როგორც ეს შეთავაზებული ჰქონდათ ექსპერტებს.

არსებითად, განმცხადებელი, ახლად აღმოჩენილად მიიჩნევა იმას, რომ ექსპერტთა ჩვენების მიხედვით, მათივე დასკვნის შესაბამისად დადგენილი საზღვარი არ იქნება ბეტონის ღობის მიმართ სწორხაზოვანი. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა შემდეგი:

2006 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ არ დაუდგენია, რომ საზღვარი უნდა გაგრძელებულიყო ბეტონის ღობიდან სწორხაზოვნად. ამ გადაწყვეტილებაში ბეტონის ღობე იყო ათვლის წერტილი, სწორედ ამიტომ იქნა მასში მითითებული, რომ საზღვარი უნდა დადგინდეს ბეტონის ღობის გასწვრივ და არა – გაგრძელებაზე. სიტყვა «სწორხაზოვანი» ნიშნავდა, რომ სწორი უნდა ყოფილიყო თავად სასაზღვრო მიჯნა, ანუ ღობე. ასევე იყო განმარტებული აღნიშნული გადაწყვეტილება 2007 წლის 1 ნოემბრის განჩინებითაც.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ განცხადება უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. მ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა ემყარება შემდეგ მოტივებს:

მას შემდგომ, რაც იმერეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა გ. დ-მემ მიიღო სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეხდინა მოდავე მხარეებს – შ. კ-მესა და ლ. მ-მეს შორის არსებული საზღვრის გასწორება, რომელიც დადგენილი იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ამ ნაკვეთებს შორის აღმართა მიჯნა. მანვე ფაქტობრივად არსებული ბეტონის ღობის ბოლო წერტილიდან ლ. მ-მის ნაკვეთის მხარეს გადაზომა 70სმ ფართი, რომელიც შეუერთა «ბ» წერტილს.

ლ. მ-მემ მიიჩნია, რომ, აღსრულება ეწინააღმდეგებოდა 2006 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგენილ საზღვარს, რის გამოც იგი სადავოდ გახადა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. დასახელებულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს: ა) სააღსრულებო მოქმედების შესახებ 2008 წლის 3 ივლისის ოქმის ბათილად ცნობა; ბ) შ. და დ. კ-მეების საკუთრებაში არასწორი აღსრულების შედეგად გადაცემული მისი კუთვნილი 12კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოთხოვა.

ლ. მ-მის სარჩელით აღმრულ სამოქალაქო საქმეზე 2010 წლის 13 იანვრის სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტები ჭ-შვილი და ი-შვილი. მათ თავიანთი დასკვნის ირგვლივ მოდავე მხარეებს შორის საზღვრის გასწორებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს გასცეს პასუხები. ამ პასუხებიდან გამოირკვა, რომ «ა» და «ბ» წერტილების შეერთების შედეგად მიიღება მრუდხაზოვანი გეგმილი ღობის მოსაწყობად, ე.ი. საზღვარი ვერანაირად ვერ დაემთხვევა ფაქტობრივად არსებულ ბეტონის ღობის გასწვრივ სწორხაზოვნად მოწყობილ გეგმილზე გამავალ საზღვარს. იმავდროულად ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ნახაზზე ასახული და მის მიხედვით «ა» და «ბ» წერტილებს შორის გავლებულ გეგმილზე სიმრუდე შეადგენს 50სმ-ს, მაგრამ 50სმ სიმრუდის დასაწყისი არის არა ფაქტობრივად არსებული ბეტონის ღობესთან, არამედ – მისგან რამდენიმე მეტრის დაცილებით. თუ ნახაზის მიხედვით «ა» და «ბ» წერტილები შეერთდება თოკით და მის გეგმილზე მოწყობა ღობე, ეს ვერანაირად იქნება ფაქტობრივად არსებული ბეტონის ღობის სწორხაზოვანი.

ამდენად, ექსპერტების დაკითხვით გამოირკვა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 1 ნოემბრის განჩინებით დადგენილი განმარტება წინააღმდეგობაშია 2006 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებასთან, რაც ასევე ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მოთხოვნას.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ექსპერტების დაკითხვის შედეგად მოპოვებული წერილობითი მტკიცებულება არის ახლად აღმოჩენილი გარემოება, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში სასამართლო სხვაგვარ განმარტებას გააკეთებდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 მარტის განჩინება დატოვებულ იქნეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას უკავშირებს მხარის მიერ ისეთი ახალი გარემოებების ან მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე ნორმის მე-3 ნაწილი დასახელებული საფუძვლით საქმის წარმოების განახლებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. კანონმდებელი ახლად აღმოჩენილად არ განიხილავს იმ გარემოებებს, რომლებიც საქმის წარმოების დასრულებამდე მხარეს შეეძლო მოეპოვებინა და შესაბამისად, სასამართლოს მათ შესახებ ემსჯელა.

საქმის მასალების თანახმად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის გასაჩივრებული განჩინებით იმერეთის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლის განცხადების საფუძველზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების ტექსტი: «გასწორდეს შ. კ-მისა და ლ. მ-მის ნაკვეთებს შორის არსებული საზღვარი ფაქტობრივად არსებული ბეტონის ღობის გასწვრივ, სწორხაზოვნად» განიმარტა შემდეგნაირად: «გასწორდეს შ. კ-მისა და ლ. მ-მის ნაკვეთებს შორის არსებული საზღვარი ფაქტობრივად არსებული ბეტონის ღობის გასწვრივ, სწორხაზოვნად, ანუ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების – ა. ჭ-შვილისა და გ. ი-შვილის 2005 წლის 14 დეკემბრის დასკვნას თანდართული ნახაზის შესაბამისად, ისე, რომ ნახაზის მიხედვით «ა» და «ბ» წერტილებს შორის გაიბას თოკი და მის გეგმილზე მოეწყოს ღობე».

განმცხადებელი ახლად აღმოჩენილ გარემოებად ასახელებს მისი სარჩელით განსახილველ სხვა სამოქალაქო საქმეზე იმავე ექსპერტების მიერ მიცემულ ჩვენებას, რის საფუძველზეც სადავოდ ხდის გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი განმარტების სისწორეს.

საქმეზე წარმოდგენილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით უდავოდ დასტურდება, რომ სასამართლომ მოდავე მხარეებს – ლ. მ-მეს, დ. და შ. კ-მეებს შორის ნაკვეთების გამიჯვნა მოახდინა ამავე საქმეზე იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების (ა. ჭ-შვილი, გ. ი-შვილი) მიერ შეთავაზებული წესით, კერძოდ, ექსპერტიზის 2005 წლის 14 დეკემბრის დასკვნაზე თანდართული ნახაზის შესაბამისად. თავის დროზე ექსპერტიზის აღნიშნული დასკვნის სისწორე ლ. მ-მეს სადავოდ არ გაუხდია, არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუსაჩივრებია საკასაციო წესით. ლ. მ-მეს კერძო საჩივრით სასამართლოს არც ის განჩინება გაუსაჩივრებია, რომლითაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება განიმარტა სწორედ ექსპერტიზის 2005 წლის 14 დეკემბრის დასკვნის გათვალისწინებით. ამჟამად საქმის წარმოების განახლების საფუძვლად განმარტების შესახებ კანონიერ ძალაში შესული განჩინების მოტივების მცდარობაზე მიითითება ვერ ჩაითვლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებად და საქმის წარმოების განახლებას ვერ განაპირობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ლ. მ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 მარტის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

1ას-346-665-09

7 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
ნ. კვანტალიანი

კერძო საჩივრის დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით სს «ო-ს» კრედიტორებს გადაეცა თბილისში, ... ქ. '28-ში მდებარე მოვალის – სს «ო-ს» კუთვნილი ორსართულიანი 660.48 კვ.მ შენობა, რომელიც საჯარო ვაჭრობის გზით აუქციონზე არ გაყიდულა; ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა შენობის ნატურით საკუთრებაში გადაცემის შემდეგ სს «ო-ს» მიმართ სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა სს «ო-ს» კრედიტორების – ნ. გ-ძის, ო. ნ-შვილის, თ. ა-ურის და სხვათა (მოსარჩევეები) მიმართ; სს «ო-ს» კრედიტორები გათავისუფლდნენ სააღსრულებო მოსაკრებლის გადახდისაგან, აუქციონზე გაუყიდავი შენობის ნატურით გადაცემასთან დაკავშირებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სს «ო-ს» კრედიტორების – ნ. გ-ძის, ო. ნ-შვილის, თ. ა-ურის და სხვათა სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით სს „ო-ს“ დაკისრებული ჰქონდა გარკვეული რაოდენობის თანხები მოსარჩელეთა სასარგებლოდ;

კრედიტორებზე გაცემული სააღსრულებო ფურცლები აღსრულებისათვის წარმოებაში ჰქონდა თბილისის სააღსრულებო ბიუროს;

თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ 1997 წლის 29 ნოემბერს ყადაღა დაედო სს „ო-ს“ საკუთრებაში არსებულ თბილისში, ... ქ. '28-ში მდებარე ქონებას;

კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა აღსრულების მიზნით სამჯერ დაინიშნა დაყადაღებული ქონების საჯარო ვაჭრობა აუქციონის წესით, კერძოდ, 1998 წლის 10 აგვისტოს, 1998 წლის 30 ოქტომბერს და 1999 წლის 22 აპრილს. აღნიშნულ აუქციონებზე მოვალის ქონების რეალიზაცია არ მომხდარა;

მოსარჩევეები მოითხოვდნენ სს „ო-ს“ კუთვნილი, თბილისში, ... ქ. '28-ში მდებარე შენობის ნატურით გადაცემას იმ საფუძველით, რომ ისინი წარმოადგენდნენ სს „ო-ს“ კრედიტორებს და აღნიშნული ქონება სამჯერ გავიდა აუქციონზე, მაგრამ არ მომხდარა მისი რეალიზაცია. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 77¹ მუხლის შესაბამისად, თუ მეორე აუქციონზეც არ მოხდება ნივთის რეალიზაცია, კრედიტორის წერილობითი განცხადების საფუძველზე ნივთი შეიძლება გადაეცეს კრედიტორს ნატურით. ნივთის ნატურით გადაცემისას მისი ფასი განისაზღვრება აღსრულების პროცესში დადგენილი ნივთის საბაზრო ღირებულებით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოსარჩევეებმა მოიპოვეს აუქციონზე გაუყიდავი შენობის ნატურით გადაცემის უფლება, ვინაიდან დადგინდა მიიჩნია, რომ კრედიტორებზე სააღსრულებო ფურცლები გაიცა ბოლო აუქციონის (1999 წლის 22 აპრილის) შემდეგ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 113-ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის ამოქმედებამდე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ხდება ამ კანონით დადგენილი წესით. ამასთან, დგინდებოდა, რომ 1999 წლის 15 მაისიდან, ანუ კანონის ამოქმედებიდან ზემოაღნიშნულ მოსარჩელეთა სასარგებლოდ სააღსრულებო მოქმედებები არ განხორციელებულა. ამავე კანონის 77¹ მუხლის შესაბამისად კი ქონების ნატურით გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე აუქციონზეც არ მომხდარა ნივთის რეალიზაცია.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნულ მოსარჩელეთა მოთხოვნა ქონების ნატურით გადაცემის შესახებ უსაფუძველო იყო.

გარდა ამისა, სააპელაციო აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დგინდებოდა, განხორციელდა თუ არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით სააღსრულებო მოქმედებები რიგი კრედიტორების: ლ. ბ-ძის, ო. ლ-ძის, თ. ნ-შვილის, დ. ს-ძის, ო. ნ-შვილის, თ. ა-ურის სასარგებლოდ, ხოლო მოსარჩევეები: ტ. გ-ოვა, ნ. ტ-იანი, ნა. ჩ-ძე, თ. ნ-ძე, ნ. ჩ-ძე, მ. ქ-ძე იყვნენ თუ არ სს „ო-ს“ კრედიტორები, რამ-

დენადაც საქმეში არ იყო წარდგენილი არც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები და არც სააღსრულებო ფურცლები.

საქმეზე დგინდებოდა, რომ სადავო ქონება ორჯერ იქნა გატანილი აუქციონზე კრედიტორების: ნ. გ-ძის, დ. წ-იას, შ. დ-ძის, თ. ყ-იანის სასარგებლოდ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა აღსრულების მიზნით. სააპელაციო სასამართლომ მიზანშეუწონლად მიიჩნია დასახელებულ კრედიტორებზე ქონების ნატურით გადაცემა, ვინაიდან მათ მიერ მისაღები თანხა იყო **10 661** აშშ დოლარი, ხოლო ქონება, რომლის გადაცემასაც ისინი ითხოვდნენ, **1999** წლის **23** თებერვლის ექსპერტიზის დასკვნით, შეფასებულია **90 152** აშშ დოლარად.

საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის **2008** წლის **23** მაისის განჩინებით, სს «ო-ს» კრედიტორების (მათ შორის, შ. და ჟ. დ-ძეების უფლებამონაცვლე მ. დ-ძე) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2007** წლის **7** ნოემბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

2008 წლის **20** ოქტომბერს სს «ო-ს» კრედიტორებმა: ნ. გ-ძემ, თ. ა-ურმა, მ. დ-ძემ და სხვებმა განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. განმცხადებლებმა მოითხოვეს ზემოაღნიშნულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2007** წლის **7** ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებელთა მოთხოვნის საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

სააპელაციო სასამართლომ **2007** წლის **7** ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად ძირითადად იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ საქმეზე წარდგენილი მისაღებით არ დგინდებოდა, განხორციელდა თუ არა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე სააღსრულებო მოქმედებები კრედიტორების: ლ. ბ-ძის, ო. ლ-ძის, თ. ნ-შვილის, თ. ა-ურის, დ. ს-ძის სასარგებლოდ. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კრედიტორების: ნ. გ-ძის, დ. წ-იას, შ. დ-ძის, თ. ყ-იანის მიერ მისაღები თანხა **10 661** აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო გასაყიდი ქონების ღირებულება – **90 152** აშშ დოლარს და კრედიტორებს, რომლებსაც გადაეცემოდათ ქონება, ნატურით უნდა აენახლათ ურებიანთ ქონების ღირებულებასა და მისაღებ თანხებს შორის სხვაობა.

კრედიტორმა ო. ლ-ძემ **2008** წლის **13** ოქტომბერს აწ გარდაცვლილი კ. ლ-ძის დოკუმენტებში აღმოაჩინა სასამართლო აღმასრულებელ ნ. კ-შვილის, აღმასრულებელ რ. მ-ურის და სხვების წერილები, რომლებიც მკაფიოდ ადასტურებენ, რომ სს «ო-ს» კუთვნილ შენობაზე აუქციონი სხვა კრედიტორების პარალელურად ჩატარდა კ. ლ-ძის, ო. ლ-ძის და სხვების სასარგებლოდ, რომელთა მიერ ინდივიდუალურად სასამართლო გადაწყვეტილებებით მისაღები თანხები აღემატება სს «ო-ს» კუთვნილი შენობის ღირებულებას.

აღმასრულებელ ნ. კ-შვილის მიერ კრედიტორ კ. ლ-ძისათვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ აუქციონზე გატანილი ქონების ნატურით გადაცემის მოთხოვნა აღმასრულებელმა გაურკვეველი მიზეზების გამო არ დააკმაყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს მოქმედი სააღსრულებო წარმოების ინსტრუქციის **102-ე-103-ე** მუხლის შესაბამისად, აღმასრულებელს ამის უფლებამოსილება გააჩნდა;

აღმასრულებელ ნ. კ-შვილის **2000** წლის **17** მაისის **117-1** წერილში, რომელიც გაგზავნილია კრედიტორ კ. ლ-ძის სახელზე, აღნიშნულია, რომ **1999** წლის **22** აპრილს აღმასრულებელ რ. ა-ოვის მიერ აუქციონი სს «ო-ს» კუთვნილ შენობაზე ჩატარდა ო. და კო. ლ-ძეების, თ. ნ-ძის, ტ. ნ-შვილის, ნ. ჩ-ძის, შ. დ-ძის, ნ. გ-ძის, დ. წ-იას და სხვების მიმართ და ეს თანხები აღემატებოდა შენობის ღირებულებას.

იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის უფროსი დ. თ.-მ-ავი **1999** წლის **22** აპრილის **104/207** წერილით მიმართავდა აღმასრულებელ რ. ა-ოვს (ამ წერილის ასლი აღმასრულებელ ნ. კ-შვილს გადაცემული ჰქონდა კ. ლ-ძეზე), რომ კრედიტორები: ნ. გ-ძე, ო. ლ-ძე, კო. ლ-ძე, თ. ნ-შვილი, შ. დ-ძე, თ. ა-ური, თ. ნ-ძე, ლ. ბ-ძე და სხვები ითხოვდნენ აუქციონზე გაუყიდავი შენობის ნატურით გადაცემას, ეს განცხადება არ განხილულა, რის გამოც ადრესატს დაევალა კანონის საფუძველზე ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება.

აღმასრულებელ ნ. კ-შვილის წერილს თან ერთვის აღმასრულებელ რ. მ-ურის, **30** ივნისით დათარიღებული **15-01** წერილი, რომელიც გაგზავნილია სააღსრულებო სამსახურის უფროსთან. დასახელებული წერილის თანახმად, სააღსრულებო წარმოების მიხედვით სს «ო-ზე» **177 687.90** აშშ დოლარის და **19 252** ლარის გადახდევინებაზე სამჯერაა აუქციონზე გატანილი ... ქ. **128-ში** მდებარე მოვალის – «ო-ს» კუთვნილი შენობა კრედიტორების – გ-ძის, დ-ძის, წ-იას, ო. ლ-ძის, კ. ლ-ძის, თ. ჩ-ძის, თ. ნ-შვილის, ლ. ბ-ძის და სხვების სასარგებლოდ. **1999** წლის **22** აპრილს აღმასრულებელ რ. ა-ოვის მიერ შედგენილ აქტს აქვს კრედიტორ ნ. გ-ძის მინაწერი, რომლითაც იგი ითხოვს თავისი და თავისი მარწმუნებლების სასარგებლოდ აუქციონზე გატანილი და გაუყიდავი შენობის ნატურით გადაცემას.

სააღსრულებო სამსახურის უფროსი დ. თ.-მ-ავი **1999** წლის **18** სექტემბრის **104/368** წერილით აღმასრულებელ ჟ-შვილს, აგრეთვე, **1998** წლის **29** ივლისის **104/140, 04/415** წერილებით სასამართლოს თავმჯდომარე მ. ო-შვილს წერს, რომ უნდა მოხდეს ქონების ნატურით გადაცემის საკითხის გადაწყვეტა კრედიტორებზე, რომლებიც ამას მოითხოვენ.

აღმასრულებელ ნ. კ-შვილის მიერ კრედიტორ კ. ლ-ძეზე გადაცემულ დოკუმენტებს თან ერთვის სს «ო-ს» სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ე. ბ-შვილის 1999 წლის 7 აპრილის '31 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მათ დაევალიათ კ. ლ-ძის, ო. ლ-ძის, თ. ნ-ძის, ნ. ჩ-ძის და სხვების სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება, რაზეც თანახმანი არ არიან, ვინაიდან გაზრდილი ინდექსაციებით რამდენიმე მეანბრეს მთელი ქონება არ შეიძლება გადაეცეს.

განმცხადებლის მითითებით, კრედიტორმა ო. ლ-ძემ თავისი გარდაცვლილი ქმრის კ. ლ-ძის პირად საბუთებში 2008 წლის 13 ოქტომბერს აღმოაჩინა ზემოთ დასახელებული დოკუმენტები, რომლებიც წარდგენილი რომ ყოფილიყო 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების გამოტანისას, სააპელაციო სასამართლო არ გააუქმებდა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას და სააღსრულებო დეპარტამენტს უარს ეტყოდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად განცხადებაში დასახელებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინებით შ. ხ-იკის, ო. ლ-ძის, თ. ა-ურის, ნ. გ-ძის, დ. წ-ია-ჯ-შვილის, მ. დ-ძის, ლ. ბ-ძის, ნ. ლ-ე-იანის, რ. დ-იას, მ. ჭ-იას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტი საქმეზე წარმოების განახლებას უკავშირებს ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებებისა და მტკიცებულებების აღმოჩენას, რომელიც საქმის განხილვის დროისათვის არ შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო დაინტერესებული მხარისათვის და მიუხედავად იმისა, რომ მხარემ ყველა ზომა მიიღო, არ ჰქონდა შესაძლებლობა, მიეთითებინა ამ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია განცხადებაზე დართულ ო. ლ-ძის განცხადებას, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ წარდგენილი მტკიცებულებები მან აღმოაჩინა აწ გარდაცვლილი მეუღლის – კ. ლ-ძის პირად დოკუმენტებში. დგინდებოდა, რომ კ. ლ-ძე გარდაიცვალა 2001 წელს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მის მემკვიდრე ო. ლ-ძეს შეეძლო აღნიშნული დოკუმენტების წარდგენა საქმის განხილვისას, რაც მისი ბრალით არ განუხორციელებია.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეზე წარდგენილი, ზემოთ დასახელებული მტკიცებულებები ვერ იქნებოდა მიჩნეული სადავო გარემოების (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით განმცხადებელთა სასარგებლოდ სადავო უძრავი ქონების აუქციონზე სამჯერ გატანის ფაქტის) დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებებად შემდეგი მოტივებით:

სადავო პერიოდში მოქმედი «სააღსრულებო წარმოების ინსტრუქციის» 103-ე მუხლის თანახმად, მეორე ვაჭრობის არშემდგარად გამოცხადების შემდეგ გადამხდევინებლის განცხადების საფუძველზე ქონება ნატურით გადაეცემა მას და თუ იგი უარს იტყვის გაუყიდავი ქონების ნატურით აღებაზე, მაშინ დადებული ყადაღა მოიხსნება და ნაგებობა უბრუნდება მოვალეს;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა აღსრულების მიზნით სამჯერ დაინიშნა მოვალის, სს «ო-ს» საკუთრებაში არსებული ქონების (მდებარე ... ქ. '28) საჯარო ვაჭრობა აუქციონის წესით, კერძოდ, 1998 წლის 10 აგვისტოს, 1998 წლის 30 ოქტომბერს და 1999 წლის 22 აპრილს;

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ სს «ო-ს» კრედიტორ შ. ხ-იკზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა 1999 წლის 17 მაისს, მ. ჭ-იაზე – 1999 წლის 21 აპრილს, რ. დ-იაზე – 1999 წლის 10 მაისს, ნ. ლ-ე-იანზე – 1999 წლის 10 მაისს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, დასახელებული კრედიტორების სასარგებლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით მოვალის ქონება საჯარო ვაჭრობის წესით აუქციონზე ვერ იქნებოდა გატანილი, ვინაიდან ბოლო აუქციონი ჩატარდა 1999 წლის 22 აპრილს. რაც შეეხებოდა ო. ლ-ძეს და ლ. ბ-ძეს, საქმეზე დგინდებოდა, რომ ო. ლ-ძეზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა 1999 წლის 26 თებერვალს, ლ. ბ-ძეზე – 1999 წლის 28 იანვარს. შესაბამისად, ვერც მათ სასარგებლოდ მოხდებოდა ქონების ორჯერ აუქციონზე გატანა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმის განხილვისას ზემოთ დასახელებული მტკიცებულებების წარდგენა არ გამოიწვევდა განმცხადებელთათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, რაც განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას განაპირობებდა.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს მ. დ-ძემ, შ. ხ-იკმა, დ. წ-ია-ჯ-შვილმა, ნ. გ-ძემ და სხვებმა (სულ 13 ფიზიკური პირი), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახალი განჩინებით საქმეზე წარმოების განახლების შესახებ მათი განცხადების დაკმაყოფილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა გადაწყვეტა.

კერძო საჩივრის ავტორების მოთხოვნის საფუძველზე შემდეგში მდგომარეობს:

გასაჩივრებული განჩინების თანახმად, იმის გამო, რომ ო. ლ-მეზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა 1999 წლის 26 თებერვალს, ხოლო ლ. ბ-მეზე 1999 წლის 28 იანვარს, მათ მიმართ ვერ მოხდებოდა აუქციონზე ქონების ორჯერ გატანა, ზემომითითებული მტკიცებულებები კი ვერ გამოიწვევდა მათთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, თუ როდის გაიცა ო. ლ-მის მამკვიდრებელ კ. ლ-მის მიმართ სააღსრულებო ფურცელი, მოხდა თუ არა მის სასარგებლოდ 1999 წლის 22 აპრილის აუქციონზე მოვალის კუთვნილი შენობის გატანა.

სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის ნოემბრის გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა სპეციალური კანონმდებლობა, კერძოდ, სააღსრულებო წარმოების ინსტრუქცია, რომლის საფუძველზეც მათ ჰქონდათ დავა სასამართლოში, ამასთან, ინსტრუქციის 103-ე მუხლის მოთხოვნას მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება. დასახელებული ნორმის თანახმად, თუ საჯარო ვაჭრობა არ ჩატარდა, სასამართლო აღმასრულებელი ამის შესახებ აცნობებს გადამხდევინებელს, ამ უკანასკნელს შეუძლია შეტყობინების მიღებიდან სამი დღის ვადაში დაიტოვოს ნაგებობა აღწერაში აღნიშნულ ფასში. სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა სააღსრულებო წარმოების შესახებ ინსტრუქციის 103-ე მუხლი და აღნიშნა, რომ აუქციონი მეორედ ვერ ჩატარდებოდა მაშინ, როდესაც განმცხადებლები მას უმტკიცებდნენ, რომ აღმასრულებელმა ა-ოვმა მესამედ დანიშნა აუქციონი მოვალის ქონების გაყიდვის მიზნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 15 მაისის განჩინებით შ. ხ-იკის გარდაცვალების გამო, მისი საპროცესო უფლებამონაცვლის დადგენამდე საქმის წარმოება შეჩერდა, რაც განახლდა 2010 წლის 19 აპრილის განჩინებით, გარდაცვლილი კერძო საჩივრის ავტორის – შ. ხ-იკის საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ნ. მ-ანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მაისის განჩინებით კერძო საჩივარი ნ. გ-მის, ო. ლ-მის, მ. ჭ-იას, ნ. ლ-იანის, რ. დ-იას, დ. წ-ია-ჯ-შვილისა და ლ. ბ-მის ნაწილში განუხილველად იქნა დატოვებული სასამართლო განჩინებით დადგენილ ვადაში მათ მიერ ხარვეზის შეუვსებლობის გამო, ამავე განჩინებით კერძო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული მ. დ-მის ნაწილში. დანარჩენი კერძო საჩივრის ავტორების კერძო საჩივარი იმყოფება ხარვეზის შევსების ეტაპზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მ. დ-მის კერძო საჩივრის საფუძველიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინება დატოვებულ იქნეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას უკავშირებს მხარის მიერ ისეთი ახალი გარემოებების ან მტკიცებულებების გაცნობას, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე საპროცესო ნორმის მე-3 ნაწილი დასახელებული საფუძველით საქმის წარმოების განახლებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. ამდენად, კანონმდებელი ახლად აღმოჩენილად განიხილავს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებზე მითითების შესაძლებლობაც საქმის წარმოების დასრულებამდე მხარეს არ გააჩნდა.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი მ. დ-მე ახლად აღმოჩენილი გარემოებების მის მიერ შეტყობას უკავშირებს თანამოსარჩელე ო. ლ-მის გარდაცვლილი მეუღლის პირად დოკუმენტებსა და სააღსრულებო დეპარტამენტში დაცულ დოკუმენტაციაში სხვადასხვა მტკიცებულებების აღმოჩენას, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას, თუ რომელი პირების სასარგებლოდ ჩატარდა აუქციონი, რამდენს შეადგენდა მათი კრედიტორული დავალიანებები შენობის ღირებულებასთან მიმართებით და რისი უფლებამოსილება გააჩნდათ კრედიტორებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელი ვერ ასაბუთებს, თუ რატომ არ ჰქონდა შესაძლებლობა, ახლად აღმოჩენილად დასახელებული გარემოებები გამოერკვია საქმის განხილვის დროს და მიეთითებინა მათზე. ისინი რეალურად წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რისი გარკვევის შეუძლებლობა არ არის დასაბუთებული. შესაბამისად, განმცხადებლის მიერ მოყვანილი გარემოებები ვერ ჩაითვლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებებად და საქმეზე წარმოების განახლებას ვერ განაპირობებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები წარმოადგენდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების ერთ-ერთ და არა ერთადერთ საფუძველს, რის გამოც არ დაკმაყოფილდა სს «ო-ს» კრედიტორების სარჩელი და გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებული ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ განცხადება სწორად არ დააკმაყოფილა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. დ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

¹ას-352-328-10 17 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ანდერძის გაუქმება, მესაკუთრედ ცნობა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა
3ა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს ჯ. და დ. ი-შვილებმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 27 იანვრის განჩინებით დ. და ჯ. ი-შვილების განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა დ. ი-შვილის სააპელაციო საჩივარი კ. ს-მის სასარგებლოდ ე. ი-შვილის მიერ 1990 წლის 28 დეკემბერს შედგენილი ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ. დაკმაყოფილდა შ. და კ. ს-ძეების სააპელაციო საჩივარი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ს-ძეების სარჩელი 1991 წლის 21 მარტის ანდერძის ბათილად ცნობის ნაწილში არ იყო ხანდაზმული, ვანაიდან დადგენილი იქნა, რომ ანდერძის ბათილობის საფუძვლების შესახებ ს-ძეებმა შეიტყვეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარჩელი იქნა აღძრული სასამართლოში ი-შვილების მიერ. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ს-ძეების სარჩელი ხანდაზმულია და აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოდგენილი აქვს 1991-1999 წლების სამემკვიდრეო განცხადებების რეესტრში რეგისტრირებული ჩანაწერები.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განმცხადებელს შეეძლო აღნიშნული მტკიცებულებები მოცემული საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს წარედგინა. პალატა ასევე მიუთითებს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები ვერ ადასტურებს სადავო გარემოებას, კერძოდ, იმ გარემოებას, რომ ს-ძეებისათვის სადავო ანდერძის შესახებ ცნობილი იყო 1991 წლიდან, შესაბამისად, საქმის განხილვის დროს აღნიშნული მტკიცებულებების წარდგენა არ გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა დ. ი-შვილმა და მიუთითა შემდეგზე: გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნულია, რომ ს-ძეების სარჩელი ანდერძის ბათილად ცნობის ნაწილში არ არის ხანდაზმული, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. საქმეში წარმოდგენილია ქ. თბილისის ¹14 სანოტარო ბიუროს ნოტარიუს ზ. ჩ-ძის 1991-1999 წლებში სამემკვიდრეო განცხადებების რეესტრში რეგისტრირებული ჩანაწერები, სადაც მეორე გრაფაში მითითებულია სანოტარო მოქმედების შესრულების თარიღი 11.05.91, 11.05.91, 02.07.91. შემდეგ გრაფაში სახელი და გვარი, შემდეგ კი მითითებულია გვარები შესაბამისი რეგისტრით - ს-

მე კ., ა. ბ-მე, დ. ი-შვილი, ჯ. ი-შვილი. აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ს-ძეებმა სასამართლო შეიყვანეს შეცდომაში, როცა განაცხადეს, რომ ანდერძის შესახებ შეიტყვეს მეზობლებისაგან. გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნულია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი ვერ ადასტურებს სადავო გარემოებას, კერძოდ, იმ გარემოებას, რომ ს-ძეებისათვის სადავო ანდერძის შესახებ ცნობილი იყო 1991 წლიდან, შესაბამისად, საქმის განხილვის დროს აღნიშნული მტკიცებულებების წარდგება არ გამოიწვევდა მისთვის სასურველი გადაწყვეტილების გამოტანას, რაც არასწორია, რადგან მათი თქმით, წარმოდგენილი დოკუმენტი ადასტურებს, რომ ს-ძეებისათვის ნამდვილად ცნობილი იყო ანდერძის შესახებ 1991 წელს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ დ. და ჯ. ი-შვილების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» პუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შესაძლებელია მხარემ მიმართოს სასამართლოს, მაგრამ საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვის დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მოცემულ შემთხვევაში, ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიჩნეულია, რომ ს-ძეების სარჩელი ხანდაზმულია და აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოდგენილია 1991-1999 წლების სამემკვიდრეო განცხადებების რეესტრში რეგისტრირებული ჩანაწერები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ განმცხადებელს შეეძლო აღნიშნული მტკიცებულებები მოცემული საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს წარედგინა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა, წარმოდგენილი დოკუმენტების წარუდგენლობის შეუძლებლობა საქმის განხილვის დროს, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ სწორად არ დააკმაყოფილა განმცხადებლების მოთხოვნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ. ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები ვერ ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ს-ძეებისათვის სადავო ანდერძის შესახებ ცნობილი იყო 1991 წლიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 27 იანვრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

დ. და ჯ. ი-შვილების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 27 იანვრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

1ას-639-600-2010

26 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ვ. როინიშვილი

კერძო საჩივრის დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით «... კომპანიის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება გ. ა-ძის სასარგებლოდ კაკლის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად «... კომპანიისათვის» 40 800 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: გ. ა-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განჩინებით და შევიდა კანონიერ ძალაში.

2009 წლის 20 ნოემბერს გ. ა-ძემ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა», «ბ», «გ», და «ვ» ქვეპუნქტებზე.

განცხადების დაკმაყოფილების საფუძველად გ. ა-ძემ მიუთითა შემდეგზე:

2009 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მას დაუბრუნა საქმეზე დართული მასალები, მათ შორის აღმოჩნდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტები. ამ დოკუმენტებით გ. ა-ძისათვის ცხადი გახდა არსებული სიყალბე. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიერ მისთვის გაგზავნილ დოკუმენტებში აღმოჩნდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი, მიწის მესაკუთრეთა ნაკვეთების ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილი იყვნენ მხოლოდ კომპანიის თანამშრომლები. რაც შეეხებოდა უშუალოდ გ. ა-ძის მიწის ნაკვეთის სურათს, მსგავსი არ ყოფილა წარდგენილი, რაც აშკარად ცხადყოფდა მის მიმართ გაყალბების ფაქტს;

მოპასუხე კომპანიის წარმომადგენელ ო. ყ-ძეს არ ჰქონდა ადვოკატის სახელით სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის მიღების უფლება, რადგან იგი მონაწილეობდა 2004 წლის 23 მარტს რუსთავის სასამართლოს ინიციატივით ჩატარებულ სადავო მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერებაში. აღნიშნული ოქმით დადგინდა გ. ა-ძის მიწის ნაკვეთში 28 ძირი მსხმოიარე კაკლის ნარგავის არსებობა, რაც დადასტურდა თავად ო. ყ-ძის ხელმოწერით, პრეტენზია ნარგავების კონდიციურობაზე არც მოწმის და არც დათვალიერებაში მონაწილე სხვა პირებისაგან არ დაფიქსირებულა. მოწინააღმდეგე მხარის დამცველად ო. ყ-ძის ყოფნა, სადაც იგი ცდილობდა საპირისპიროს დამტკიცებას, ხელს უშლიდა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოადგენდა დაინტერესებულ პირს;

საქმეზე წარდგენილი იყო ორი ურთიერთგამომრიცხავი და ურთიერთსაწინააღმდეგო დოკუმენტი: 2002 წლის 9 სექტემბრის ე.წ. «ქონების აღწერის დოკუმენტი», რომელშიც მხოლოდ ერთი სიტყვაა დაფიქსირებული: «დაუშვებელია» და 2004 წლის შპს «ძ-ი», რომლის მე-12 გვერდზე მითითებულია, რომ 2004 წლის 23 აპრილის მდგომარეობით მიწის ნაკვეთის მონაცემებში დაფიქსირებულია არაკონდიციური 25 კაკლის ნარგავი. ამ დოკუმენტებიდან ერთი უარყოფს გ. ა-ძის მიწის ნაკვეთზე კაკლის ნარგავების არსებობას, ხოლო მეორე ადასტურებს არაკონდიციური კაკლის ნარგავების არსებობას. ამასთან, 2002 წლის 9 სექტემბრის ქონების აღწერის დოკუმენტი შედგენილია დოკუმენტშივე მითითებული წესების უხეში დარღვევით;

როგორც ფოტოს გადაღება, ასევე, ქონების აღწერის დოკუმენტის შედგენა განხორციელდა მისი ხელმოწერით კომპანიის წარმომადგენლის მხრიდან თაღლითური გზით და მოტყუებით. დოკუმენტი არის არაფრისმთქმელი და ყალბი;

მოპასუხე კომპანიის მიერ წარდგენილი შპს «ძ-ს» ანგარიშის მიხედვით, 2004 წლის 23 აპრილის მდგომარეობით მიწის ნაკვეთის მონაცემებში მითითებულია 25 კაკლის არსებობა, რომელიც არაკონდიციურია. აღნიშნული ანგარიში სრულ წინააღმდეგობაშია საქმეში არსებულ ამავე რიცხვით დათარიღებულ «ქონების აღწერის დოკუმენტთან», რომელშიც ქონების აღწერის გრაფაში შეტანილია 10 რვაწლიანი და 15 ექვსწლიანი კაკლის ნარგავი და მათ არაკონდიციურობაზე ან ფესვთა სისტემის დაზიანებაზე მინიშნებული არ არის;

განმცხადებლის მოსაზრებით, ორი ერთი და იმავე რიცხვით დათარიღებული ურთიერთსაწინააღმდეგო დოკუმენტები იძლეოდა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შპს «ძ-მ» მოპასუხის მოთხოვნით შეადგინა ყალბი დოკუმენტი. იგი ნაკვეთში დასათვალიერებლად 2004 წლის 23 აპრილს კი არ შევიდა, არამედ უფრო გვიან, კერძოდ, როდესაც კომპანიას რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით უკვე მოპოვებული ჰქონდა გადაწყვეტილების გადაუდებელი აღსრულების უფლება. კომპანიამ და შპს «ძ-მ» ერთმანეთთან შეთანხმებით შეადგინეს ე.წ. «ანგარიში» და ფაქტობრივად არავითარ დათვალიერებას ადგილი არ ჰქონია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მიიჩნია, რომ მოპასუხე კომპანიის მიერ წარდგენილი ორივე დოკუმენტი, კერძოდ, 2002 წლის 9 სექტემბრის ქონების აღწერის დოკუმენტი თანდართული ფოტოსურათით და შპს «ძ-ს» ანგარიში იყო ყალბი, ხოლო ყალბ დოკუმენტზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილება უპირობოდ ექვემდებარებოდა გაუქმებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის განჩინებით გ. ა-ძის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მითითებით, საქმის მასალებში წარდგენილი შპს «მ-ს» დასკვნა, რომელიც საქმის არსებითად განმხილველმა სასამართლომ 2008 წლის 28 ნოემბრის (გასაჩივრებული გადაწყვეტილება) გადაწყვეტილების მიღების დროს გაიზიარა, არის ყალბი. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, დასახელებული საფუძვლით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი) საქმის წარმოების განახლების მოთხოვნისას განმცხადებელმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს დოკუმენტის სიყალბის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელს სააპელაციო სასამართლოსათვის ამგვარი განაჩენი არ წარუდგენია. შესაბამისად, მხოლოდ მხარის ზოგადი მითითება მტკიცებულების სიყალბეზე მისი ვარაუდის შესახებ, არ შეიძლება საფუძვლად დადებოდა საქმის წარმოების განახლების განცხადების დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მტკიცებულებები, რომელზეც განმცხადებელი უთითებდა (ქონების აღწერის დოკუმენტი, შპს «მ-ს» დასკვნა, ფოტოსურათები), არ წარმოადგენდა ახლად აღმოჩენილს. მათ შესახებ მხარისათვის ცნობილი იყო დავის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ», «გ» და «ვ» ქვეპუნქტებში მითითებული საფუძვლებით საქმის წარმოების განახლების წინამძღვრები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ა-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე წარმოების განახლების შესახებ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

განმცხადებლის მითითებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლად იგი მიუთითებდა გარემოებებზე, რომლებიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილობის უტყუარ და საკმარის საფუძველს წარმოადგენს.

კერძო საჩივარი დეტალურად შეეხება განმცხადებლის მიერ დასახელებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებებს. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ისინი არსებითად არ შეისწავლა, რასაც შედეგად საქმეზე არასწორი განჩინების მიღება მოჰყვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, გ. ა-ძის კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის განჩინება დატოვებულ იქნეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას უკავშირებს მხარის მიერ მხოლოდ ისეთი ახალი გარემოებების ან მტკიცებულებების გაცნობას, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავ საპროცესო ნორმის მე-3 ნაწილი დასახელებული საფუძვლით საქმის წარმოების განახლებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი გ. ა-ძე ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე მიიჩნევს საქმეში არსებულ მასალებს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილს. გარდა ამისა, კერძო საჩივრის ავტორი საუბრობს დოკუმენტების სიყალბეზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამ მუხლის 1-ლი ნაწილის «ა», «ბ», «გ» ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის წარმოება განახლდება, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოსათვის ასეთი განაჩენი არ წარუდგენია, რის გამოც მითითებული საფუძვლებითაც დაუშვებელია საქმის წარმოების განახლება.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მონაწილეობას ადგილზე დათვალიერებაში, ასეთი საფუძვლით სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის აკრძალვას და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე საქმის წარმოების განახლებას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებული ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ განცხადება სწორად არ დააკმაყოფილა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხ-ლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

გ. ა-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

1ას-619-581-2010 29 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

აბაშის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ც-იასა და სხვათა სარჩელი მ. ჭ-იას მიმართ გაუქმებული წყალსაწრეტი არხის აღდგენის თაობაზე დაკმაყოფილდა, დადგინდა წყლის გამტარი არხების გათხრა მ. ჭ-იას, ჟ. ც-იასა და ა. ჭ-იას ნაკვეთების საზღვართან.

მ. ჭ-იას სარჩელი ნ. ც-იას, გ. ა-იასა და სხვების მიმართ არხის ამოვსების, მავთულის აღდგენისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ჭ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 31 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. ჭ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 თებერვლის განჩინებით გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 31 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 22 თებერვლის განჩინებით მ. ჭ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 22 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, აპელანტ მ. ჭ-იას გამოუცხადებლობის გამო, მისი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა აბაშის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 თებერვლის განჩინებით მ. ჭ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2010 წლის 18 აპრილს მ. ჭ-იამ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებლის განმარტებით, 2009 წელს, როდესაც ხ. შ-იამ განცხადებით მიმართა უზენაეს სასამართლოს და წარადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ქ. აბაშაში, ... ქ. 12-ში მდებ-

ბარე უძრავი ქონების მესაკუთრე არის არა ნ. ც-ია, არამედ – ხ. შ-ია, შესაბამისად, აღნიშნულის თაობაზე სასამართლოსათვის ადრე რომ ყოფილიყო ცნობილი, იგი დაუსწრებელ გადაწყვეტილებას არ გამოიტანდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის განჩინებით მ. ჭ-იას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე დარჩა განუხილველი, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის განახლების მოთხოვნის შესახებ განცხადების შეტანის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის გაშვების გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ჭ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ მას კანონით დადგენილი ვადა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, განცხადების შეტანის თაობაზე არ დაურღვევია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ მ. ჭ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველების არსებობა.

ამავე კოდექსის 423-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოდგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მითითებული მუხლების დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადის ათვლა შეიძლება დაიწყოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ საქმის წარმოების განახლების საფუძველების შესახებ მხარემ შეიტყო ჯერ კიდევ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე და თანაც ისეთ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ჰქონდა შესაძლებლობა შესაბამისი საჩივრით მიემართა პირველი, სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოსათვის. ასეთ შემთხვევაში, არ არსებობს განცხადების დასაშვებობის წინაპირობა, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილით და იგი განუხილველად უნდა დარჩეს.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 თებერვლის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა აბაშის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომელიც საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ჭ-იამ.

ასევე დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 თებერვლის განჩინებით, მ. ჭ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შევიდა კანონიერ ძალაში.

დადგენილია, რომ 2010 წლის 18 აპრილს მ. ჭ-იამ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს 2008 წლის 22 მაისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ 2009 წელს, როდესაც ხ. შ-იამ განცხადებით მიმართა უზენაეს სასამართლოს და წარადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ქ. აბაშაში, ... ქ.12-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრე იყო არა ნ. ც-ია, არამედ ხ. შ-ია. შესაბამისად, აღნიშნულის თაობაზე სასამართლოსათვის ადრე რომ ყოფილიყო ცნობილი, იგი დაუსწრებელ გადაწყვეტილებას არ გამოიტანდა, ვინაიდან ამ დროისათვის ნ. ც-ია აღარ

წარმოადგენდა მხარეს და ამიტომ იგი არ იყო უფლებამოსილი დაეყენებინა შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის განჩინებით მ. ჭ-იას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველად განცხადების შეტანის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის გაშვების გამო.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მას საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის კანონით დადგენილი ვადა არ დაურღვევია, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 თებერვლის განჩინების მისთვის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შეიტანა განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის აღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან როგორც საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით, ასევე საქმის მასალებით ირკვევა, რომ მ. ჭ-იასათვის საქმის წარმოების განახლების საფუძველი ცნობილი იყო ჯერ კიდევ გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ანუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2010 წლის 5 თებერვლის განჩინების გამოტანამდე. კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრის განხილვის პერიოდში, 2009 წლის 14 ივლისს მ. ჭ-იამ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს, სადაც მიუთითა, რომ განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებამდე, 2007 წლის 27 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით ნ. ც-იამ ხ. შ-იასზე გაასხვისა ქ.აბაშაში, ... ქ. 12-ში მდებარე უძრავი ნივთი და, შესაბამისად, ნ.ც-ია აღარ იყო უფლებამოსილი დაეყენებინა შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამ გარემოებაზე მითითებით, კასატორი მ. ჭ-ია მოითხოვდა თავისი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას. აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლომ ხსენებული გარემოება არ მიიჩნია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად, ვინაიდან ჩათვალა, რომ იგი სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერებაზე ვერ იმოქმედებდა, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ, ვინაიდან მ. ჭ-იამ ჯერ კიდევ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეიტყო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლის შესახებ და თანაც, შესაბამისი საჩივრით მიმართა საკასაციო ინსტანციის სასამართლოს, რაც არ იქნა გაზიარებული, ამიტომ მისი განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუშვებელია და არ უნდა იქნეს განხილული.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. ჭ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

1ას-666-625-10

3 აგვისტო, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 6 თებერვალს თ. ჩ-მემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე მ. გ-ძის მიმართ მისთვის 30000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ჩ-მეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლოების გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ჩ-მემ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 22 აპრილის განჩინებით თ. ჩ-ძის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებულ სამოქალაქო საქმეზე შეწყდა საქმის წარმოება, აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის გამო.

2004 წლის 14 ივნისს თ. ჩ-მემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა თ. ჩ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ და მის სააპელაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივლისის სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მ. გ-ძის წარმომადგენელ რ. ხ-ის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა, სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა თ. ჩ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2008 წლის 9 იანვარს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე თ. ჩ-ძის გამოუცხადებლობის გამო, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ. ჩ-მე გათავისუფლდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, დანარჩენ ნაწილში განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

2009 წლის 12 ნოემბერს თ. ჩ-მემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებლის განმარტებით, 2009 წლის სექტემბერში მან მოიპოვა გარკვეული სახის მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, კერძოდ, თ. ჩ-მემ ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა, რომ მან მოიპოვა შპს «... ცენტრის» 2009 წლის 10 სექტემბრის ცნობა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მას ნამდვილად ჩაუტარდა ოპერაცია ორივე თვალზე 20 დეკემბერს და 25 დეკემბერს და მისი ტრანსპორტირება შეუძლებელი იყო, შესაბამისად, ვერ გამოცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე, ხოლო სამედიცინო ცნობაში პირდაპირი მითითება აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლოს მომართვის გარეშე ვერ მოხდებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 ივნისის განჩინებით თ. ჩ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ჩ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველზე, რომ განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას მან წინასწარ შეატყობინა სასამართლოს ავადმყოფობის შესახებ, სადაც ცნობის სახით მითითებული იქნა, რომ მას ნამდვილად ჩაუტარდა ოპერაცია თვალზე და ტრანსპორტირება არ შეეძლო, ხოლო ის გარემოება, რომ ცნობაში პირდაპირ უნდა ყოფილიყო მითითებული სასამართლო პროცესზე მისი გამოუცხადებლობის შეუძლებლობის შესახებ, მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განმცხადებელმა მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მას არასწორად უთხრა უარი საქმის წარმოების განახლებაზე, რის გამოც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ თ. ჩ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან გაჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები.

ამავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ამ მუხლის 1-ლი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძველებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისას მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ ცნობილი არ იყო მანამდე და მხარემ არ იცოდა აღნიშნული ფაქტის თაობაზე. ამასთან, მას თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მან წინასწარ შეატყობინა სასამართლოს მისი ავადმყოფობის შესახებ და წარადგინა ავადმყოფობის ცნობა, ხოლო ის გარემოება, რომ ცნობაში პირდაპირ უნდა ყოფილიყო მითითებული სასამართლო პროცესზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ, მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება ვერ გახდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი, ვინაიდან კანონის არცოდნა არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონის არცოდნა მხარეს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. კანონის ცოდნის პრეზუმფცია ყველასა და თითოეულზე ვრცელდება და არ შეიძლება პირი უთითებდეს კანონის არცოდნაზე ან მის არასათანადო გაგებაზე კანონის უცოდინარობის გამო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

კანონის ცოდნის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ თ. ჩ-მემ იცოდა ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი და, შესაბამისად, მას შეეძლო ამ ნორმის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი სამედიცინო ცნობა წარედგინა სასამართლოსათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება, ვერ მიიჩნევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებად და, შესაბამისად, ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. ჩ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 ივნისის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

1ა-2555-ა-23-2010

6 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ა-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. შ-ძის მიმართ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლით: ხულოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 აგვისტოს განაჩენით ი. შ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ მოსარჩელისათვის სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე, დანაშაულისათვის რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მოპასუხის მიერ ჩადენილი ქმედების გამო, მოსარჩელემ დაკარგა შემოსავალი, რადგან მიიღო მარჯვენა პირველი თითის ფალანგის მოტეხილობა, რომელიც გაგრძელდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და რამაც ხელი შეუშალა ორივე ხელით ფიზიკურ შრომაში. მორალურ ზიანთან დაკავშირებით, მოპასუხის ბრალი ჩადენილ ქმედებაში დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი სასამართლო განაჩენით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ა-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ი. შ-ძეს ნ. ა-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 267 ლარისა და 20 თეთრის გადახდა. ნ. ა-ძის სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლისა და მორალური ზიანის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ა-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის განჩინებით მოწინააღმდეგე მხარის ი. შ-ძის წარმომადგენლის ე. ა-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ნ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: დადგენილად ცნო, რომ 2010 წლის 26 აპრილს, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი, რომელიც სასამართლო სხდომაზე მოწვევისა და გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე გაფრთხილებულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ტელეფონის მეშვეობით. აღნიშნულ დღეს აპელანტის მიერ რაიმე წერილობითი მტკიცებულება ან სატელეფონო შეტყობინება არ შემოსულა მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებთან დაკავშირებით, ასევე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების თაობაზე ინფორმაციას არ ფლობდა არც გამოცხადებული მიწინააღმდეგე მხარე და მისი წარმომადგენელი, ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის გამოუცხადებლობა უნდა ჩაითვალოს არასაპატიოდ.

სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმების მოთხოვნით კერძო საჩივარი შეიტანა ნ. ა-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის განჩინებით ნ. ა-ძის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის განჩინებაზე განუხილველად იქნა დატოვებული იმ საფუძვლით, რომ კერძო საჩივრის ავტორმა დაარღვია კერძო საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული – 12-დღიანი ვადა.

2010 წლის 25 ოქტომბერს ნ. ა-მემ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მას კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი ვადა არ დაურღვევია. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის გასაჩივრებული განჩინება ჩაჰბარდა არა 2010 წლის 13 მაისს, არამედ, 2010 წლის 26 მაისს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გასაჩივრებული განჩინება სოფელში ჩაჰბარდა სხვა ნ. ა-მეს, განჩინების შესახებ კი მისთვის 13 დღის შემდეგ – 2010 წლის 25 სექტემბერს გახდა ცნობილი. აღნიშნული გარემოება კერძო საჩივრის წარდგენის დროს უცნობი იყო საკასაციო სასამართლოსთვის და, შესაბამისად, ეს გარემოებები და მტკიცებულებები ადრე რომ წარედგინა საკასაციო სასამართლოში, გამოიწვევდა განმცხადებლისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას – კერძო საჩივრის განხილვას.

განმცხადებელმა აღნიშნულ განცხადებას დაურთო ხულოს რაიონის სოფელ ვაშლოვანში მცხოვრებ ა-მეებისა და შპს «ს-ს» კურიერის – რ. ა-მის ახსნა-განმარტებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების საფუძველების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ა-მის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ განცხადება შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონით – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით ზუსტად განსაზღვრულ წანამძღვრებს.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი საქმის წარმოების განახლებას მოითხოვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ, მხარისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამასთან, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

კანონის ზემოხსენებული დანაწესი ცხადყოფს, რომ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლებას შეიძლება საფუძველად დაედოს მხარის მიერ საქმის წარმოების დასრულების შემდეგ ისეთი გარემოების შეტყობა, რომლებსაც საქმის განხილვის პერიოდში მისი სასამართლოსათვის წარდგენის შემთხვევაში შეეძლო არსებითად ზეგავლენა მოეხდინა საქმის განხილვის შედეგზე. ამასთან, მხარე ვალდებულია, სათანადო მტკიცებულების წარდგენის გზით დაადასტუროს მის მიერ მითითებული გარემოების ნამდვილობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელმა ასეთი გარემოების არსებობა სარწმუნოდ ვერ დაადასტურა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადრესატს – ნ. ა-მეს სააპელაციო სასამართლოს გზავნილი ჩაჰბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით 2010 წლის 13 მაისს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს განმცხადებელ ნ. ა-მის მითითებას იმის თაობაზე, რომ მას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის განჩინება ჩაჰბარდა არა 2010 წლის 13 მაისს, არამედ 2010 წლის 26 მაისს, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტით დადასტურებულია ადრესატ ნ. ა-მისათვის გზავნილის ჩაბარების დრო. რაც შეეხება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებას – კურიერის ახსნა-განმარტებას, აღნიშნული ვერ გააბათილებს საქმეში წარმოდგენილ ოფიციალურ დოკუმენტს – შპს «ს-ს» შეტყობინების ბარათს გზავნილების ჩაბარების შესახებ, რომელზეც გარკვევითაა აღნიშნული მხარისათვის გზავნილის ჩაბარების თარიღი – 2010 წლის 13 მაისი. ამასთან, სამეწარმეო იურიდიული პირის შპს «ს-ს» თანამშრომლის მიერ თავისი საქმიანობის არაჯეროვანი შესრულება ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს და იგი ვავლენას ვერ მოახდენს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის განჩინება კანონიერია და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მისი გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველზე განმცხადებელს არ მიუთითებია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 430-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ნ. ა-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

¹ა-1709-გ-14-2010

7 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის პირველი აპრილის გადაწყვეტილებით დ. და მ. ს-ავების კანონიერი წარმომადგენლის ლ. ც-ძის სარჩელი ვ. ს-ავასა და ჯ. ტ-ავას შორის 2008 წლის 22 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... ქუჩის 148-ში, კორპ. 11-ის, ბინა 117-ზე, არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ს-ავასა და არასრულწლოვან დ. ს-ავას კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. ც-ძემ, რომლითაც მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 იანვრის განჩინებით მ. ს-ავასა და არასრულწლოვან დ. ს-ავას კანონიერი წარმომადგენლის ლ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. და დ. ს-ავების კანონიერი წარმომადგენლის – ლ. ც-ძის წარმომადგენელმა ლ. ჩ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის განჩინებით მ. და დ. ს-ავების კანონიერი წარმომადგენლის – ლ. ც-ძის წარმომადგენელ ლ. ჩ-ძეს საკასაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალა, განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, სააპელაციო სასამართლოში წარმოდგინა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 1500 ლარის ქვითრის დედანი. აღნიშნული განჩინების ასლი კასატორს გაეგზავნა და ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის განჩინებით, მ. და დ. ს-ავების წარმომადგენელ ლ. ჩ-ძის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და კასატორებს ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელდათ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღით.

აღნიშნული განჩინების ასლი მ. და დ. ს-ავების წარმომადგენელ ლ. ჩ-ძეს გაეგზავნა და ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, კერძოდ, 2010 წლის 13 მაისს ჩაჰბარდა პირადად ლ. ჩ-ძეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინებით დ. ს-ავას წარმომადგენელ ლ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 იანვრის განჩინებაზე დარჩა განუხილველად საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

2010 წლის 19 ივლისს დ. ს-ავას წარმომადგენელმა ლ. ჩ-ძემ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ საქართველოს

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის განჩინება, რომლითაც მას საკასაციო საჩივარზე გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა, პირადად არ ჩაჰბარებია. აქედან გამომდინარე, არასწორია 2010 წლის 10 ივნისის განჩინებაში იმის მითითება, რომ საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებაზე ხელს თავად ლ. ჩ-მე აწერს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კასატორ მხარეს კანონის თანახმად არ ეცნობა ხარვეზის გაგრძელების შესახებ განჩინების თაობაზე, საკასაციო პალატას საჩივარი განუხილველად არ უნდა დაეტოვებინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, დ. ს-ავას წარმომადგენელ ლ. ჩ-მის განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე; გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის აღნიშნული საფუძვლები ამომწურავია და მისი გაფართოება დაუშვებელია. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი ლ. ჩ-მე არ მიუთითებს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის არც ერთ ზემოაღნიშნულ საფუძველზე. იგი ფაქტობრივად ითხოვს საქმეზე წარმოების განახლებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის საფუძველით, რაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა და არა გადაწყვეტილების ბათილობის გამო წარმოების განახლების საფუძველია. თუმცა, მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი განცხადება სრულიად დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

დ. ს-ავას წარმომადგენელი ლ. ჩ-მე თავისი განცხადების დაკმაყოფილების საფუძველად მარტოდენ იმაზე მითითებით შემოიფარგლება, რომ ხარვეზის გაგრძელების შესახებ საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 29 აპრილის განჩინება პირადად არ ჩაჰბარებია, ვინაიდან საფოსტო შეტყობინებაზე, რომელსაც საკასაციო სასამართლო განჩინების გამოტანისას დაეყრდნო, ხელმოწერა თავად არ ეკუთვნის. საკასაციო სასამართლო განმცხადებლის აღნიშნულ მსჯელობას ვერ გაიზიარებს, ვინაიდან განმცხადებელი, თავისი განმარტებით იგი ფაქტობრივად უთითებს საფოსტო შეტყობინების სიყალბეზე, რაც შესაბამისი ორგანოების მიერ დღესდღეობით დადგენილი არ არის. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში მოცემული საკითხის სადავოდ გახდომა საფუძველს მოკლებულია. ლ. ჩ-მე საქმეში არსებული აღნიშნული მტკიცებულების გასაქარწყლებლად მხოლოდ სიტყვიერი მსჯელობით შემოიფარგლება და მის დასადასტურებლად არა აქვს წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება. საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების თანახმად კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის განჩინება დ. ს-ავას წარმომადგენელ ლ. ჩ-მეს ჩაჰბარდა 2010 წლის 13 მაისს, რასაც ადასტურებს შეტყობინებაზე არსებული ხელმოწერა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არა აქვს საფუძველი, რაიმე ეჭვი შეიტანოს საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ ზემოაღნიშნული შეტყობინების სისწორეში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე, 423-ე, 430-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დ. ს-ავას წარმომადგენელ ლ. ჩ-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

1ა-1710-ა-15-2010

20 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის პირველი აპრილის გადაწყვეტილებით დ. და მ. ს-ავების კანონიერი წარმომადგენლის ლ. ც-ძის სარჩელი კ. ს-ავასა და ჯ. ტ-ავას შორის 2008 წლის 22 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... ქუჩის 148-ში, კორპ. 1-ის, ბინა 117-ზე, არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ს-ავასა და არასრულწლოვან დ. ს-ავას კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. ც-ძემ, რომლითაც მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 იანვრის განჩინებით მ. ს-ავასა და არასრულწლოვან დ. ს-ავას კანონიერი წარმომადგენლის ლ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. და დ. ს-ავების კანონიერი წარმომადგენლის – ლ. ც-ძის წარმომადგენელმა ლ. ჩ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის განჩინებით მ. და დ. ს-ავების კანონიერი წარმომადგენლის – ლ. ც-ძის წარმომადგენელ ლ. ჩ-ძეს საკასაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალა, განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, სააპელაციო სასამართლოში წარმოედგინა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 1500 ლარის ქვითრის დედანი. აღნიშნული განჩინების ასლი კასატორს გაეგზავნა და ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის განჩინებით, მ. და დ. ს-ავების წარმომადგენელ ლ. ჩ-ძის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და კასატორებს ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელდათ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღით.

აღნიშნული განჩინების ასლი მ. და დ. ს-ავების წარმომადგენელ ლ. ჩ-ძეს გაეგზავნა და ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, კერძოდ, 2010 წლის 13 მაისს ჩაჰბარდა პირადად ლ. ჩ-ძეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინებით დ. ს-ავას წარმომადგენელ ლ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 იანვრის განჩინებაზე დარჩა განუხილველად საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

2010 წლის 19 ივლისს დ. ს-ავას წარმომადგენელმა ლ. ჩ-ძემ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის განჩინება, რომლითაც მას საკასაციო საჩივარზე გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა, პირადად არ ჩაჰბარებია. აქედან გამომდინარე, არასწორია 2010 წლის 10 ივნისის განჩინებაში იმის მითითება, რომ საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებაზე ხელს თავად ლ. ჩ-ძე აწერს. აღნიშნულის თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 10 ივნისის განჩინების ჩაბარების შემდეგ, რის გამოც მათი წარდგენა სასამართლოში მითითებული განჩინების გამოტანამდე შეუძლებელი იყო, რამაც გამოიწვია მათთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინების გაუქმება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის «ვ» ქვეპუნქტის საფუძველზე, მის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, დ. ს-ავას წარმომადგენელ ლ. ჩ-ძის განცხადების საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი ლ. ჩ-ძე ახლად აღმოჩენილ გარემოებად და თავისი განცხადების დაკმაყოფილების საფუძველად მართოდ იმაზე მითითებით შემოიფარგლება, რომ ხარვეზის გაგრძელების შესახებ საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 29 აპრილის განჩინება პირადად არ ჩაჰბარებია, ვინაიდან საფოსტო შეტყობინებაზე, რომელსაც საკასაციო სასამართლო განჩინების გამოტანისას დაეყრდნო, ხელმოწერა თავად არ ეკუთვნის. აღნიშნულის თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 10 ივნისის განჩინების ჩაბარების შემდეგ, რის გამოც მათი წარდგენა სასამართლოში მითითებული განჩინების გამოტანამდე შეუძლებელი იყო, რამაც გამოიწვია მათთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანა. საკასაციო სასამართლო განმცხადებლის მითითებულ მსჯელობას ვერ გაიზიარებს და ვერ მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად, ვინაიდან განმცხადებელი, თავისი განმარტებით, ფაქტობრივად უთითებს საფოსტო შეტყობინების სიყალბეზე, რაც შესაბამისი ორგანოების მიერ დღესდღეობით დადგენილი არ არის. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში მოცემული საკითხის სადავოდ გახდომა საფუძველს მოკლებულია. ლ. ჩ-ძე საქმეში არსებული აღნიშნული მტკიცებულების გასაქარწყლებლად მხოლოდ სიტყვიერი მსჯელობით შემოიფარგლება და მის დასადასტურებლად არა აქვს წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება. საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების თანახმად კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის განჩინება დ. ს-ავას წარმომადგენელ ლ. ჩ-ძეს ჩაჰბარდა 2010 წლის 13 მაისს, რასაც ადასტურებს შეტყობინებაზე არსებული ხელმოწერა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არა აქვს საფუძველი, რაიმე ეჭვი შეიტანოს საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ ზემოაღნიშნული შეტყობინების სისწორეში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე, 423-ე, 430-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. დ. ს-ავას წარმომადგენელ ლ. ჩ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

1^ას-939-885-2010

20 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

კერძო საჩივრის დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით ა. და ვ. გ-შვილების სარჩელი სს «შ-ს» მიმართ საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმებისა და მისი ლიკვიდაციის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. და ვ. გ-შვილებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში, ვ. გ-შვილის გარდაცვალების გამო, უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება მისი შვილი – ნ. გ-შვილი, რომელმაც დაზუსტებული სააპელაციო საჩივრით მოითხოვა სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის საპრივატიზაციო სიაში შეყვანა და სათანადო წილის გამოყოფა, ხოლო ა. გ-შვილმა მოითხოვა სს «შ-ს» რეგისტრაციის გაუქმება და მისი სახელმწიფოსათვის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით ა. გ-შვილისა და ნ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ამ საქმეზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 5 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. გ-შვილისა და ვ. გ-შვილის უფლებამონაცვლედ ნ. გ-შვილის სარჩელი სს «შ-ს» რეგისტრაციის გაუქმების, ვ. გ-შვილის უფლებამონაცვლედ ნ. გ-შვილის საპრივატიზაციო სიაში შეყვანისა და სათანადო წილის გამოყოფის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი აღიარებითი ხასიათის იყო და მისი დაკმაყოფილების, კერძოდ, სს «შ-ს» რეგისტრაციის გაუქმების და საპრივატიზაციო სიაში შეყვანისა და სათანადო წილის გამოყოფის შემთხვევაში, ვერ მიიღწეოდა ის მიზანი და ინტერესი, რაც მოსარჩელებს გააჩნდათ.

სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს არ წარმოადგენდა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რამდენად კანონიერად განხორციელდა თბილისის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის ქონების პრივატიზება. ამასთან, ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების ნაწილში, სათანადო მოსარჩელედ მიჩნეულმა მხარემ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, აღნიშნულ მოთხოვნაზე განაცხადა უარი, რის გამოც საქმის წარმოება ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» პუნქტის შესაბამისად, შეწყდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ა. გ-შვილის და ვ. გ-შვილის უფლებამონაცვლედ ნ. გ-შვილის სარჩელზე, თბილისის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის საიჯარო საწარმოს შესახებ ქონების მართვის სამინისტროს 1993 წლის 5 ივლისის 198 ბრძანებით შექმნილი კომისიის დასკვნის, ამავე სამინისტროს 1993 წლის 31 აგვისტოს კოლეგიის გადაწყვეტილებისა და მის საფუძველზე გაცემული საკუთრების დამადასტურებელი დროებითი მოწმობის გაუქმების, ასევე, დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის განსაზღვრის თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 მარტის განჩინებით, დაუშვებლობის გამო საქმის წარმოება შეწყდა, რაც დარჩა უცვლელად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს მოსარჩელების კანონიერი უფლებისა და ინტერესებისათვის არ მიუყენებიათ პირდაპირი და უშუალო ზიანი, უკანონოდ არ შეუზღუდავთ მათი უფლება;

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. და ა. გ-შვილებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განჩინებით ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი, დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, დარჩა განუხილველად, ხოლო ა. გ-შვილის საკასაციო საჩივარი ამავე პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინების დაუშვებლად იქნა ცნობილი, შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2009 წლის 25 მარტს ა. გ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ვ» ქვეპუნქტების საფუძველზე, მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. განმცხადებელი ახლად აღმოჩენილ გარემოებად უთითებდა, ექსპერტიზის 2008 წლის 19 ივნისის დასკვნას და ექსპერტიზის ბიუროს სპეციალისტის 2006 წლის 19 ოქტომბრის 120/01/19-975 ცნობას, რომლებითაც დგინდებოდა დოკუმენტის სიყალბე, კერძოდ, განმცხადებლის განმარტებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსადმი მისი 2008 წლის 30 მაისის მიმართვის საფუძველზე, იმ საკითხის დადგენის თაობაზე, მის მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე «გ.კ. მ-ოვის» სახელით არსებული ხელმოწერები ერთი და იგი პირს ეკუთვნოდა თუ არა, ექსპერტიზის 2008 წლის 19 ივნისის დასკვნის შესაბამისად, დგინდებოდა, რომ ხელმოწერა გ.კ. მ-ოვის სახელით, განლაგებული ჩამონათვისის ასლზე (Перечь основных фондов передаваемых в аренду Тбилисскому заводу

оборудования по состоянию на 1/VI-1992 г) მრგვალი ბეჭდის ანაბეჭდზე და დასკვნის პირველ პუნქტში აღწერილი ხელმოწერები სავარაუდოა, რომ შესრულებული იყო სხვადასხვა პირის მიერ. ამასთან, იმის გამო რომ განმცხადებელი ადრეც ეჭვობდა გ.კ. მ-ოვის ხელმოწერაზე დარტყმული ბეჭდის ნამდვილობაზე, მისი მიმართვის საფუძველზე, ექსპერტიზის ბიუროს სპეციალისტის 2006 წლის 19 ოქტომბრის '20/01/19-975 ცნობით ეცნობა, რომ ტექსტის იმ ნაწილებს, რომლებიც გამოისახა და იკითხება ორივე ანაბეჭდზე გააჩნდათ ერთნაირი შინაარსი. ამდენად, განმცხადებელმა მიუთითა, რომ სწორედ აღნიშნული დოკუმენტით არარეგისტრირებულმა საწარმომ – შპს «შ-მ» ქარხნის სახელით, მიიღო ქონების მართვის სამინისტროსაგან 1993 წლის 3 სექტემბერს '29 ქონების საკუთრების დამადასტურებელი დროებითი მოწმობა.

ა. გ-შვილმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად ასევე მიუთითა ის გარემოება, რომ ქონების მართვის მინისტრის 1993 წლის 3 სექტემბრის '29 ქონების საკუთრების დამადასტურებელი დროებითი მოწმობა, თბილისის სამსხმელო მოწყობილობების ქარხნის შრომითი კოლექტივისათვის ქარხნის ბალანსზე რიცხული ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ, არ არსებობდა დედნის სახით და მას ხელას არ აწერდა მინისტრი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, განმცხადებელი ითხოვდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განჩინებით ა. გ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც ა. გ-შვილის და ვ. გ-შვილის უფლებამონაცვლე ნ. გ-შვილის სარჩელი სს «შ-ს» რეგისტრაციის გაუქმების, ვ. გ-შვილის უფლებამონაცვლე ნ. გ-შვილის საპრივატიზაციო სიაში შეყვანისა და სათანადო წილის გამოყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, არ ემყარებოდა დოკუმენტს - Перечь основных фондов передаваемых в аренду Тбилисскому заводу оборудования по состоянию на 1/VI-1992 г.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს არ წარმოადგენდა იმის შესახებ საკითხი, თუ რამდენად კანონიერად განხორციელდა თბილისის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის ქონების პრივატიზება, მით უფრო, რომ ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების ნაწილში სათანადო მოსარჩელედ მიჩნეულმა მხარემ – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, მითითებულ მოთხოვნაზე უარი განაცხადა, რის გამოც საქმის წარმოება ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების ნაწილში შეწყდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება რომც დაფუძნებულიყო განმცხადებლის მიერ მითითებულ დოკუმენტზე, მაინც არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» პუნქტის მიხედვით საქმის წარმოების განახლების საფუძველი, ვინაიდან არ არსებობდა დოკუმენტის სიყალბის თობაზე სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

სააპელაციო სასამართლომ ახლად აღმოჩენილ გარემოებად და, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოების განახლების საფუძველად, არ მიიჩნია ასევე განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება ქონების მართვის მინისტრის 1993 წლის 3 სექტემბრის '29 ქონების საკუთრების დამადასტურებელი დროებითი მოწმობის დედნის სახით არ არსებობისა და მასზე მინისტრის ხელმოწერის არ არსებობის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნა, რომ აღნიშნულის შესახებ მას შემდეგ მიეთითებინა სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც, თუმცაღა ამ შემთხვევაში იგი ვერ გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს არ წარმოადგენდა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერად განხორციელდა თბილისის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის ქონების პრივატიზება ქარხნის შრომით კოლექტივზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. გ-შვილის განცხადება დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. გ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი მხარეს აძლევს საშუალებას, იმ შემთხვევაში თუ დადგინდება დოკუმენტის სიყალბე, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, მოითხოვოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. ამავ მუხლის მეორე ნაწილი კი უკავშირდება სისხლის სამართლის საქმეს და მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან მის მიერ სადავოდ გამხდარი დოკუმენტი გაყალბებულია, რომელზეც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რაზეც სასამართლოს განჩინების მიღებისას ყურადღება არ გაუმახვილებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, ა. გ-შვილის კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განჩინება დატოვებულ იქნეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან გაჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია. ამავე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისას მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ ცნობილი არ იყო მანამდე და მხარემ არ იცოდა აღნიშნული ფაქტის თაობაზე, ამასთან, მას თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. ამასთან, თუ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადასტურდება იმ დოკუმენტის სიყალბე, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გასაჩივრებული განჩინების გაუქმების კანონით გათვალისწინებული არცერთი საფუძველი შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების საფუძვლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 19 ივნისის დასკვნა და სპეციალისტის 2006 წლის 19 ოქტომბრის '20/01/19-975 ცნობა, რომლებითაც დგინდებოდა იმ დოკუმენტის სიყალბე, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარებოდა, სააპელაციო სასამართლოს უნდა მიეჩნია ახლად აღმოჩენილ გარემოებად, მიუხედავად იმისა, აღნიშნულთან დაკავშირებით, არსებობდა თუ არა სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

აღნიშნულთან მიმართებაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ვერ გახდებოდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამ მუხლის 1-ლი ნაწილის «ა», «ბ», «გ» ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის წარმოება განახლდება, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოსათვის ასეთი განაჩენი არ წარუდგენია, რის გამოც მითითებული საფუძველით დაუშვებელია საქმის წარმოების განახლება, მით უფრო, რომ საქმის მასალებით არ დგინდება ის გარემოება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც ა. გ-შვილის და ვ. გ-შვილის უფლებამონაცვლე ნ. გ-შვილის სარჩელი სს «შ-ს» რეგისტრაციის გაუქმების, ვ. გ-შვილის უფლებამონაცვლე ნ. გ-შვილის საპრივატიზაციო სიაში შეყვანისა და სათანადო წილის გამოყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ემყარებოდა განმცხადებლის მიერ მითითებულ დოკუმენტს (Перечь основных фондов передаваемых в аренду Тбилисскому заводу оборудования по состоянию на 1/VI-1992 г).

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება ქონების მართვის მინისტრის 1993 წლის 3 სექტემბრის '29 ქონების საკუთრების დამადასტურებელი დროებითი მოწმობის დედნის სახით არ არარსებობისა და მასზე მინისტრის ხელმოწერის არ არსებობის თაობაზე, ვერ მიიჩნეოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმის წარმოების განახლების საფუძვლად, ვინაიდან ა. გ-შვილს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ არ შეეძლო აღნიშნულის შესახებ მიეთითებინა სასამართლოში საქმის განხილვის დროს. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორს აღნიშნული მტკიცებულება რომც წარმოედგინა სასამართლოში საქმის განხილვისას, იგი ვერ გამოიწვევდა მისთვის

ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, ვინაიდან როგორც საქმის მასალებით ირკვეოდა, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს არ წარმოადგენდა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერად განხორციელდა თბილისის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის ქონების პრივატიზება ქარხნის შრომით კოლექტივზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებული ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ განცხადება სწორად არ დააკმაყოფილა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

- ა. გ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

1ას-1047-981-2010

20 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულებისა და კოოპერატივის დადგენილების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ტ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ახალქალაქის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივის, ს. ა-იანისა და ი. მ-იანის მიმართ სავაჭრო ცენტრის მე-2 სართულის პრივატიზაციის შესახებ ახალქალაქის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივის 2003 წლის 3 აპრილის 14 დადგენილების ბათილად ცნობისა და 2003 წლის 13 ივნისის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით.

მოპასუხე ს.ა-იანმა და ი.მალხაზიანმა სარჩელი არ ცნეს.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ე. ტ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ახალქალაქის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივის 2003 წლის 3 აპრილის 14 დადგენილება სავაჭრო ცენტრის II სართულის პრივატიზაციის შესახებ; გაუქმდა 2003 წლის 9 ივნისის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც ნოტარიულად გაფორმდა 2003 წლის 13 ივნისს და დაიდო ახალქალაქის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივის, ი. მ-იანისა და ს. ა-იანის შორის სავაჭრო ცენტრის II სართულისა და კიბის მარშის ნასყიდობის თაობაზე (საჯარო რეესტრის სააგენტოს სარეგისტრაციო ნომრით 1184/2003).

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ს.ა-იანმა და ი.მ-იანმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით ს. ა-იანისა და ი. მ-იანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ე. ტ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით ე.ტ-იანის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის გამო.

ე. ტ-იანმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ამავე სასამართლოს 2009 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მიერ რაკოოპერატივის ყოფილი თავმჯდომარის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც დადასტურდა

მეპაიეთა, მათ შორის, პ. ტ-იანის ინტერესების დარღვევის ფაქტები სამეპაიეო სიებისა და კოოპრატის ქონების გასხვისებაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ს. ა-იანსა და ი. მ-იანს ობიექტი მაშინ მიჰყიდეს, როცა ობიექტი პ.ტ-იანთან საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადა გასული არ იყო, არც ის იყო გარკვეული, რომ იგი მეპაიე იყო, საპაიო წილის შესაბამისად, ქონების წილობრივი მესაკუთრე უპირატესი შესყიდვის უფლებით. პ.ტ-იანს არასოდეს დაუწერია განცხადება წილის შესყიდვაზე უარის თქმის თაობაზე, ასეთი განცხადება დაწერილია სხვის მიერ მისი სახელით. საიჯარო ხელშეკრულება მოქმედებდა 2004 წლის 1 ივლისამდე. პ.ტ-იანი გარდაიცვალა 2004 წლის 4 იანვარს, მაგრამ ხელშეკრულება გარდაცვალების მოტივით არ გაუქმებულა. ქონება პ.ტ-იანის სიცოცხლეში 2003 წლის 13 ივნისს გასხვისდა. აღნიშნული გარემოებები ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას. ამდენად, არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წინამძღვრები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივნისის განჩინებით ე. ტ-იანის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 მარტის განჩინებით განმცხადებელს დაევალა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების ხარვეზის შევსება, კერძოდ, აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში დაევალა, განცხადების ვადაში შეტანის დადასტურება და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. პალატამ დაადგინა, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების ასლი პ. ტ-იანს, რომელიც არის ე. ტ-იანის სრულწლოვანი ოჯახის წევრი, ჩააბარდა 2010 წლის 23 აპრილს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ გზავნილის მხარისათვისაც ჩაბარებად ჩათვალია. პალატამ დაადგინა ასევე, რომ განმცხადებელმა ხარვეზი ნაწილობრივ შეავსო, კერძოდ, გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, მაგრამ ხარვეზი იმ ნაწილში, რომლითაც დაევალა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, განცხადების წარმოდგენა, არ შეავსო. პალატის მითითებით, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელს ხარვეზი არ გამოუსწორებია. ამავე კოდექსის 429-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ ჩათვალია, რომ ე. ტ-იანის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ე. ტ-იანის წარმომადგენელმა პ.ტ-იანმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატის 2010 წლის 15 მარტის განჩინებით დაევალა ხარვეზის შევსება, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის გადახდა და მითითება იმ გარემოებებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ დაცულია განცხადების შეტანის ვადა და ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე. მის (კერძო საჩივრის ავტორის) მიერ განჩინების მოთხოვნა ბაჟის გადახდის თაობაზე შესრულდა, ხოლო მეორე მოთხოვნის შესრულება სასამართლოს მიერ დადგენილ 7-დღიან ვადაში შეუძლებელი იყო, ვინაიდან ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მიერ რაიკოოპერატივის ყოფილი თავმჯდომარის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის მიღება მითითებულ ვადაში ვერ შესძლო, რადგან მითითებულ სისხლის სამართლის საქმეში იგი არ წარმოადგენდა მხარეს. სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი ახალქალაქის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ახალქალაქის რაისამომხმარებლო კოოპერატივს დაევალა, სცნოს (ადადგინოს) პ. ტ-იანის მეპაიის უფლება და პ. ტ-იანის სახელით დაწერილი განცხადება წილის შესყიდვაზე, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა, მტკიცებულებათა შეფასების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ტ-იანის წარმომადგენლის პ.ტ-იანის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მე-2ე ნაწილის თანახმად, თუ განცხადება არ დააკმაყოფილებს აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, სასამართლო ავალეს განმცხადებელს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება აღარ დაიშვება. დასახელებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე მხარის განცხადების კანონის იმპერატიულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში სასამართლო განმცხადებელს დაუდგენს ხარვეზს და კონკრეტულად მიუთითებს იმ გარემოებების თაობაზე, რომელთა შესრულება მხარის განცხადების განსახილვე-

ლად მიღებისათვის სავალდებულოა. მითითებული ნორმის საფუძველზე სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობა ამ განცხადების დაშვებაზე უარის თქმის საფუძველია.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 მარტის განჩინებით განმცხადებელს დაევალა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების ხარვეზის შევსება, კერძოდ, აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში დაევალა განცხადების ვადაში შეტანის დადასტურება და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. ამავე განჩინებით განემარტა მხარეს, რომ ხარვეზის სრულად გამოუსწორებლობის შემთხვევაში სასამართლო წარმოდგენილ განცხადებას განუხილველად დატოვებდა. განმცხადებელმა ხარვეზი ნაწილობრივ შეავსო, კერძოდ, გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, მაგრამ ხარვეზი იმ ნაწილში, რომლითაც დაევალა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, განცხადების წარმოდგენა, არ შეავსო.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ განმცხადებელს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიუმართავს, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება მოცემული განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ კანონიერია.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის მითითება, რომ კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადაში ვერ შესძლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, განცხადების წარმოდგენა. განმცხადებელს კონკრეტულად განესაზღვრა იმ სავალდებულო საპროცესო მოქმედებათა ჩამონათვალი, რაც განცხადებაზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორებისთვისაა სავალდებულო, მან კი ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებაში მითითებული საპროცესო მოქმედება მხოლოდ ნაწილობრივ განახორციელა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის 1-ლი ნაწილის «ე»-«ვ» ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მითითებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტში მითითებული საფუძველები კიდევ რომ დასტურდებოდეს, საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ ორი პირობის არსებობისას: პირველი, ფაქტი არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ ცნობილი არ იყო მანამდე და, მეორე, მხარემ არ იცოდა ამ ფაქტის თაობაზე, ამასთან, თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი ახლად აღმოჩენილ გარემოებად უთუთებს 2003-2004 წლებში მომხდარ ფაქტებზე. განმცხადებელი ვალდებული იყო, დაედასტურებინა, რომ ეს ფაქტები მისთვის ცნობილი არ იყო და მას თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა განცხადებაში აღნიშნულ გარემოებებზე. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელმა ეს ვალდებულება ვერ შეასრულა, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 419-ე, 427-ე, 429-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ე. ტ-იანის წარმომადგენელ ჰ.ტ-იანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივნისის განჩინება.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

ა-2528-ა-24-2010

13 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება, გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ა-ს» მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელი აღძრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ 2008 წლის 31 ოქტომბრის შეთანხმების ბათილად ცნობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – შეგებულ სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე და შპს «ა-ს» საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 31886,38 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიტანა საკასაციო საჩივარი, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინებით დარჩა განუხილველად საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადის დარღვევის გამო.

2010 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: საკასაციო სასამართლომ განმცხადებლის საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვა იმ მოტივით, რომ საკასაციო წესით გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განჩინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჩაბარდა 2010 წლის 23 ივლისს, ხოლო საკასაციო საჩივარი შეტანილ იქნა ამავე წლის 24 აგვისტოს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილობითი კორესპოდენციების 1116 რეესტრით დასტურდება, რომ მხარემ საკასაციო საჩივარი გააგზავნა 2010 წლის 19 აგვისტოს. საქმის განხილვისას აღნიშნული გარემოების შეტყობის შემთხვევაში საკასაციო სასამართლო არ დატოვებდა განუხილველად სადავო საკასაციო საჩივარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ განცხადება შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონით – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით ზუსტად განსაზღვრულ საფუძვლებს.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი საქმის წარმოების განახლებას მოითხოვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ, მხარისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამასთან, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნა-

წილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

საკანონის ზემოხსენებული დანაწესი ცხადყოფს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას შეიძლება საფუძვლად დაედოს მხარის მიერ საქმის წარმოების დასრულების შემდეგ ისეთი გარემოების შეტყობა, რომლებსაც საქმის განხილვის პერიოდში მისი სასამართლოსათვის წარდგენის შემთხვევაში შეეძლო არსებითად ზეგავლენა მოეხდინა საქმის განხილვის შედეგზე. ამასთან, მხარე ვალდებულია, სათანადო მტკიცებულების წარდგენის გზით დაადასტუროს მის მიერ მითითებული გარემოების ნამდვილობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელმა ასეთი გარემოების არსებობა სარწმუნოდ ვერ დაადასტურა, კერძოდ:

მოცემული საქმის მასალებით ირკვევა და მხარეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განჩინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჩაბარდა 2010 წლის 23 ივლისს. ამდენად, მას საკასაციო საჩივარი უნდა წარედგინა 2010 წლის 24 აგვისტომდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს შტამპით დასტურდება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი შეტანილ იქნა 2010 წლის 24 აგვისტოს. ამასთან, საკასაციო საჩივარს ერთვის კონვერტი, რომელზეც საფოსტო განყოფილების ბეჭედი, ნომერი ან სხვა რაიმე აუცილებელი რეკვიზიტი არ ფიქსირდება.

ამდენად, აღნიშნული კონვერტი არ აძლევს სასამართლოს საშუალებას დაასკვნას, რომ საკასაციო საჩივარი სააპელაციო პალატას გაეგზავნა ფოსტის მეშვეობით.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებად ვერ მიიჩნევს განმცხადებლის მიერ მითითებულ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კორესპოდენციის 1116 რეესტრის მონაცემებს. აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სხვა გზავნილებთან ერთად 2010 წლის 19 აგვისტოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე ი.ა-შვილის სახელზე უნდა გაეგზავნა 08-01/12531 და 08-01/12530 გზავნილები. მართალია, აღნიშნული ნომრები დაფიქსირებული იყო საკასაციო საჩივარზე დართულ ზემოხსენებულ კონვერტზეც, თუმცა მითითებული გარემოება არ ადასტურებს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სადავო გზავნილი 2010 წლის 19 აგვისტოს ფოსტით გაგზავნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დაცვით ვერ დაასაბუთა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განჩინებაზე საკასაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში შეტანის ფაქტი, რის გამოც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

1ას-1254-1102-2010

28 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-ელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს გ. მ-ელისა და ნოტარიუს ლ. ა-შვილის მიმართ და მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-ელს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მ. მ-ელმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით მ. მ-ელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. მ-ელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – 2000 წლის 10 ნოემბერს ნოტარიუს ლ. ა-შვილის მიერ ე. მ-ელზე გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა სახლის, მდებარე ქ.თბილისში, ... ქ. '18'-ს 1/2 (9/18)-ზე გაუქმდა 6/18-ში და ე. მ-ელზე გაცემული ზემოთმითითებული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა უცვლელი დარჩა სადავო სახლის, მდებარე ქ.თბილისში ... ქ. '18'-ში 3/18-ზე; მ. მ-ელი ცნობილ იქნა შ. მ-ელის სამკვიდრო ქონების, კერძოდ სახლის, მდებარე ქ.თბილისი, ... ქ. '18'-ს 15/18-დან 5/18-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ; სამკვიდრო მოწმობის 3/18-ის გაუქმების ნაწილში სარჩელს ეთქვა უარი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა გ. მ-ელმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მაისის განჩინებით გ. მ-ელის მოთხოვნა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდა და მოცემულ საქმეზე შეწყდა გ. მ-ელის საკასაციო საჩივრის წარმოება.

2010 წლის 13 აპრილს გ. მ-ელმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ სასამართლომ საქმის გახილვისას სათანადოდ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და გარემოებები, თავისი ინიციატივით არ დანიშნა საინჟინრო ექსპერტიზა, რათა მომხდარიყო მხარეთა შორის წილების სწორად მიკუთვნება. 2010 წლის 12 მარტს კი თავად მიმართა დამოუკიდებელ ექსპერტს და ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, შეიტყო ის უსწორობები, რომელიც სასამართლომ 2007 წელს გადაწყვეტილების გამოტანისას დაუშვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით გ. მ-ელის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის 12 მარტის ექსპერტიზის დასკვნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ვერ მიიჩნეოდა ახლად აღმოჩენილ გარემოებად, ვინაიდან მითითებული დასკვნა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ იქნა შედგენილი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. მ-ელმა, მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ განცხადების განხილვისას არ შეაფასა ამავე სასამართლოს 2007 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილების კანონიერება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ გ. მ-ელის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდგრები.

ამავე კოდექსის 423-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას უკავშირებს მხარის მიერ ისეთი ახალი გარემოებების ან მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე ნორმის მე-3 ნაწილი, დასახელებული საფუძველით, საქმის წარმოების განახლებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მასზე, რომ 2010 წლის 12 მარტის ექსპერტიზის დასკვნა, რომელზეც გ. მ-ელი თავის განცხადებას აფუძნებს, ვერ მიიჩნეოდა ახლად აღმოჩენილ გარემოებად და ვერ გახდებოდა საქმის წარმოების განახლების საფუძველი, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, კანონი საქმის წარმოების განახლებას უკავშირებს გადაწყვეტილების გამოტანამდე არსებულ გარემოებებს, რომელიც განმცხადებლისათვის ცნობილი არ იყო და მას, თავისი ბრალის გარეშე, არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. განმცხადებლის მიერ მითითებული ექსპერტიზის დასკვნა კი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგად იქნა შედგენილი, რაც ცხადყოფს, რომ თავად დასკვნა და მასში მითითებული გარემოებები კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას ვერ გამოიწვევს.

გარდა ამისა, კანონმდებელი ახლად აღმოჩენილად არ განიხილავს იმ გარემოებებს, რომლებიც საქმის წარმოების დასრულებამდე მხარეს შეეძლო მოეპოვებინა და, შესაბამისად, სასამართლოს მათ შესახებ ემსჯელა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებული მხარეთა შეჯიბრებითობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს, ხოლო მხარეთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების პრაქტიკული რეალიზება მათ მიერ საკუთარი მოთხოვნების დასაბუთების მიზნით, უშუალოდ არის დამოკიდებული საქმის სასამართლო განხილვის სისრულეზე. განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი ვერ ასაბუთებს, თუ რატომ არ ჰქონდა შესაძლებლობა, ახლად აღმოჩენილად დასახელებული გარემოება – ექსპერტიზის დასკვნა, საქმის განხილვის დასრულებამდე მოეპოვებინა და მიეთითებინა მასზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელმა ვერ უზრუნველყო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლისა და ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მისთვის დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენის გზით.

ამასთან, ყურადსაღებია ისიც, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება გ. მ-ელის მიერ საკასაციო წესით გასაჩივრებული იყო, თუმცა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 21 მაისის განჩინებით, მის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, შეწყდა საქმის წარმოება, რაც ცხადყოფს, რომ მან, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, განკარგა თავისი საპროცესო უფლება, უარი თქვა საკასაციო საჩივრის განხილვაზე, რითაც ფაქტობრივად ცნო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება და მისი შედეგები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება, ვერ მიიჩნევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებად და, შესაბამისად, ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

გ. მ-ელის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ოქტომბრის განჩინება.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

განჩინება

1ას-1380-1216-2010

10 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «პ-მ» განცხადებით მიმართა სასამართლოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა საქმის გამარტივებული წესით განხილვა და გადახდის ბრძანების მიღების გზით მოპასუხისათვის 8053,11 ლარისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 მაისის გადახდის ბრძანებით შპს «პ-ს» განცხადება დაკმაყოფილდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შესაგებლით (პროტესტი) მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა, რაც ამავე სასამართლოს 2007 წლის 19 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით შპს «პ-ს» სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შპს «პ-ს» სასარგებლოდ დაეკისრა 8053,11 ლარის განმცხადებლის მიერ წინასწარ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

აღნიშნული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და შპს «პ-ს» სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით შპს «პ-ს» საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის გამო.

შპს «პ-ს» დირექტორმა ა. გ-მემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ნოემბრის განჩინებით შპს «პ-ს» დირექტორ ა. გ-მის განცხადება არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის მითითება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარება მოპასუხის ცრუ განმარტებასა და გაყალბებულ სხდომის ოქმს, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა, ამდენად, მისი პრეტენზია დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული.

პალატის განმარტებით, განმცხადებელი ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნევს იმას, რომ სასამართლომ საქმის განხილვისას დაარღვია საპროცესო ნორმები, არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, არ შეაფასა ან არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. აღნიშნულ გარემოებებზე პალატამ არ იმსჯელა, ვინაიდან მითითებული სცილდებოდა საქმის წარმოების განახლების ფარგლებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის წესი ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების დადგენის შემთხვევაში. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებში (განჩინებებში) სასამართლოს მიერ ნორმის გამოყენების მართლზომიერების გადასინჯვის და მითითებული გადაწყვეტილებების საზედამხედველო წარმოების წესით გაუქმების შესაძლებლობას.

ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, განმცხადებლის ამგვარი პრეტენზია წარმოადგენს გადაწყვეტილების საერთო წესით გასაჩივრების და არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველს. ასეთად მიიჩნევს შემთხვევაშიც კი დაუშვებელი იქნებოდა საქ-

მის წარმოების განახლება, ვინაიდან მათ შესახებ განმცხადებლისათვის ცნობილი იყო საქმის განხილვის პროცესში და მას შეეძლო, საქმის წარმოებისას მოეთხოვა დასახელებულ საკითხების განხილვა. ასეთი შესაძლებლობა კი გამორიცხავს ამ მოტივით საქმის წარმოების განახლებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ განცხადებაზე დართული მტკიცებულებები (თავდაცვის სამინისტროს წერილები და შედარების აქტები), რომლებიც, მისი განმარტებით, წარმოადგენს ახალ მტკიცებულებებს, მოიპოვება საქმის მასალებში. 2002 წლის 28 ნოემბრის, 2002 წლის 12 დეკემბრის, 2003 წლის 9 იანვრის, 2003 წლის 23 სექტემბრის და 2003 წლის 7 ნოემბრის სასაქონლო ზედნადებებთან დაკავშირებით კი მხარეს სასამართლოსთვის არ დაუსაბუთებია ამ მტკიცებულებათა საქმის განხილვის დროს წარუდგენლობაში მისი არაბრალებლობის დამადასტურებელი საპატიო გარემოება, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს «პ-ს» დირექტორმა ა. გ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატას სათანადოდ არ გამოუკვლევია შპს «პ-ს» განცხადების მოტივები და საქმე განიხილა ტენდენციურად. განმცხადებელმა სასამართლოს წარუდგინა სამი შედარების აქტი 6405,72 ლარზე, რაც თავდაცვის სამინისტროს არ გადაუხდია. მეტიც, სამინისტრომ 2007 წლის 14 ივნისს წარადგინა ყალბი შესაგებელი (პროტესტი), რაც სასამართლომ არასწორად გაიზიარა და არ გაითვალისწინა, რომ 2007 წლის 11 ივლისის სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ მოსარჩელის ვალი რამდენჯერმე აღიარა. სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე და 106-ე მუხლები, ვინაიდან განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შედარების აქტები აღარ საჭიროებდნენ დამატებით მტკიცებას. ამავე კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ»-«ვ» ქვეპუნქტების, მე-4, -5-თლით არ მოსთხოვა მოპასუხეს წერილობითი მტკიცებულებების წარდგენა, ასევე, განცხადების განხილვისას მოსამართლემ არ მოახსენა პალატას შპს «პ-ს» განცხადების შინაარსი და განმცხადებელს არ გადასცა მოპასუხის შესაგებელი. სააპელაციო სასამართლოს უნდა გადაესინჯა მის მიერ 2009 წლის 9 თებერვალს და 2010 წლის 15 ნოემბერს მიღებული უკანონო გადაწყვეტილებები და მიეღო ახალი გადაწყვეტილება შპს «პ-ს» 2009 წლის 2 სექტემბრის განცხადების დაკმაყოფილების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შეწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «პ-ს» დირექტორ ა. გ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ განცხადება შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონით – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით ზუსტად განსაზღვრულ წანამძღვრებს.

მოცემულ შემთხვევაში მხარე საქმის წარმოების განახლებას მოითხოვდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამასთან, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

კანონის ზემოხსენებული დანაწესი ცხადყოფს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას შეიძლება საფუძვლად დაედოს მხარის მიერ საქმის წარმოების დასრულების შემდეგ ისეთი გარემოების შეტყობა, რომლებსაც საქმის განხილვის პერიოდში მისი სასამართლოსათვის წარდგენის შემთხვევაში შეეძლო არსებითად ზეგავლენა მოეხდინა საქმის განხილვის შედეგზე. მხარე ვალდებულია, სათანადო მტკიცებულების წარდგენის გზით დაადასტუროს მის მიერ მითითებული გარემოების ნამდვილობა. სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის მესამე ნაწილი კი ადგენს, რომ ზემოხსენებული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელმა ზემოთ მითითებულ ნორმებში დასახელებული გარემოების არსებობა სარწმუნოდ ვერ და-

ადასტურა და ვერ დაასაბუთა, საქმის არსებითად განხილვისას რა საპატიო მიზეზით ვერ წარადგინა ახალი მტკიცებულებები. მეტიც, განმცხადებელი არ უთითებს, რომ მის მიერ ახლად აღმოჩენილი გარემოებები მისთვის ადრე ცნობილი არ ყოფილა.

სავსებით დასაბუთებულია გასაჩივრებული განჩინება იმ ნაწილშიც, სადაც სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს «პ-ს» განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე რეალურად წარმოადგენს გადაწყვეტილების საერთო წესით გასაჩივრების მცდელობას და არ შეიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველებს.

ამდენად, განმცხადებელი ვალდებული იყო, ემტკიცებინა, რომ მის მიერ წარმოდგენილი შედარების აქტების, სასაქონლო ზედნადებებისა და წერილების შესახებ საქმის არსებითად განხილვისას მისთვის ცნობილი არ იყო, რაც მხარემ ვერ განახორციელა.

სამართლებრივ დასაბუთებას მოკლებულია კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ სასამართლომ შპს «პ-ს» განცხადების განხილვისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ»-«ვ» ქვეპუნქტები, მეოთხე, მეხუთე ნაწილები, 202-ე, 203-ე, 217-ე, 102-ე, 105-ე და 106-ე მუხლები. სააპელაციო პალატის განჩინებით შპს «პ-ს» განცხადება მართებულად არ დაკმაყოფილდა და მისი გაუქმების საფუძველი კერძო საჩივარში დასაბუთებული არ არის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «პ-ს» დირექტორ ა. გ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

1ას-1208-1469-09

25 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით ზ. ლ-შვილის სარჩელი მოპასუხე სს „თ-ს“ მიმართ ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის ბათილად ცნობის და თანხის ჩამოწერის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრებულ იქნა ზ. ლ-შვილის მიერ, რომლითაც მან მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინებით ზ. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა: უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხსენებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ლ-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ზ. ლ-შვილის და მისი წარმომადგენლის – ი. კ-მის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად.

2009 წლის 25 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა ზ. ლ-შვილმა და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ნოემბრის განჩინებით ზ. ლ-შვილის განცხადება დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინებით ზ. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს ამ საქმეზე გასაჩივრებული განჩინების მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლით ახალი გადაწყვეტილება არ მიუღია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზ. ლ-შვილის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ წარმოდგენილი არაგანსჯად სასამართლოში, რის გამოც მითითებული განცხადება დაუშვებელია და იგი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, განუხილველად უნდა დარჩეს.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ლ-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, სასარჩელო მოთხოვნა იყო სს „თ-ს“ მიერ 2007 წლის 23 იანვარს შედგენილი ოქმი '001913 და '142281 აქტის ბათილად ცნობა და უკანონოდ დარიცხული თანხის ჩამოწერა.

გარდა იმისა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები აბსოლუტურად არ შეეფერება სინამდვილეს, გაყალბებულია ფოტოსურათები, იგი შედგენილია საქართველოს მარეგულირებელი კომისიის 2001 წლის 31 დეკემბერს მიღებული '15 დადგენილებით დამტკიცებული „სააბონენტო, საბიუჯეტო და კომერციულ სექტორში აღურიცხავი ელექტროენერჯის დარიცხვის მეთოდიკის“ მე-4 მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით.

აქტში დაფიქსირებულია გადასახდელი თანხა 8,2 ამპერის მიხედვით, ფაქტობრივად კი მათ მიერ წარმოდგენილ ფოტოში დაფიქსირებულია 2,8 ამპერი, საიდანაც იანგარიშება ჯარიმის სახით გადასახდელი თანხის რაოდენობა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან თავდაპირველად მიმართა „თელასის“ საპრეტენზიო განყოფილებას, რომელთაც ყურად არ იღეს ზემოთ დასახელებული ფაქტები და დარიცხული თანხა ჩათვალეს კანონიერად.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, არც ერთ სასამართლო ინსტანციაში არ იქნა გათვალისწინებული მისი არგუმენტები.

2009 წლის 10 სექტემბერს მარეგულირებელმა კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და ამავე სხდომის '141 გადაწყვეტილებით, „თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე არ დააკმაყოფილა ზ.ლ-შვილის მოთხოვნა დავალიანების 1023,22 ლარის ჩამოწერის შესახებ». ამავე გადაწყვეტილებით გაფრთხილებულ იქნა „თ-ი», რათა შემდგომში დროულად და სრულყოფილად წარმოედგინა კომისიისათვის მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

სწორედ ამ მომენტიდან გახდა კერძო საჩივრის ავტორის მიერ ცნობილი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველების არსებობის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლების შესახებ განჩინების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს, და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ზ. ლ-შვილმა და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ნოემბრის განჩინებით ზ. ლ-შვილის განცხადება დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

თუ რა შეიძლება გახდეს დამთავრებული საქმის წარმოების განახლების საფუძველი განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. კერძოდ, 421-ე მუხლის შესაბამისად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წინამძღვრები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლი განსაზღვრავს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი განცხადების განსჯადობის წესებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ეხება ერ-

თსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას), მაშინ იგი შეტანილი უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

საკასაციო პალატის განმარტებით, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინებით ზ. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს ამ საქმეზე გასაჩივრებული განჩინების მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლით ახალი გადაწყვეტილება არ მიუღია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის მიაჩნია, რომ ზ. ლ-შვილმა განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ წარადგინა არაგანსჯად სასამართლოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ზ. ლ-შვილმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საქმის განახლების მოთხოვნით უნდა მიმართოს პირველი ინსტანციის სასამართლოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ, თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა ზ. ლ-შვილის განცხადება განუხილველად, ვინაიდან არ არსებობდა განცხადების დაშვების წინაპირობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სასამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ზ. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

1ას-820-769-2010

25 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უძრავი ნივთის გასხვისების აკრძალვა

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ქ-ავამ განცხადებით მიმართა სასამართლოს ვ. ც-ავას მიმართ და მოითხოვა ვ.ც-ავასათვის განმცხადებლის თანხმობის გარეშე ქ.ზუგდიდში, ... ქ¹40/33-ში მდებარე ბინის გასხვისების აკრძალვა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 თებერვლის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ბ. ქ-ავას განცხადება სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

რაიონული სასამართლოს განჩინებაზე საჩივარი შეიტანა ბ. ქ-ავამ.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის განჩინებით ბ. ქ-ავას უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის განჩინებით დარჩა უცვლელად.

ბ. ქ-ავამ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, მოითხოვა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივლისის განჩინებით ბ.ქ-ავას განცხადება არ იქნა მიღებული წარმოებაში შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ბ.ქ-ავას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე შეტანილ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული განსჯადობის წესების დარღვევით, ვინაიდან ბ.ქ-ავას განცხადება ეხება განჩინებას, რომელიც არსებითად პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დარჩა უცვლელად. მართალია, განმცხადებელი საქმის წარმოების განახლებას სააპელაციო პალატის 2010 წლის 7 მაისის განჩინებაზე ითხოვს, მაგრამ აღნიშნული განჩინებით უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება, ამდენად, უფლებამოსილ სასამართლოს სწორედ ზუგდიდის რაიონული სასამართლო წარმოადგენს. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა ამავე კოდექსის 425-ე, მე-7, 186-ე მუხლებით და ჩათვალა, რომ ბ.ქ-ავას განცხადება არ უნდა იქნეს მიღებული წარმოებაში. მხარეს განემარტა, რომ უზრუნველყოფის განცხადებასთან დაკავშირებით საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით მას შეუძლია, მიმართოს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ბ. ქ-ავამ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: ბ.ქ-ავას განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძვლად სააპელაციო პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მხარეს განცხადებით უნდა მიემართა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის. აღსანიშნავია, რომ ბ.ქ-ავამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 მაისის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა როგორც სააპელაციო, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოებს.

სააპელაციო პალატას არ გამოურკვევია საქმის კანონიერად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოება იმის თაობაზე, რომ განმცხადებლის მეუღლე ვ. ც-ავას ახლო ნათესავია.

სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ბ.ქ-ავას მოთხოვნა თავისი განცხადების უზრუნველყოფა იყო, რადგან ფაქტობრივად მხარე მოითხოვდა სადავო უძრავი ქონების მისი მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ საქმეზე წარმოების განახლებას და გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად ბ.ქ-ავას ოჯახის გამოსახლების აკრძალვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ქ-ავას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადება შეიტანოს განსჯად, ანუ იმ ინსტანციის სასამართლოში, რომელმაც არსებითად განიხილა და გადაწყვიტა დავა. კანონის აღნიშნული დანაწესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ განიხილა მითითებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი და უცვლელად დატოვა იგი.

მოცემულ შემთხვევაში ბ.ქ-ავას საჩივარი არსებითად განიხილა ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ, შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს წარმოაგენს სწორედ ზუგდიდის რაიონული სასამართლო. მხარემ კი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სააპელაციო პალატის 2010 წლის 7 მაისის განჩინების გაუქმება, რომლითაც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის განჩინება დარჩა უცვლელად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ბ.ქ-ავამ განსახილველი განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეიტანა არა-განსჯად სასამართლოში.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ მან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადებით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოსაც, თავად კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული განცხადებით იგი ითხოვდა კვლავც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 მაისის განჩინების გაუქმებას, რაც ზემოხსენებული კანონის დანაწესს არ შეესაბამება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის მიხედვით, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ, თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბ. ქ-ავას კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის განჩინება მისი განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ბ. ქ-ავას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

1ას-691-647-2010

15 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 6 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელის აღმდგამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა ე. წ-ელმა. განმცხადებელმა მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე შპს «...» მიერ 2009 წლის 20 დეკემბერს განხორციელებული მობილური სარელეო გამაძლიერებელი სადგურის უკანონო მშენებლობის შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 იანვრის განჩინებით ე. წ-ელს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

საქალაქო სასამართლომ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმით დაასაბუთა, რომ განმცხადებელი არ მიუთითებდა მომავალში აღსაძრავი სარჩელის მოთხოვნას. შესაბამისად, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, განეხილა არარსებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საკითხი და ემსჯელა, რამდენად მიზანშეწონილი იყო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

სასამართლოს ზემომითითებული განჩინება ე. წ-ელმა საჩივრით გაასაჩივრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 თებერვლის განჩინებით ე. წ-ლის საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განჩინებით ე. წ-ლის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 იანვრის განჩინება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-192-ე მუხლების საფუძველზე, სწორად უთხრა უარი განმცხადებელს სარჩელის აღდგრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

2010 წლის 4 ივნისს ე. წ-ელმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივნისის განჩინებით ე. წ-ლის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველზე, რომ საქმე არ იყო სააპელაციო სასამართლოს განსჯადი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვდა საქმის წარმოების განახლებას იმ განჩინებით დამთავრებულ საქმეზე, რომელიც გამომტანილია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ და რომელიც სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა. შესაბამისად, საქმის წარმოების განახლების შესახებ მითითებული განცხადება უნდა წარდგენილიყო გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. წ-ელმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ე. წ-ელს უსაფუძველოდ უთხრა უარი განცხადების განხილვაზე, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არის უკანონო. სააპელაციო სასამართლოს განცხადების განხილვაზე უარის თქმის შემთხვევაში საქმე თავად უნდა გადაეგზავნა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის, რაც მას არ განუხორციელებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. წ-ლის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივნისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

კანონის ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მხარემ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს სწორედ იმ სასამართლოს, რომელმაც არსებითად განიხილა და გადაწყვიტა დავა. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ განიხილა გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერების საკითხი და უცვლელად დატოვა იგი.

საქმის მასალების თანახმად, ე. წ-ლის განცხადება სარჩელის აღდგრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, რომლის 2010 წლის 25 იანვრის განჩინებითაც განმცხადებელს უარი ეთქვა უზრუნველყოფის აღნიშნული ღონისძიების გამოყენებაზე. საქალაქო სასამართლოს მითითებული განჩინება უცვლელად დარჩა ზემოდგომი სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განჩინებით.

მოცემულ შემთხვევაში ე. წ-ელმა ზემოაღნიშნულ საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომელიც არ წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების არსებითად განმხილველ სასამართლოს. ამასთან, განცხადების შინაარსის მიხედვით, მხარე სადავოდ ხდის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე სწორედ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების მოტივებს, რომლითაც მიჩნეულ იქნა, რომ არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების წინაპირობა. შესა-

ბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ განმცხადებელს მართებულად უთხრა უარი საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადების მიღებაზე. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას იმის შესახებ, რომ საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვაზე უარის თქმის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო საქმე გადაეგზავნა განსჯადი სასამართლოსათვის, რამდენადაც მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აღნიშნულს არ ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. წ-ლის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივნისის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

13ს-964-907-2010

29 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ლ-შვილის სარჩელი მოპასუხე შპს «...» მიმართ, რომლითაც იგი ითხოვდა სამუშაოზე აღდგენას, იძულებით განაცდური ხელფასისა და შრომის წიგნაკის გაცემის დაყოვნებისათვის გაცდენილი დროის საშუალო ხელფასის ანაზღაურებას, არ დაკმაყოფილდა.

2008 წლის 14 მაისს მ. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2006 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ივნისის განჩინებით მ. ლ-შვილის ზემოაღნიშნული განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინებით, მ. ლ-შვილის კერძო საჩივრის განხილვის შედეგად, საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის განჩინება უცვლელად დატოვა.

მოგვიანებით, მ. ლ-შვილმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინების გაუქმება, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იანვრის განჩინებით დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დასაშვებია მხოლოდ ისეთი საქმეების განახლება, რომლებზეც წარმოება დასრულებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით. სასამართლო ინსტანციების ყველა სხვა განჩინება არ შეიძლება იყოს საქმის განახლების მიზნით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმების ობიექტი, რადგან მათი მეშვეობით ხდება არა საქმის წარმოების დამთავრება, არამედ ცალკეული საკითხის გადაწყვეტა. მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებაზე შეტანილ კერძო საჩივართან დაკავშირებით გამოტანილი 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინება, საქმის წარმოების განახლების მიზნით, ვერ გახდებოდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმების ობიექტი, რამდენადაც ამ განჩინებით

საქმის წარმოება არ დამთავრებულა. საქმის წარმოება დამთავრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ივნისის განჩინებით.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ლ-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით მ. ლ-შვილის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად დადგენილ ვადაში ხარვეზის (სახელმწიფო ბაჟის გადახდა) შეუვსებლობის გამო.

ამის შემდგომ, მ. ლ-შვილმა საქმეზე წარმოების განახლების შესახებ არაერთი განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივნისის, 2009 წლის 4 აგვისტოს, 2009 წლის 30 სექტემბრის, 2009 წლის 20 ნოემბრის, 2010 წლის 4 თებერვლის, 2010 წლის 12 აპრილის განჩინებებით მ. ლ-შვილის განცხადებები დარჩა განუხილველად.

ბოლოს, 2010 წლის 24 მაისის განცხადებით მ. ლ-შვილმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინების გაუქმება. მისი მოსაზრებით, აღნიშნული განჩინების გაუქმება განაპირობებს მოცემულ საქმეზე მანამდე გამოტანილი ყველა გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებას, მათ შორის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას. საბოლოოდ მისი მოთხოვნა თავისი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება, რომელიც შეეხება იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ივნისის განჩინებით მ. ლ-შვილის განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, განმცხადებელს დაევა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში 100 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განჩინებით მ. ლ-შვილის განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვით, თუ განცხადება არ დააკმაყოფილებს ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს განმცხადებელს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. წინააღმდეგ შემთხვევაში, განცხადება აღარ დაიშვება. ამავე კოდექსის 429-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განხილვის შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, სასამართლო თავისი განჩინებით განცხადებას განუხილველად ტოვებს.

იმის გათვალისწინებით, რომ მ. ლ-შვილმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეავსო, სააპელაციო სასამართლომ მისი განცხადება განუხილველად დატოვა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებულ განჩინებაზე მ. ლ-შვილმა კერძო საჩივარი წარადგინა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების არსებითად განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მისი განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ გამომდინარეობს შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავიდან, სადაც მის საბოლოო მოთხოვნას წარმოადგენს სამუშაოდან კანონიერი საფუძვლის გარეშე დათხოვნის გამო იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის მოპასუხისათვის დაკისრება. იმის გამო, რომ «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით სასამართლოში ხელფასის გადახდევინების შესახებ სარჩელებზე ფიზიკური პირები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, კერძო საჩივრის ავტორი, სააპელაციო სასამართლოს მიერ მისთვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრებას და ამ საფუძვლით განცხადების განუხილველად დატოვებას არასწორად მიიჩნევს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წარმოების განახლების შესახებ 2010 წლის 24 მაისის განცხადების მიხედვით, რომლის დასაშვებობის საკითხიც სააპელაციო სასამართლომ განიხილა გასაჩივრებული 2010 წლის 14 ივლისის განჩინებით, მ. ლ-შვილი საქმის წარმოების განახლებას მოითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებაზე იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწ-

ყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

კანონის ზემოთ დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მხარემ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს სწორედ იმ სასამართლოს, რომელმაც არსებითად განიხილა და გადაწყვიტა დავა. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ განიხილა გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერების საკითხი და უცვლელად დატოვა იგი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ 2010 წლის 24 მაისის განცხადების შინაარსის მიხედვით, მხარე ფაქტობრივად სადავოდ ხდის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სასამართლოს კოლეგიის 2006 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების მართლზომიერებას, რომლითაც მას სარჩელის სხვა მოთხოვნებთან ერთად უარი ეთქვა იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურებაზე. განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ მ. ლ-შვილის ინტერესი მიმართულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმების, საქმეზე წარმოების განახლებისა და იძულებითი განაცდურის მოთხოვნის ნაწილში მისი სარჩელის დაკმაყოფილებისაკენ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებლის მიერ ახლად აღმოჩენილად მიჩნეული გარემოებები ეხება სწორედ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და განმცხადებლის მიერ ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველად არის მიჩნეული. მოცემულ შემთხვევაში საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს არ წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის გათვალისწინებით, არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსახილველად დაშვების წინაპირობა, რაც ამავე კოდექსის 429-ე მუხლის მიხედვით ამ განცხადების განუხილველად დატოვების წინაპირობას წარმოადგენს.

მართალია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული არა ზემოაღნიშნული საფუძველით, არამედ – იმის გამო, რომ განმცხადებელმა არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, მაგრამ, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება, რადგან ეს განჩინება არსებითად სწორია (სსკ-ის 393.3 მუხლი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების შეტანის ვადა

განჩინება

1ას-176-168-2010

29 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: თანხის დაკისრება

კერძო საჩივრის დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 6 თებერვალს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა თ. ჩ-მემ მოპასუხე მ. გ-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 30 000 აშშ დოლარის დაკისრება.

სარჩელის თანახმად, 1996 წელს თ. ჩ-მემ მოპასუხეს ასესხა 30 000 აშშ დოლარი. მოსარჩელემ სესხი გასცა მეუღლესთან შეთანხმებით, რამდენადაც თანხა წარმოადგენდა მათ საერთო საკუთრებას. სესხი გაიცა 20 დღის ვადით. მ. გ-მემ თანხა თავის დროზე არ დააბრუნა. ეს უკანასკნელი ვალის არსებობას არ უარყოფდა და მის დაბრუნებაზე ყოველთვის თანხმობას იძლეოდა. 1999 წლის ოქტომბერში მოპასუხემ წერილობით აღიარა ვალის არსებობა. გარდა ამისა, დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებას ადასტურებდნენ მოწმეები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ჩ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით, თ. ჩ-მის სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგად გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება და თ. ჩ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა – მ. გ-მეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 27 450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 3 000 ლარის გადახდა, მასვე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების – 500 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 19 თებერვლის განჩინებით მ. გ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2003 წლის 21 აპრილს თ. ჩ-მემ უარი თქვა სააპელაციო საჩივარზე. აღნიშნულის გამო, აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 22 აპრილის განჩინებით, მისი სააპელაციო საჩივრით განსახილველ საქმეზე წარმოება შეწყდა.

2004 წლის 14 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა თ. ჩ-მის მეუღლე შ. ქ-მემ. მოგვიანებით, მან თ. ჩ-მესთან ერთად წარმოდგენილი განცხადებით მოთხოვნა დააზუსტა, კერძოდ, მოითხოვა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს 2003 წლის 22 აპრილის განჩინებით დამთავრებულ საქმეზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების განახლება.

განმცხადებლებმა საქმის წარმოების განახლების საფუძვლად მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის განცხადება მათ არ დაუწერიათ, იგი დაწერა მათმა ქალიშვილმა მ. ქ-მემ, რადგან მოწინააღმდეგე მხარემ მუქარით აიძულა დაეწერა ეს განცხადება და დედის – თ. ჩ-მის ნაცვლად მოეწერა ხელი.

აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 18 თებერვლის განჩინებით თ. ჩ-მისა და შ. ქ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა – საქმეზე თ. ჩ-მის სააპელაციო საჩივრისა გამო მ. გ-მის მიმართ თანხების დაკისრების თაობაზე, წარმოება განახლდა.

«სერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 88⁴ მუხლში 2005 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონით შეტანილი ცვლილების თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სააპელაციო სასამართლო და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები ლიკვიდაციის შემდეგ გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2006 წლის 13 ივლისის სხდომაზე, თ. ჩ-მისა და შ. ქ-მის გამოუცხადებლობის გამო, მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ჩ-მის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა, ამავე განჩინებით აპელანტს დაეკისრა 823 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

თ. ჩ-მემ 2006 წლის 12 სექტემბერს სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიტანა საჩივარი.

თავდაპირველად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 27 დეკემბრის განჩინებით, თ. ჩ-მის საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

შემდგომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ, თ. ჩ-მისა და შ. ქ-მის კერძო საჩივრის განხილვის შედეგად, გააუქმა 2006 წლის 27 დეკემბრის განჩინება და საქმე მათი საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განჩინებით თ. ჩ-მის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივლისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე დაკმაყოფილდა – გაუქმდა მითითებული გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2008 წლის 9 იანვრს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის ზეპირი განხილვისას არ გამოცხადდა აპელანტი თ. ჩ-ძე, რომელსაც სასამართლოს უწყება ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მ. გ-ძის წარმომადგენლის შუამდგომლობა, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება, თ. ჩ-ძეს დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის 823 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

აღნიშნული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ჩ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განახლება იმ საფუძველით, რომ მისი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული, ვინაიდან იყო ავად – გაიკეთა თვალების ოპერაცია, არ შეეძლო გადაადგილება (რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა სამედიცინო ცნობა), რაც შეეხებოდა ბაჟის დაკისრების ნაწილში კასატორის მოთხოვნას, თ. ჩ-ძემ მიუთითა, რომ სასამართლოს, კანონის თანახმად, როგორც ინვალიდი, უნდა გაეთავისუფლებინა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ. ჩ-ძე გათავისუფლდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, დანარჩენ ნაწილში განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

2009 წლის 12 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა თ. ჩ-ძემ, რომელმაც მოითხოვა ამავე სასამართლოს 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებლის განმარტებით, 2009 წლის სექტემბერში მან მოიპოვა გარკვეული სახის მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, კერძოდ, მან მიუთითა, 2009 წლის 9 იანვრის სასამართლო სხდომაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მიწვეული არ ყოფილა მისი წარმომადგენელი გ. ს-ძე. ამ უკანასკნელის ნაცვლად სხდომაზე მიწვეულ იქნა კ. ჯ-უა. სხდომის დღის თაობაზე ასევე არ ეცნობა შ. ქ-ძეს, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მოთხოვნები. განმცხადებლის აზრით, აღნიშნული გარემოება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

გარდა ამისა, თ. ჩ-ძემ მიუთითა, რომ მან მოიპოვა შპს «... ცენტრის» 2009 წლის 10 სექტემბრის ცნობა, რომლითაც დგინდებოდა, რომ მას ნამდვილად ჩაუტარდა ოპერაცია ორივე თვალზე 20 დეკემბერს და 25 დეკემბერს და მისი ტრანსპორტირება შეუძლებელი იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინებით. ჩ-ძის განცხადება ამავე სასამართლოს 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ იმავე რიცხვში მიიღო განჩინება, რომლითაც იმის გამო, რომ მის წარმოებაში ასევე იმყოფებოდა თ. ჩ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე, შეაჩერა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საქმის განხილვა გადაწყვეტილების ბათილობის საკითხის გადაწყვეტამდე.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 6 იანვრის სხდომაზე თ. ჩ-ძემ და მისმა წარმომადგენელმა მოთხოვნა დააზუსტეს, უარი განაცხადეს ბათილობის საფუძველით განცხადების განხილვაზე და მხოლოდ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის განჩინებით შეწყდა ამავე სასამართლოს 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ თ. ჩ-ძის განცხადებაზე დაწყებული საქმის წარმოება, განახლდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე თ. ჩ-ძის განცხადების განხილვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2010 წლის 6 იანვარს მიიღო მეორე განჩინება, რომლითაც თ. ჩ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, როგორც დაუშვებელი, დატოვა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განსახილველი განცხადების წარმოდგენამდე, 2009 წლის 5 ოქტომბერს, თ. ჩ-ძემ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. განმცხადებელმა მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო უზენაესი სასამართლოს

2008 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში;

განმცხადებელი განმარტავდა, რომ 2009 წლის 10 სექტემბერს მან მოიპოვა გარკვეული სახის მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას გამოიწვევდა, კერძოდ, გამოირკვა, რომ 2009 წლის 9 იანვრის სასამართლო სხდომაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მიწვეული არ ყოფილა მისი წარმომადგენელი გ. ს-ძე. ამ უკანასკნელის ნაცვლად სხდომაზე მიწვეულ იქნა კ. ჯ-უა. სხდომის დღის შესახებ ასევე არ ეცნობა შ. ქ-ძეს, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მოთხოვნები. გარდა ამისა, განმცხადებელმა მოიპოვა შპს «... ცენტრის» 2009 წლის 10 სექტემბრის ცნობა, რომლითაც დგინდება, რომ თ. ჩ-ძეს ნამდვილად ჩაუტარდა ოპერაცია ორივე თვალზე 20 და 25 ოქტომბერს და მისი ტრანსპორტირება შეუძლებელი იყო;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით თ. ჩ-ძის განცხადება ამავე სასამართლოს 2008 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველი. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული განცხადებით თ. ჩ-ძეს უნდა მიემართა განსჯადი სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის;

2009 წლის 12 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა თ. ჩ-ძემ, რომელმაც ამავე სასამართლოს 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა იმავე საფუძვლებით, რაც მითითებული ჰქონდა 2009 წლის 5 ოქტომბრის განცხადებაში.

სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა. ამავე კოდექსის 429-ე მუხლის მიხედვით, თუ არ არსებობს განცხადების დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

იმის გათვალისწინებით, რომ თ. ჩ-ძისათვის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა თაობაზე ცნობილი გახდა 2009 წლის 10 სექტემბერს, ხოლო მან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა 2009 წლის 9 ნოემბერს, საიდანაც გაშვებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით დადგენილი განსჯადი სასამართლოსათვის მიმართვის ერთთვიანი ვადა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადება დაუშვებელი იყო და განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის მსჯელობა იმის შესახებ, რომ მის მიერ უზენაესი სასამართლოსათვის საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადების წარდგენის დროს – 2009 წლის 5 ოქტომბერს, გასაჩივრების ერთთვიანი ვადა გასული არ იყო, ამიტომ უზენაესი სასამართლოს მიერ განცხადების განუხილველად დატოვებიდან ერთი თვის ვადაში იმავე საფუძვლებით სააპელაციო სასამართლოსათვის წარდგენილი განცხადება დასაშვებია.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილი გულისხმობს, რომ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ერთი თვის ვადაში შეტანილ უნდა იქნეს განსჯად სასამართლოში, ხოლო არაგანსჯადი სასამართლოსათვის ასეთი მოთხოვნის წარდგენა არ იწვევს აღნიშნული ნორმით განსაზღვრული გასაჩივრების ერთთვიანი ვადის შეწყვეტას.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 6 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ჩ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის არსებითი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, უზენაესმა სასამართლომ 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით მისი განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განუხილველად დატოვა იმ მოტივით, რომ განმცხადებელს უნდა მიემართა განსჯადი სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსათვის. განჩინების ჩაბარებისთანავე თ. ჩ-ძემ დასახელებული განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის შინაარსი და განცხადება განსჯად სასამართლოში მისი დროულად წარუდგენლობის გამო მიიჩნია დაუშვებლად. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ განსჯად სასამართლოში განცხადების შეტანა განხორციელდა განუხილველად დატოვების შესახებ უზენაესი სასამართლოს განჩინების გამოტანიდან ერთ თვეში, რაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხანდაზმულობის ერთთვიანი ვადის დენის შეწყვეტას განაპირობებდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 6 იანვრის განჩინება**, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას თ. ჩ-ძის განცხადების განუხილველად დატოვების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შესახებ.

საქმის მასალების თანახმად, განმცხადებელ თ. ჩ-ძის საბოლოო მოთხოვნას წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე წარმოების განახლება**. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა (გარდა სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილისა) **2008 წლის 4 ივნისს**, მას შემდგომ, რაც უზენაესი სასამართლოს ამავე თარიღის გადაწყვეტილებით იგი უცვლელად დარჩა. განსახილველი განცხადების ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენამდე, **2009 წლის 5 ოქტომბერს**, თ. ჩ-ძემ განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დასრულებულ საქმეზე წარმოების განახლების მოთხოვნით მიმართა უზენაეს სასამართლოს, თუმცა ეს განცხადება არაგანსჯად სასამართლოში მისი წარდგენის გამო განუხილველად იქნა დატოვებული. განმცხადებელს განემარტა, რომ მას უნდა მიემართა განსჯადი სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის. თავდაპირველად წარდგენილი განმცხადებისა და ამჟამად განსახილველი განცხადების საფუძვლები იდენტურია. განმცხადებლის მითითებით, საქმეზე წარმოების განახლების საფუძვლების შესახებ მან შეიტყო **2009 წლის 10 სექტემბერს**, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების დღიდან.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ თ. ჩ-ძის განცხადების განუხილველად დატოვება ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **426.1 მუხლს**, რომლის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონის მითითებული ნორმის შინაარსი გულისხმობს, რომ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ერთი თვის განმავლობაში შეტანილ უნდა იქნეს განსჯად სასამართლოში, ხოლო არაგანსჯადი სასამართლოსათვის ასეთი მოთხოვნის წარდგენა არ იწვევს გასაჩივრების ერთთვიანი ვადის შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას არ იზიარებს. საქმეზე უდავოდ დასტურდება, რომ თ. ჩ-ძემ განცხადება უზენაეს სასამართლოში ფოსტის მეშვეობით წარადგინა საქმეზე წარმოების განახლების შესახებ შესაბამისი საფუძვლის შეტყობიდან (**2009 წლის 10 სექტემბერი**) კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში – **2009 წლის 5 ოქტომბერს**. მართალია, განცხადება წარედგინა არაგანსჯად სასამართლოს, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მხარემ თავისი საპროცესო უფლების რეალიზება დროულად არ მოახდინა. კანონით დადგენილ ვადაში განცხადების არაგანსჯად სასამართლოში შეტანა არ შეიძლება გახდეს მხარის მიერ ამ განცხადების ვადაში წარდგენის გამაქარწყლებელი გარემოება, ამგვარი რამ არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **426.1 მუხლის** შინაარსიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადის გაშვების გამო თ. ჩ-ძის განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება გაუქმებას, ხოლო კერძო საჩივარი დაკმაყოფილებას ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **399-ე მუხლით**, **419-ე-420-ე მუხლებით** და

და ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 6 იანვრის განჩინება** და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.